

ლიტერატურული გაზეთი

№7(143) 10 - 23 აპრილი 2015

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

იქიდან

ლია სტურუა

//

რამდენი ხანია, ფეხებს ეჭვი ეპარებათ
ნიადაგის არსებობაში.
მოვდივარ და წყალივით ვჯდები სკამზე.
მოსახერხებელია ჩემთან ურთიერთობა,
მეხსიერება არ მაქვს...
მოდი! ახალ მკვდრებს ჰკითხე
ჩემი მისამართი და მოდი!
მეტაფორულ აღფრთოვანებას არ ელოდო!
თვალეში აღარც სიმწვანე დაგრჩა,
აღარც სევდა, ხესავით ვერ დადგები
სახლის წინ, კიბეზე ამოსვლა
ძველებურად გიჭირს...
მე ის მეხსიერება არ მაქვს,
სახლს რომ სახლი დავარქვა,
ან შენს დანახვაზე გადაბრუნებულ სკამს — სიხარული,
ის კი ვიცი, ქუჩაში რომ ერთად გამოვალთ,
ქვეყანას მოვუხდებით.
პატარ-პატარა რეფორმები, თითქმის პოეტები...

გივი ალხაზიშვილი

IV-V

შენ ხომ ზღვასავით გრძნობდი ნაპირებს,
აღარ იცოდი, ან რა გელონა,
ნალოლიავენს, ასე ნაფერებს
ჩემი სუნთქვაც კი შენი გეგონა.

მე მზის აბრეშუმს შევეწირე,
ისე ვცნობ, თითქოს შენი მხრებია
და შეგრძნებათა კენწეროები
თეთრ ოვალისკენ დაიხრებიან...

რა უნდა გითხრა შეშლილ მელომანს,
ალბათ განგებამ ასე არჩია,
მკლავს სიყვარულის მოუთმენლობა
და ამ სიშლეგემ გადამარჩინა.

ლია სტურუა



თირკმელის რითმა ვერ იპოვა,
ვერც მუშტარი
ასეთ დისონანსს მეორე მათხოვარი
თუ იყიდის.
პარადოქსი? სოციალური მოტივი
მშვიერი პოეტის შემოქმედებაში?
ამ თემაზე დაგეშილი ბავშვები,
კენჭებით იოლად გაჩენილები,
რამ სიმორეზე ჩატანებულები
უნდებენ სიტყვების კედლებში
ბაკალავრიატის მკერდამდე, მაგისტრატურის ყელამდე,
ოქროს წყალში რომ ამოავლო,
აქაც ანტიკვარიატის ფასს დაიდებენ.
მოვა ინვესტორი და
მდინარეს ჩაუგდებს ლაჯებში,
აქაურების 80 პროცენტი თვითმკვლეელია,
მინის ეშინოდათ, წყალი უფრო რბილად კლავს.
— იყიდეთ მინერალურ ბოთლებში
განანილებული მდინარე!


შიშის ანტიდოტი,
ტელეფონი უკვე ჩავრთე, ხაზზე ვარ!

ზიზზაზა

ქარმა ანია ცა,
ისეთი უზრუნველად ლურჯი,
თითქოს, მის უკან მინა არ იგულისხმება,
შიდა სივრცეში დედ-მამა ჩამიყარა,
მორიგი დაზავების შემდეგ,
ფსკერზე გატრუნულები,
ჩემს ცნობიერების ნაკადს აკონტროლებენ:
რა უნდათ?
ამ ჯოჯოხეთში
ჯვარედინი რითმების თაფლი?
ცენზურას აღარც ცა ემორჩილება,
თავისუფალი ლაჟვარდით ანათებს
იმდენ მუშაობას, იმდენ ლიტერატურას,
შიდა სივრცეში ჩაყრილ იმდენ ნათესავს,
რამდენ სკამსაც მოვუხებებ:
პარტერი თანაბარია,
იარუსები — დემოკრატიული,
ზეანული ამფითეატრი საკონტროლო გასროლასავით!
აქედან ვუყვარვარ!
განსაკუთრებით სიკვდილის მერე...

იმ დროიდან

თავში ასანთის კოლოფი დამრჩა,
ერთს გაჰკრავ, მეორეს, კიდევ,
რომელიღაც გაანათებს.
რას?
ფიქრს რომ კუნთი გაუჩნდა!
აქ შეიძლება ერთი გაცეცხული ააა და მორჩა,
მაგრამ მე უფრო გრძლად ვნერ,
რომელიმე გამახვილებული სიტყვიდან
უფსკრულში ვიყურები
და თუ წყალია ფსკერზე,
თვალეში შაქარს ვიყრი,
ბანალური სალამოს ჩაი?
გადმოთარგმნილი ლიმონის ხეები
და ეროვნული უფსკრული?
ციცაბო სიტყვები რამდენ ხანს კიდევ?
შეუყუდე ზმნის მწკრივებს,
ექვსი ბრუნვის ბოძს, თუ სვეტს,
შორისდებულების სარჩულიდან
პრიალი ლექსზე გადმომივა
და რა?
ამ მოგლუვებულ ზღარბს
რომელ ქრესტომათიაში გადავადებ?
ქვესკნელს თუ არ უყურებ,
თავში ასანთის კოლოფი არ გიდევეს,
აბა, საიდან ეს პერმანენტული აფეთქებები?
ფიქრს რომ კუნთი უჩნდება,
თუნდაც, იმის გასანათებლად...



რადიო

დავიღალე იმაზე ფიქრით, როგორ დავიღალე...
რადიო არ ანიოკებს მარტოობას,
უფრო შეთანხმებულია მასთან:
არავითარი სახეები, თავისი გამომეტყველებით,
alter ego-ების ცვენა, მარტო პირი,
რომელიც ამ ყველაფერს კი გულისხმობს,
მაგრამ სანამ რადიოდ მუშაობს,
შეგიძლია ღიმილის კუთხე აუწიო
და ქვეტექსტი გაუნათება...
მართლა არ აპირებს
ყველა ნერვის ბოლოში
ობობა შეგითხზას?
აბლაბუდაში რომ გაება,
ხაფანგის სცენასაც ვერ გაითამაშებ,
შექსპირი, რახანია, არ გადაგიკითხავს,
აბრეშუმის ქუპრიდან გაზარმაცებული
ლიბიდოები არ ამოგიფრენია,
შეჩვეული გზით დადიხარ იმ კაცთან,
რაც კარგად მოსაყალი ეპოსისთვის ცოტაა,
ლირიკულ ჩიხებში ზუსტად ჯდება
სწორ ხაზზე ჩიხი? როგორ შესძელი?
მერე კაცი კვდება და ფაქტად იქცევა,
ფაქტები უკვე რადიოსია,
მისი დასალექი პური,
ღიმილი აღარ გაეხევა,
ქვეტექსტი არ გაანათებს,
დავიღალე იმაზე ლაპარაკით, როგორ დავიღალე.

კრიზისამდე

ძალიან ღრმად ნუ ჩაიხედავ!
იქ ისეთი შრეებია,
ისეთი დაკომპლექსებული ფროიდები,
რაც ამოგაღებინეს, იკმარე,
სინტაქსი მოარგე და იარე
ნეორეალისტურ წვიმამდე:
შემდეგ უნიგნო პერიოდამდე, ანუ კრიზისამდე!
ხომ იცი, მოწყენილობის ბოლო
რომ წითლად გაღვივდება,
ღმერთი თვალეზაბრწყინებულ ანგელოზებს მოგცემს
დანტეს რომელიმე წრიდან.
რომელზე იქეპებთან საკუთარ თავში
და ბნელი ფენოვანი სისქიდან
კრიზისის არითმეტიკა ამოყავთ?
ერთ ვაშლს დავენერო, სამოთხეს შევინახავთ,
შთაგონებული ვაშლი არ იქმევა,
მაგრამ, საკმარისია, ჩამოვარდეს,
გიჟი მაშინვე გამოჩნდება,
კანონს ლექსით მოიგონებს.
ფროიდი და ანგელოზებიც რომ მივუმატოთ,
ასეთი ფეთქებადი ნაერთი!
თუ ანტიკური სკლეროზის სიღრმიდან
ღმერთის მანქანა?
სიმართლეთების გადაზიდვის სერვისი
ბორბლებით მუცელზე! გტკივა
შემდეგ უნიგნო პერიოდამდე,
ანუ კრიზისამდე.

პასპორტის ტყუილი?

ბიომეტრიული სახე
და არავითარი ნისლი სიახლოვეს!
წვიმასაც აკონტროლებენ?
მარცხენა ხელს, წაგრძელებულს,
რომ საათს კარგად უყურო,
მოგაჭრიან, პასპორტი ის ფანჯარაა,
სადაც ხელები არ უნდა ჩანდეს
და ტოტებს გავედეს,
არც კითხვის ნიშნები ამასთან დაკავშირებით,
წარმოსახვას რაღას უშვრები?
რომელსაც რეალური ძალა აქვს,
სანამ სიტყვით გამოხატავ:
ყველა საგანში სისხლი ასხია
და მუშაობს, ვირუსებს იზიდავს,
ავადმყოფობის გადადებაც შეუძლია,
მერყეობის გაძლიერებაც, მაგ:
იდეალიზმსა და პურის ფასს შორის
ეს უკანასკნელი ცხვრებს გათვლევინებს
ძილისინი: ასი, ორასი, მთელი ფარა,
შენ ბოლოში
მოკუნტული, შეშინებული,
რალა იდეალისტი, როცა
ნანლავეები გტკივა ლექსის წერისას
და არა რომელიმე გული, ან საფეთქელი.
კიდევ, შუქი გენთება მუცელში,
როცა ამაზე ფიქრობ...

წვიმიდან სველი თვალეები ამომაქვს,
ბალახით ვიმშრალე,
მინა მაინც მინაა, გვირილაც თუ ამოვადო,
უკვე მიყვარს, ვალში ხომ არ დავრჩები,
დიდად კი არ გვესმის ერთმანეთის,
ჩაკეტილი საგნები ვართ ორივე,
მოვლენების სიაშკარავე: ჩემი ტირილი,
მისი გვირილა, მაფიქრებინებს,
რომ ის სამშობლოა,
მე, გადაბმული ყველა ძველ
და მომავალ მკვდარზე,
მისი ხერხემალი,
თუ მზეც თავში,
ცოტა ხანს კიდევ დამაცლის ვნერო,
იმაზე, რაც არ ვიცი,
მაგრამ წარმოვიდგენ.

მშრალი ხიდი ანუ „იყიდეთ რამე“!

მშრალი ხიდი წყალზე არ დგას,
გეოგრაფია არ აქვს,
აქ რომ მოხვიდე და სამშობლო გაყიდო,
ლაღატად არ ჩაგეთვლება,
ოროთახიან ბინაზე ძვირი არც ღირს,
მერე მოჭრილი ფეხებით გტკივა
— იყიდება ორი ობელისკი!
მათხოვარი პოეტი რომ თაბაშირში ამოავლო
და ზედ შეაყენო?
მაინც უნდოდა ძველობა.

იძ

ჩვეულებრივი სკვერი იყო, სხვა დანარჩენისგან მხოლოდ ფერით თუ გამოარჩევდი. უფრო სწორად — უფროსი. შავთეთრი იყო ყველაფერი. ქათათა თეთრიდან დანკელებული, შავის ყველაზე მუქ ტონალობამდე მერყობდა ცის, სკამების, ხეების, ადამიანების კანის, თმისა თუ ტანსაცმლის ფერი.

გრძელ სკამზე, გვერდიგვერდ, სამნი ისხდნენ: თვალდახუჭული ანინა, იმ ცნობილი დელონკიონის ნაკეთრანკიკეპული ალენი და ზუსტად ქორორანენილი ნუა. საკურსოს ნერაში გათენებული ღამის შემდეგ, ალენის მკლავეზე თავმიდებულს, მშვიდად ეძინა ანინას. მოხდენილი გოგო იყო ანინა, მხარზე შალივით შემოხვეულ ალენის მკლავეს მშვენივრად იხდენდა.

სულ მგონია, ამ ღერს ჩავწვავ და დავანვები აქედან დრიპათ-ნუაში... — პირში ჩაგუბებულ სიგარეტის ბოლს სიტყვებიც გამოაყოლა ნუამ. ეწეოდა, მაგრამ ნახევრადჩამწვარ ღერს ვერაფერს აკლებდა. ჩასანვავს არაფერი აკლდებოდა და ჩამწვარს — არ ემატებოდა, — ჩემი ფეხები... რას ჩანვავ, სად ჯანდაბაში დაანვები... ჩაკეტილ წრეში ხარ. წრის განყვეტას ვერ ახერხებ, პრობლემების გადაწყვეტა არ გამოგდის... მარტო ნერვები განყვება ბეზ პრატლემ. ზიხარ ამ ჯანდაბა სკვერში და მარცხენათი სიგარეტს ექაჩები, მარჯვენათი — ცხოვრებას. ნუ, ჩემსავით ცაცებიში ეგრება... ცხოვრებაა თუ, როგორც ბონდო იტყოდა — „ჭაპანყვეტა“, ამათი გაშეშებული ნამი რო ავაფეთქე?!

ნერვებმოშლილი ნუამ კიდევ ერთხელ გამოქაჩა (მარცხენა ხელით) მარად ნახევრადჩამწვარი „პარლამენტი“. რა ენალელებოდა, რა, ცხოვრება ჯიბეში ედო... ყოველ შემთხვევაში, რაც ამ სკამზე იჯდა, მარჯვენა ხელი ჯიბიდან არ ამოუღია.

ცხოვრების ჭაპანს ოთხივე თანაბრად ეწეოდა, სიგარეტს — მარტო ნუა. საერთო ნერვების წყვეტის ამბავში, ცოტ-ცოტა ყველას შეჰქონდა თავისი წვლილი. ყველაზე ცოტა — ანინას, ყველაზე მეტი — ნუას. ჰო, წრის განყვეტასა და პრობლემების გადაწყვეტაში ყველა თანაბრად უუფლებო იყო, განსაკუთრებით — ნუა. ეგ იმიტომ, რომ ნუას დანარჩენ სამთან თანაბარ პირობებში ყოფნა არ სჩვეოდა.

ჰო, ოთხნი იყვნენ სკვერში. მეოთხეს, ამ სამისგან რამდენიმე ნაბიჯი და მთელი 180 გრადუსი აშორებდა. შეხედავდი და ხუჭუჭებით შებურულ შუბლზე ეწერა, რომ ბონდო იყო. ისე ძალიან ბონდო, რომ მეტსახელიად ბონდ-ი რომც შეერქმიათ, შეურაცხყოფად მიიღებდა — მაშაყირებენო. „მეკაფებიანო“ არასგზით იტყოდა. ეგებ ეფიქრა, მაგრამ თუ თქმა იყო, აუცილებლად — „მაშაყირებენ“-ს იტყოდა. გამართული მეტყველება, ჟარგონების უგულვებლყოფა, ნართანთან მრავლობითის ხმარება — ბონდოს სტილი ვახლდათ. ძველბიჭური ტიპები ეჯავრებოდა ბონდოს. იმიტომ ეჯავრებოდა, რომ რამდენჯერაც სცადა მათ დამგვანებოდა, არცერთხელ არ გამოუვიდა, მისივე ლექსიკით რომ ვთქვათ, ხელი მოეცარა.

ბონდო საკუთარი თავის თვალში ერთი დონდლო, თმა და გულჩახვეული, მოსანყენი ტიპი იყო. ეგეთი ჩვევა ჰქონდა: გამოუტანდა თავს რაიმე განაჩენს და მერე იტანჯებოდა. ეგონა, იმდენად არასასურველი ტიპი იყო, ჯობდა მეგობრებს გარიდებოდა, შედეგობად თავი არ მოეებურებინა მათთვის. ეს დურბინდიც იმისთვის ნამოათრია, რომ მათგან გასარიდებული მიზეზი ჰქონოდა.

სამეულის ზურგებთან ზურგშექცევით იდგა, დურბინდი ცისკენ ჰქონდა მიშვერილი, თვალები — სკამისკენ. ბონდო ეძახე და ასე თავმოპოვებულად მდგომი სასწაულს ახერხებდა: უკან მდგარი სკამთანაც ზურგით იდგა და, ამავდროულად, არც წინ გაშვერილ დურბინდთან იყო სახითი. კი ეკუთვნოდა მეტსახელად ბონდი, თავისი წყულებით, შვიდიანთა და ამბებით, მაგრამ არ იზამდა, ა-არას-გზით!

ყველაზე თეთრი პერანგი ნუას ეცვა და ყველაზე შავ ხასიათზეც ის იყო. გვერდით მდგომი შავმაისურიანი, სახეზე ნათელ მოფენილი ალენის ღუმელი კიდევ უფრო უშლიდა ნერვებს.

— მეთქი ძმაკაცი მიზის გვერდით, მაგამი მაინც გამომართლა. კარგ სიგარეტს მოვწეე, კაცურად, ჯიგურულად დავილაპარაკებთ... ჩემი ფეხები... ბიჭო, თუ კოცნი, აკოცე, თუ ვერ კოცნი, მომიხმინე მაინც!

„კი“ „შანსი არაა“ და „ნუ გაახურე“ მაინც მიპასუხე ზრდილობისთვის! — გაცეცხლდა ნუა და დაამატა, — შენი გაშეშებული სიმპათიური სიფათი რო ავაფეთქე!

— ეგაა რაა — ჩაკეტილი წრეა, აკოცე არა, შენი ფეხები... — თავი ნუასკენ არ შემოუტრიალებია, ისე ამოღებულა პასუხი ალენმა. ალენმა თუ — ალენამ, როგორცაა... ამ ბიჭს ყველაფერი უხდებოდა, ყველაფერს ირგებდა მოთხრობითი ბრუნვის გარდა. ნოდებითი იყო მაგისთვის ზედგამოჭრილი: ალენ! შეატრიალებ და გამოვა „ნელა“. მართალია, ამ „ნელა“ში დიდი არაფერი აზრი არ დევს, მაგრამ სამაგიეროდ არც ისეთი უაზრობაა, როგორც „ამნელა“ ან „მანელა“.

სულ რამდენიმე სანტიმეტრი აშორებდა ალენის საკოცნელად გამზადებულ ტურჩებს ანინას ცხვირის წვერისგან, თუ ტურჩებისგან. ასე, ერთი შეხედვით, ძნელი იყო მიმხვდარიყავი საით უმიზნებდა... თუმცა, ალენა ხომ ცნობილი უმიზნო იყო, ცხვირზე რომც დაემიზნებინა, მაინც ტურჩებს გაართყამდა.

ნათია როსტიაშვილი არ ჩანს დრიპათ-ნუა დურბინდიდან



— აი, ერთი ნუთისაც არა, ნახევარი ნუთის ამბავი იყო, რა.. მოიცადე, რა, დალოცვილო, დამაცადე, რა 50 წმ! ხომ ვიცხოვრებდი მთელი ცხოვრება სამოთხეში?! — ხმამალა გაიფიქრა ალენმა. ეგრე სჩვეოდა, ჯერ ხმას ვერ ამოალებინებდი, მერე ვეღარ გაჩაჩაღებდი.

— ნახევარი ნუთი 50 წმ-ია თუ — 30, შენი გაშეშებული ტვინი რომ ავაფეთქე?! — ალენის ტვინის ნაცვლად თვითონვე იფეთქა ნუამ.

— რა ხასიათზე ხარ, ძმაო?! კიდევ კარგი, ეწვევი და არა — სვამ, თორემ შენი სიმთვრალე რომ ვიცოცხლე... დაბნეულობის ამბავია, რაა, თორემ მაგდენი მათემატიკა, როგორმე, ჩვენც გვესმის! მიინდა ესლა მე „წმ“-ს ანგარიში?! დაიბენი რაა!.. — ისეთი სურნელი ასლიოდა ანინას თმას, რას არ დააბნევდა... — ფულში ამებნა, რაა... იქ ხომ მანეთში ასი კაპიკია ხურდა და აქ — ნუთში სამოცი ნამი, ხოდა იმის ნახევარი ამებნა ამის ნახ...

— აუ, გაჩუმდი, ძმობას გაფიცებ! — თქვა კი არა, როგორც ბონდო იტყოდა „კბილებიდან გამოსცრა“ ნუამ. ეგრე იცოდა, ჯერ იმაზე გენჩუბებოდა, ჩუმად რატომ ხარ, ილაპარაკო და მერე — გაჩუმდი, ნუ ლაპარაკობ.

— არ გინდა, რაა, ძან ტვინიკოსობას ნუ აწვები, ძმურად!.. — იწყინა ალენამ.

— არაფერს არ ვანვები, ვენევი ჩემთვის და ვარ გაშეშებული... — მოიწყინა ნუამ.

ერთადერთი, რასაც აწვებოდნენ, სკამის საზურგე იყო.

— „სამოთხეზე“ გული არ დაგწყდეს, მაინც მოგვებრდებოდა... — ასეთი შემორიგებლური ტონის ლაპარაკი შეეძლო ნუას... ხანდახან. რაც უფრო მეტად გამოავლენდა ფეთქებად ხასიათს, მით უფრო მალე იფერფლებოდა. მისი ნერვებისას რას გაიგებდი...

— რა მომბერდებოდა, ბიჭო, ანინას კოცნა?! — რაკი ნუამ დაუწინა ტონს, ალენმა — აუნია. ისეთი იშვიათი მეგობრების რიცხვში იყვნენ, ერთმანეთს რომ ავსებენ და აწონასწორებენ.

— მეც ეგრე მეგონა, ბონდომ მაამის ჯიმპერასთვის მოპარული „პარლამენტის“

ეს ღერი რომ მომიტანა. მეთქი ღმევეერთო, დრო გაწელე, რომ გვიან ჩაინვას. აჰა, ისე განვლა, რომ გააჩერა. მერე რა, სამოთხეში ვარ? სიამოვნებით მოვისროდი ერთერთი ჯანდაბის მიმართულებით, ოღონდ, ესლა შემეძლოს, ავდგე და დრიპათ-ნუაში დავანვე...

— ე, რა მაგარი რამე დავამულამე! ბონდო... ჯიმის ბონდო... — ბონდოს რომ არ გაეგო, შეკავებულად გაიცინა ალენმა და დაბოხებული ხმით დაამატა, — „ბონდ... ჯიმის ბონდო...“

ნუას ისეთი ისტერიკული სიცილი აუვარდა, კინაღამ სკმიდან ჩამოვარდა. ეგ ისე, სიტყვის მასალად, თორემ სად ჯანდაბაში ნახვალ, ჩამოვარდები არა, ნუას ფეხები.

— აუ, ზოგჯერ რალაც ძან მაგარს შენც იტყვი ხოლმე, — თქვა ბოლოს, სული რომ მოიბრუნა, — ოღონდ, აზედმეტებ. აი ახსნა-განმარტებამ გააფუჭა. მარტო ეს უნდა გეთქვა მაგ დაყენებული ტემპით: „ბონდო... ჯიმის ბონდო...“ და მორჩა, მხეცია.

— აუ, ზოგჯერ რალაც ძან მაგარს შენც იტყვი ხოლმე, — თქვა ბოლოს, სული რომ მოიბრუნა, — ოღონდ, აზედმეტებ. აი ახსნა-განმარტებამ გააფუჭა. მარტო ეს უნდა გეთქვა მაგ დაყენებული ტემპით: „ბონდო... ჯიმის ბონდო...“ და მორჩა, მხეცია.



ერთი ნაფაზი და ისე დაეჭიმა ნერვები.

— ეგ ბოლო, ახსნა, რალა იყო, დებილს ვგავარ, ამის გამშეშებლის დედა რომ ავაფეთქე?!

აძ

ფერად-ფერადი ფოთლებით მოფენილ ქვაფენილ სწრაფი ნაბიჯებით მიუყვება ქალი. სადაც ფოთლები თხლად ყრია, იქ უფრო ხმამალა ისმის მისი ფეხსაცმლის ქუსლის ნკაპუნი.

— ანინააა!..
— ანინააა!..

ორ ხმაში დაძახებული „ანინას“ გაგონებისთანავე, ორივე ფეხსაცმელი წყვეტს ნკაპუნს — ჩუმდება. ანინა ტრიალდება. ორი სახეგაბადრული კაცი, ერთი გამხდარი და მეორე — მსუქანი, აჩქარებული ნაბიჯით უახლოვდებიან. ეს „აჩქარებული ნაბიჯი“ გამხდარს სირბილი გამოსდის, მსუქანს — ძუნძული.

როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ქალმა ჯერ ვერ იცნო და გაიკვირვა, მერე — იცნო და გაიხარა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სიხარულის გამომხატველი ფრაზები „ვაიმე“-თი დაიწყო და „როგორ გამიხარდა“-თი დაასრულა. ოღონდ ეგაა, ეს ერთნაირდასასრულიანი ფრაზები იმეორა და იმეორა — დაუსრულებლად:

— ვაიმე, ნუა, როგორ გამიხარდა!... ვაიმე, ბონდო, როგორ გამიხარდა!... ვაიმე, ბიჭებო, როგორ გამიხარდა!..

— კარგი, გოგო, ნუ ატრიალებ ერთი და იგივეს, თავბრუ დამეხვ! — ნუამ ისევ ჩაიხუტა ნლბების უნახავი ანინა და თავზე აკოცა, — როგორ ხარ, როგორ? ალენა ხომ აკაუთოვ? მაგის ძალის ბედის დედაც რომ ავაფეთქე, რა ქალი ჰყავხარ, რა ქალი!

ანინამ არაფერი უპასუხა, ორი ნაბიჯით უკანდახეულ, მორიდებულად მდგომ ბონდოსთან მივიდა და მეორედაც საკუთარი ინიციატივით გადაეხვია.

— ბონდოსთან ავდივართ, ანინა, ჯიმი ბონდოევიჩი გველოდება. წამო რაა, წამო!

— ვაიმე, ნუა, სამსახურში მომკლავენ, რომ არ მივიდე, მომ-კლა-ვენ!..
შენუბებული გამომეტყველების მილე-

ბამ, ანინას შუბლზე მკრთალად გახახუელი ნაოჭები გააშუქა. ნუამ შეამჩნია, მაგრამ არ შეიმჩნია. გაუღიმა და გაამხნევა: — კარგი რაა, ყველა სამსახურის იდიოტი დედაც არ ავაფეთქე?!

— ანინა, რომ დარეკო და გაცდენის რაიმე საპატიო მიზეზი შეთხზა?.. — იდეა შეაშველა ბონდომ, — მამაჩემს ძალიან გაახარებ, თუ წამოხვალ. ხომ იცი როგორ უყვარხარ, თან ადენი წელია არ უნახავარ... მობი, ჯერ სამსახურში დარეკე, მერე — ჩვენს სიმპათიურ ძმასთან, ანდა ჯერ ალენთან და სამსახურში — მერე.

— ალენი არცაა აქ, აბასთუმანია... ფილტვების სერიოზული პრობლემა აქვს...
უცებ ჩაქრა წამის წინანდელი განწყობა.

— ვაჰ, სპორტმენი კაცი და ეგეთები? ჩემი გაფუილებულები იმას მისდოდა ფილტვებში, კაცო?! — განწყობის „ანთე-ბა“ ხუმრობით სცადა ნუამ და ჩაფლავდა. არ შეიმჩნიეს.

— და კიდევ... ალენის ამბებს სხვისგან ვგებულობ, — სულ ჩამოხდებულა ანინა, — ნაყიდა ჩემგან...

ნუამ ხუმრობა ვეღარ გარისკა. ან რა დროს ხუმრობა იყო. ახლაც ისევე გულწრფელად დასწყვიტა გული ანინა-ალენის დაშორებამ, როგორც თავის დროზე, მათმა შეუღლებამ.

— მერე მოგვიყვი, ანინა, ავიდეთ ჯერ ბონდოსთან, წამო.

— ვაიმე, ნუა, სიამოვნებით ნამოვიდოდი, მაგრამ სამსახური რომ გავაცდინო, მომკლავენ!

— მაიცა, რაა, მოგკლავენ არა ყაზგაზტრანსი!.. აქეთ დავზოცავთ მე და ბონდო ყველას, შენ და რომის პაპს თუ დაგჭირდებათ, — ახლბურად გაამხნევა ნუამ.

— საპატიო მიზეზი რომ შეთხზა? — ახალი ვერაფერი მოიფიქრა და ისევ ძველი გაიმეორა ბონდომ.

— ეჰ, არ გამოვა. ისე, ნუა, როგორ შეცვლილხარ. დაღვინებული და დამშვიდებული ხარ.

— არ დაიჯერო, დო ჩამო. უბრალოდ, კურსები გავიარე: „როგორ მოვაჩვენოთ თავი დიდი ხნის უნახავ მეგობრებს დაღვინებულ-დამშვიდებულად მამინ, როცა სინამდვილეში იგივე ნეხვი ვზრძანდებით.“ ჰე, წამო, წამო!

— მომ-კლა-ვენ!
მოკლეს არა — ყაზგაზტრანსი!

იძ

— მაგარი სიაფანდი რამეა ცხოვრება, ალენ, ძმაო. აი, ვზივარ აქ, ვენევი. სხვა რა ჩემს ფეხებს ვაკეთებ? აი, შენ ტიპობ, მაგარი სიმპათიური, სპორტსმენი, გაკაუებული და რამე... მერე რაა მაგით? აი, ბონდო მაგარი განათლებული, დურბინდიანი და რამე... და რა მერე?

— ანინაზე არაფერი თქვა!
— არ ვიტყვი... ან — ვიტყვი. მერე რა ამით? მაგარი სიაფანდობაა-მეთქი ყველაფერი.

— „სიაფანდია“ სწორი ფორმა, — მექანიკურად გამოსძახა ბონდომ და უხერხულობისგან დურბინდის ლინზებს დააორთქლა, ვითომ განმენდას უპირებს.

— შენ, ძმაო, დურბინდი გიჭირავს თუ ლოკატორი? „ლოკატორის“ ფორმა როგორია? სწორია თუ ცილინდრისებური? დუმილი. არა იმიტომ, რომ პასუხი არ ჰქონდა...

— ჩვენ ერთ ცხოვრებას ვიყოფთ, გესმის, ალენ? იმიტომ არ გეყოფნის. ოთხივესგან ჰა-ჰა ერთი ნორმალური ცხოვრება აენყოს. აი, მე რომ ვიყო შენსავით სიმპათიური, გვერდით ანინასავით ლამაზი გოგო მეჯდეს, ბონდოს რომ ტვინით აქვს თავი — ეგრე ფულით გამოტენილი ჯიბე მქონდეს, ჩემსავით „პარლამენტს“ ვენეოდე, ხანდახან დურბინდიდან ვიყურებოდე, დრიპათ-ნუას ქურჩებს ვათვალიერებდე — კიდევ ჰო. რა ჭირად გინდა დურბინდი, თუ შენს ოცნებას ვერ გაჩვენებს? რა საჭიროა ძვირადღირებული სიგარეტი, თუ არ შეგიძლია ნკიპურტით მოისროლო? რა საჭიროა ჩახუტებული ქალი თუ ვერ კოცნი? — ნუამ ზედიზედ რამდენიმე ნაფაზი დაარტყა.

— დაიხვრიტა შენ მაგ ფილტვებს ამდენი მოწვევით... — საპასუხოდ მხოლოდ ეს ჩაილაპარაკა ალენმა.

აძ

— ქალბატონს შეუვსეთ... ბონდო, ნუა!

— რამ გამაქალბატონავა ჯიმი ძია, — გაეცინა ანინას.

გივი ალხაზიშვილი



*** ჩემი ძმის – ზურას ხსოვნას!

დღეები უკან-უკან მიდიან და მიუქმებენ საყვარელ სივრცეს, უკუსვლასავით წინსვლაც მითია და ვცდილობ აბსურდს საზრისი მიცეც.

ძველი ხედები არ მახედებენ, ხოლო ახალი ქრება დღითიდღე, მოვლენ და საით წაშაბეტიბენ, მე შენს თვალბეჭდში ამოვიკითხე...

ვინ დაინახავს ფიქრში შენიღბულს, დროს გაფიქრებულს ან სულს შენაბერს, მე ავიფარებ თვალზე ხელისგულს და ხელისგულში ვხედავ ყველაფერს.

აკორდი

მე ვიცი, ჩემთვის რას ნიშნავს ეზო, ალვა, ქუჩისკენ ჩრდილით რომ მიდის, შრიალ-შრიალით მიჰყვება სეზონს და ფანჯრებს ავსებს ხან მზე, ხან ბინდი.

არის სარკმელი იმ ხსოვნის ჩარჩო, მოხუც დედ-მამის ინახავს სურათს, სადაც ობოლი ბავშვები ჩავრჩით მე, თემური და სანყალი ზურა!

იმ სავანეში ვბრუნდები კენტად, მოლის ხასხასი ფეხქვეშ რომ ეგო და ის აკორდი, ხსოვნას რომ მტკენდა, ყოფილა გამქრალ სამოთხის ექო.

*** ყვავილზე იჯდა ფერფლის პეპელა, კი არ გაფრინდა, გაიფანტა ოქტომბრის ქარში.

შეგახე ხელი თმაზე, მზერაში ჩაგეშალა ღიმილის ფერფლი და თვალის ფსკერზე გაუჩინარდა.

მივხდი, იმ დროს დავეძებდი, რომ ვერ ბრუნდებოდა...

ღივიტი

ერთი ლექსის ორი ფინალი

ჰაერის ფესვები ა)

შენი სურნელი აღვიძებს სურვილს და ამ ჰაერში ჩაფლულ ფესვებით დამეძებ, მსუნთქავ, ამავსებ ზრუნვით და ვგრძნობ, ველარსად აგეთესები.

რადგან ჰაერშიც არის საყრდენი და შენი სუნთქვით წვდება ნესტოებს, ხდება, რაც არის დღეს მოსახდენი, ხარკივით ვუხდი ამინდს ნესტიანს.

გამომწყვდეულმა ჩემმა ცხოვრებამ გამომიცხადა ამინდისტიკა, არ ვიცი, ვინ ვის ემათხოვრება, როცა ღიმილი მზის გვირგვინია.

გამოვალნიე ჩემი საკნიდან, სიარულს ვსწავლობ, ვეძებ მისამართს,

შენ ხარ ნუგბარი, დრომ რომ გაკენიდა და არ ვისხენებ დღეს, რახნისავარ...

ჰაერის ფესვები ბ)

შენი სურნელი აღვიძებს სურვილს და ამ ჰაერში ჩაფლულ ფესვებით დამეძებ, მსუნთქავ, ამავსებ ზრუნვით და ვგრძნობ, ველარსად აგეთესები.

რადგან ჰაერშიც არის საყრდენი და შენი სუნთქვით წვდება ნესტოებს, ხდება, რაც არის დღეს მოსახდენი, მენიუსავით ახსოვთ რესტორნებს.

აქ, ზარიც ბევრჯერ ჩამორეკილა, გახსენებით ამინდისტიკა, ვსამ შენს სიყვარულს, როგორც ტეკილას, ღიმილს, რომელიც მზის გვირგვინია.

მე სულ სხვანაირ დღეებს ველოდი და სულ არ მიკვირს, რომ არ მოვიდა, ვარსებობ ჩემი სამფლობელოთი და მზის ამოსვლით სიმარტოვიდან.

ძილ-ბურანი

როცა ძილი თვალის ფსკერზე გუბდება და თანდათან იძირები სხვა მეში, მხოლოდ ძილ-ბურანში რომ მცვლის ყოფის საგუშაგოზე და აუზის ზედაპირზე მატევიტივებს, სადაც მოზაიკის ფსკერი აცოცხლებს ბავშვობის ფერადებს და მოდუნებული კიდურები თავს კარგავენ, ისე, რომ ვერ ეძებენ, რადგან არც ახსოვთ, ჰქონდათ თუ არა;

იმ სხვა მეში დარჩენას ვნატრობ და სიკვდილივით მეშინია გამოღვიძების, ისე ძნელად ვეგუები მარად წრეზე ხელახლა გასვლას და სხვა მეში დასაბრუნებლად თვალს ვაპარებ იქით, სადაც შენ მეგულები...

აივანზე ზიხარ მარტო, სიჩუმედავით უხმაურო, შელამების ქსოვილზე ქარგავ ისეთ ფიგურებს — ბავშვებივით უმწიფებს და მიმზიდველებს, რომ ხელით გეძებ მოსაფერებლად, მაგრამ ისევ თვალებით გწვდები...

ის თვითონ მოვა...

ნაბიჯს მსუბუქად ველარ ვადგამ, სიმსუბუქე ისე მიმივა...

ჭიატებს სხივი. გადამფრენი ნიაჯი გამჭვირვალე და სიფრიფანა, თავის სუნთქვაში თავს რომ ეძებს და შენ გპოულობს...

ელექტრონული დრო ხელს მიშლის, თვალი ვადევნო ბუნებრივ დროს შინდის ნაადრევ ყვავილობიდან ფშატის სუნთქვამდე, როცა ნაყოფი შეითვალება და ინიუნკლება ფერად შხეფებით, რომ შეივსება ვაზის მტევნები და აღმოაჩენ, რომ საქორწინო მოლოდინი გადამდებია და უთვალავი გულისცემა ავსებს ღამეს, რომ გაანათოს წუთი, რომელიც ჟრუანტელს ითმენს. ამ მოლოდინს თავის ხმა აქვს და მისი ტემბრი გულით სავსეა...

ელექტრონული დრო ხელს მიშლის თვალი ვადევნო ბუნებრივ დროს — ყვავილობიდან ფოთოლცვენამდე და წელიწადის ყველა დროის გამოტოვებით — მე ვადვივარ დროის გარეშე და მიწიერ დროს აცდენილი ვნატრობ მინას — ის დედაა და თვითონ მოვა.

ბივიკოს!

ალბათ ეს წუთი იმ წუთს მიეხება, ფეხს რომ ითრევს და არ უნდა წასვლა... შემოვა ღამე, მთხოვს პატივებს და საგზალივით ჩუმ-ჩუმად მსანსლავს.

ხან ყველა სიტყვა ცარიელდება, ისე ივსება სიცარიელით და ჩემ ძარღვებში ფეთქავს ელდებად თანმდევი ცეცხლი იმწამიერი...

ვზი და თვალბეჭდში ჩავყურებ კედელს, რომელსაც ზოგჯერ სარკმლით ახელენ და ვეფერები მზესავით კეთილ ყმანვილს, მოგვარეს და მოსახელეს!

ჩვენ ხომ ტალღები ვიყავით მაშინ...

...ისე ფშვინავდა ზღვის სიახლოვე და ერთმანეთი ისე გვიყვარდა, ზღვას ერთმანეთში ვემალეობდით, სხეული ერთად რომ აგვიყვავდა...

ჩვენ ხომ ტალღები ვიყავით მაშინ, გადადინება ზღვამ გვიკარნახა, რასაც ვეძებდით, ის იყო ჩვენში და არ შეგვეძლო მისი დანახვა.

ის დღე დროდადრო ჩემში ბრუნდება, როცა ზღვის სუნთქვა ისევ ჩამესმის და მეორდება მონწყვეტის წუთი ფანტასტიკურად უსიამესი!

ჩვენ ამ რეფრენით ვსაზრდობთ დღემდე, სავსე მოტივით, გაუხუნარით, ზოგჯერ სხვები ვართ, თან იგივენი და უცვლელია ცისდამხურავი.

მოარული მინა

ჩემი სხეული ფესვებისთვის არ ეყოფა ეკლიან ასკილს, მოარული მინა ვარ და არა მინის უძრავი ბორცვი, სადაც ბალახი თუ გადაივლის, ქარის იმედად ტოვებს ნაშიერს და სხვა მინების დასაპყრობად მუდამ გზაშია.

რაც ღმერთმა შექმნა ეს სიცოცხლე, ბალახი დადის და ყვავილების ფერად თვალებს რომ აფახურებს, აივლის კიბეს, თუ მიუშვი, შენც გადაგივლის, არ დაიზარებს და ყოველთვის მოგინახულებს.

ეს ის გზა არის, რომ არ მთავრდება, სალამოს ნიავეს როცა მოაქვს სუნთქვა სათიბის,

ფესვებს ინედლებს, გაირინდება, ათასწლეულთა ნაბიჯს ცნობენ მზის საათები.

დიახ, მე ვგავარ მოარულ მინას, რადგან ბალახთან ჩემი შეხება ჩვენს პანთეისტურს მახსენებს კავშირს, მე მიყვარს მინა — დედა, დიდედა და ვეშველები მკათათვეს მკაში.

ის, რაც თამაშით იზადება

დროს, ზოგჯერ, ისე სწყურია ყოფნა, იგი ჩვენი ხმით იწყებს ჩურჩულს და ჩვენს მკლავებს ასწავლის ხვევნას და ამ რიტმიდან ამოცურდება ალისფერი წრე, როგორც ნიშანი, რომ დროს სწყურია, იქცეს ანთებულ სხეულებად და მათ მსუბუქე მოძრაობაში მე ვგრძნობ, რომ დრო ვარ, როცა შენთან ერთად გავდივარ.

ეს ხეივანი, ეს მტევნები, ჩვენი სიტყვები — ფიქრს ფუტკრებივით რომ დაბზუიან, და ჩვენც ჩვეული მოუსვენრობით სულ რომ დავეძებთ იმას, რასაც ვერასდროს ვპოვებთ — ეს ხომ გაქცევის სურვილია და არსაითკენ მიმავალ დროში ჩაძირვის შიში ბადებს ისეთ რიტმს, რომელსაც თურმე სიცოცხლე ჰქვია.

ამ რიტმზე ვართ ყველა მიბმული და ზოგჯერ ჩვენი სიარულიც ცეკვას ნააგავს, რადგან ყველანი ერთ წრეში ვბრუნავთ.

რიტმი პირველი ტალღიდან ჩნდება, ვრცელ პაუზაში რომ დაიბადა და ერწყმის სხეულს და გრძნობს გასაღწევ სიახლოვის მოუთმენლობას...

ხეების რწევაც — მხოლოდ იმის მინიშნებაა, რომ დრო, არსად მიმავალი მუდამ აქვეა და ის ამოდის საკუთარი არყოფნიდან, როგორც სიმღერა.

*** დედა, ზოგჯერ შენი თვალბეჭდით ვიხედები და შენს სიყრმის შვილს ვათვალისწინებ — შენსავით რომ ამბობს — „შვილო“ და ეს ნათქვამი გუმბათივით ამოიზრდება მშვიდი ტემბრიდან და გულიდან ამოჰყავს განცდა, რომელიც თურმე სიტყვის სულია და ყველა ვერ ცნობს...

ხმას ვერ მიაწვდენ,
თვალეშშიაც ველარ ჩახედავ,
ვერ მოეხვევი, გულისცემას ვერ გააგონებ...
გადაიკარგა,
იგი თავის სიჩუმეში გაუჩინარდა.

სხვა რა გზა დაგრჩა,
შემოდგომის საღამოებს მიაყურადე,
აქ, ზოგჯერ, მისი სუნთქვა ჩაგესმის,
და თვალს ხუჭავ,
უფრო ახლოს რომ დაინახო.

მგონი, ზედმეტად ცოცხალი ვარ,
ისე გინატრე,
დღესაც კი მსჭვალავ შენი მუსიკით,
არ ვიცი, სად ვარ, თავს სად დავეძებ,
ასე გაფანტულს შენ შემაგროვებ
როგორც მზეს ლუპა —
ერთ სხივად შემკრებ...

ნამოდი, სადმე დავემალოთ შემკრთალ სიჩუმეს
და გულისცემა შევეუნახოთ დაკარგულ მგზავრებს,
მათ ადრე ჩვენი გული უცემდა,
სამყოფელს ისევ ჩვენში ეძებენ...

ზოგჯერ ხელს მკიდებ, ფრთხილად მაფხიზლებ,
და მერე ვხვდები, რომ აქ არ ვიყავო...

მაგრამ შენამდე როგორ მოაღწევს,
რაც გულში დარჩა უხმო კითხვებად,
მდევს უთქმელობის ჩუმი ბიძგები,
ჩემთვის რომ ვგრძნობ და არ იკითხება.

(ის)

(ის) უკვე იყო...
ის ხომ სიტყვებმა გააფერმკრთალეს,
სიტყვებმა გაიტანეს გულიდან
და შემოდგომის ქარს გაატანეს;
იქ იყო მისი ადგილი
ფოთლებაჭრელებულ ტყეებში,
მონატრებისგან ამღვრეულ ჰაერში.

ის ყველგან არის,
რადგან სიტყვებმა მოასწრეს და
ჭიანჭველების სიბეჯითით
ამოზიდეს თავის ბუდიდან
და მარცვალ-მარცვალ გაიტანეს გარეთ, —
გულსგარეთ;
ამიტომაც ის ყველგან არის,
ოღონდ გულსგარეთ:
იქ, სადაც ასკილი მწიფს საკუთარ ღიმილში,
იქ, სადაც გეორგენის ყვავილი
გამვლელთა დაჟინებული მზერით იშლება,
იქ, სადაც კოპლებიანი პეპელა დაფარფატებს,
რათა სიჩუმის მოძრაობის დანახვა შევძლოთ
და იქაც, სადაც სარკეები ისე გიშხერენ,
რომ თითქოს შენში
ისევ უნდათ, აღმოაჩინონ იმის ნამცეცი,
რაც უკვე იყო, გულში იყო
და თვალებში ისე გამოჩნდა —
მდინარესავით, ცა რომ ირეკლავს.

(ის) უკვე იყო,
მაგრამ რაღაც მაინც დარჩა
და სიტყვები ჭიანჭველების სიბეჯითით
ისევ გარეთ ეზიდებიან, დაუსრულებლად ეზიდებიან
და, სამწუხაროდ, ვერ გამოლიეს,
(ის), სწორედ (ის), რაც უკვე იყო!

მზიან სარკმელთან, იანვარში,
კაქტუსმა ისე გაახილა ყვავილი,
ვიფიქრე, მართლა გაუხარდა ჩემი დანახვა,
თუ მომეჩვენა,
როცა გამხმარ ფოთოლს ვაცლიდი?!

ჩვენ ხომ ორივე
თვალს ვაპარებთ გაზაფხულისკენ...

ჩემ სიტყვებს აპობს...

დამეხსენი, სამხრეთის ქარო,
შენმა სუნთქვამ ხელნაწერი შეაფრიალა
და შემეშინდა, რომ წამართმევდი,
ან რად გინდოდა?!

მე ხომ მახსოვს, ქარი სულია,
არავინ იცის, საიდან მოდის
და საით მიდის...

უმიზეზო დარდი დამჩემდა,
უნებლიე გვრინს* დღესაც გული ამოვაყოლე
და ამედევნა ნაცნობი ქარი,
რომ მწუხარების ექოდ გააბას
გულის სიღრმიდან დაძრული გლოვა
და აღივსება შენი თანხლება კოსმიურ ხმებით
და თავის სუნთქვით რომ მოიცავს
უსასრულო ცას,
ბენვზე ჰკიდია ჩვენი სიცოცხლე
და ზოგჯერ წყდება სახმო სიმით...

ბალახიც ხომ მიწის შვილია,
ჩემსავით მასაც ჩურჩული შთანთქავს,
ჩემ სათქმელს ზოგჯერ ბალახი ამბობს,
და ვიმეორებ ბალახის ნათქვამს?!

* გვრინი, გურინი — საგლოველი ხმაი (სულხან-საბა ორბელიანი)

ახლაც ვერ ისვენებ, შენში ქადაგი ხტის:
დამეთა თევაში ფულს ვინ გადაგიხდის?!
ეგ სულიც, სხეულის კედლებს რომ აწყდება,
იმარჯვებს, როდესაც ხელახლა მარცხდება,
შენ მარცხს შეეჩვიე, შენს კარის მეზობელს,
იგივე იგავენს გაიმბობს ეზოზე!

თიპარკლის გზა

მე ზედაპირს ველარ ვამჩნევ,
სიღრმემ წაშალა,
იგი მუდამ უჩინარდება,
ბოლოს მაინც ჩემში ვპოულობ...

შენ თუ გხედავ, მხოლოდ იმიტომ,
რომ შენი ხმა ჩემშიაც უღერდა,
მე შევეზარდე შენს სიახლოვეს
და სამივე დრო ვიპოვე ერთად.

აღარ ვკითხულობ, რა მომელის,
როგორც მიპოვა, მკარგავს ასევე,
ლამეებს ვადნობ გამუდმებით,
უხმო სიტყვები შუქით მავსებენ...

დანმენდილია გაუმხლებელ დროის დუმილი,
მუნჯი დღეები ამოუთქმელ სიტყვებს ისხამენ
და სადაც სუნთქავს სიყვარულის უსასრულობა,
იქვე იგრძნობა ჟამი მრისხანე...

შენ გადაფხიკე ზედაპირის ბუტაფორია
და შეგაშინა სიღრმემ ისე უდაბურია
და რომ ეს შიში უსასრულო დროის შიშია —
ფრთებივით ეძებ გაელვებას მეტაფორიანს...

შენ რომ ხარ

გზად ყოველ ნაბიჯზე ხიფათი მიხტება,
შარს ხომ უშრომელად ვიძენ
და მაინც მტკიცედ ვარ, არ ვიტეხ იხტიბარს,
დღეს შენი სიშორე სულ ახლოს ვიგრძენ.

ეს დრო უმიზეზოდ აღარ მოდის
და ცდილობს სულში შეცოცებას,
დღეები დილიდან საღამომდი
თვალსა და ხელს შუა მეძინძება.

მე ჩემზე მეტად, უცნობი მეცოდება,
იგი ხომ ყოველთვის ჩემშია,
უცხოსაც მოყვასი ეწოდება
და ის არავისში შემშლია...

სიშორის სიახლოვე დღესავით —
შანსია სურვილის ახდენის,
შენ რომ ხარ, აქ რომ ხარ, ეს არის
ჩემი სიყვარულის საყრდენი.

ეს ნაბიჯიც იმ დროსთან მიდის,
რომ იმალება და ისევ ჩნდება...

სიზმრის გაგრძელებაა ეს ქუჩა —
ყვავილებიან აივნებით და სიჩუმით,
სადაც სიცოცხლე
ძილ-ბურანის ზღვარზე არსებობს...

როცა ზარის ხმა ისე გწვდება,
გულისცემისგან ველარ ანსხვავებ
და ჩნდება კითხვა, ვის უხმობს სიტყვა?!
როცა ფანჯრებში გამოღწეული მზერა გადაგდებს
სამშვინველის მოუსვენრობას.

ჩემად რომ დგახარ,
მამინაც ხომ სადღაც მიინევ
და შენთვის უსმენ ფიქრის ნაბიჯებს, —

ისინი მუდამ სხვაგან მიდიან
შენთან ერთად და უშენოდაც...

ასე ივინყებ საკუთარ თავს,
თან ვერ ივინყებ...

ზარის ხმით იგრძნობ მის სიახლოვეს —
ვინც შებინდების სივრცეს აღრმავებს
და სულს მსჭვალავს უმიზეზო დარდის სინათლე...

არის წუთები, თვალს ვერ გისწორებ,
აგარიდებ და სულში ჩამხედავ
და ჩემი ღამე იქცა მინურად,
წარმოსახვიდან მზირალ ამ ხედად.
იმედი ვიდრე გადამენურა,
შერიგებამდე ვიქნები სულ შინ,
ხომ არ მერჩივნა, იქვე მეცურა,
გამჩენი ღმერთის ნაჩუქარ სულში...

და და! დაუღასტურაა დავიძ!

ო ამა ო ება ამაო ოამა
ო ება ეამა ამაო ება ამაოება აბეოამა
და სხვა რა ებადა
და რაც არ ებადა,
ება და ეკიდა!
ყოველდღე ყიდაა
ძვირად ხან ეფად
და რაც მას ებადა,
ება და ებადა ება და ება,
ამაო ება!

არ ამოსულა ჯერ ბალახი
შენს ნაკვალევზე...

მოკვდა ჩემი ალტერ ეგო,
მე შევიგრძენ მატოობის ქეშმარიტება
და აღვივსე სიცარიელით.

შემოდგომა ჩემთვის არ მოდის
და ველარ ვამჩნევ მოელვარე ფერადებს ბაღში,
თითქოს ვიღაც გაქვავდა ჩემში
და ვივსები მხოლოდ სიცივით.

უცხოა ყველა ამ ქალაქში, ვინც კი მიყვარდა
და სიყვარულის არ იყო ღირსი,
ვერ დავიმალე საკუთარ თავში,
რადგან გაქრა ალტერ ეგო —
ერთადერთი თავშესაფარი.

არ ამოსულა ჯერ ბალახი
შენს ნაკვალევზე...

იგი გულის ღიაობაში გაუჩინარდა
და სხვად იქცა,
ველარ ვპოულობ ისეთს, წინათ როგორიც იყო,
მაგრამ რატომღაც იმ წუთს ვეყრდნობი,
ნაკადივით რომ იჭრება ჩემში
და უნებლიეთ ვყვები უბრალო მოძრაობას,
რომელსაც თურმე არ გააჩნია ათვლის წერტილი
და ბუნების კარნახს ასრულებს.

აი, ეს არის ღვთაებრივი წრე,
რომლის ცენტრი ყველგანაა,
ირგვლივეთი კი არსად არის,
არც არსებულა!
მაგრამ ოდესღაც, ჩვენ გულს დაგვაკლდა
და ირგვლივეთი ყველამ ერთად წარმოვიდგინეთ,
ამის შემდეგ ის არსებობს უძველესი აპოკრიფივით
და ჩვენთან ერთად მოჩვენებით ყოფნას აგრძელებს...

ასე უჩყყდებოდა გული ჩემ ძმასაც,
როცა რაიმე ალაფრთოვანებდა,
ახლა ის სხვაგანაა და მისი გული
მიკავშირდება მზის სხივით და
შემთხვევით გამკრთალ ღიმილით,
თავს რომ მახსენებს დროდადრო
და სხვა ტალღაზე გადავყავარ სულ უნებლიეთ.

ახლა მისი სულის უთვალავი სენსორი,
გამჭოლად მხედავს
და ვიდრე მას ვეტყვი რამეს — მანამდე იცის,
ჩემად კითხულობს ჩემს ნაფიქრალს
და მპასუხობს უხმო სიტყვებით...

სულები ასე საუბრობენ აქაც და იქაც,
სიტყვის უთქმელად, ფიქრის ენაზე...

2014 წელს ჩვენი ჰაიდვეგერიანული ბიბლიოთეკა კიდევ ერთი, ამჯერად, „ანთოლოგიური“, შემადგამელი წიგნით გამოდირდა. კრებულს ეწოდა გერმანელი ფილოსოფოსის ერთ-ერთი წერილის სათაური — „რა არის ეს — ფილოსოფია“ (რედექტორია ჰაიდვეგერის ცნობილი მთარგმნელი და მკვლევარი, ფილოსოფოსი გიორგი ბარამიძე; გამომცემლობა „Carpe diem“) და მასში გერმანელი ჰაიდვეგერის ქართულად მთარგმნელი პუბლიკაციები, ცხადია, გარდა დიდი მოცულობის „ყოფიერებისა და დროისა“.

კრებულში შესული მარტინ ჰაიდვეგერის ცნობილი ესე „ჰიოლდერლინი და პოეზიის არსი“, რომელიც ქართულ ენაზე პირველად 2002 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „აფრაში“ (მთარგმნელი ნაირა გელაშვილი). წიგნში დაბეჭდილ პუბლიკაციას თან ერთვის მთარგმნელის მცირე, მაგრამ ძალზე საინტერესო ესე, ჰაიდვეგერის ხსენებული ტექსტის ერთგვარი მიმოხილვითი შესავალი, რომელშიც, ჩემი აზრით, სავსებით მართებულადაა ხაზგასმული და მონიშნული ის, ერთდროულად, მეთოდოლოგიური და ესენციური მიდგომა, კონცეფცია, რომელსაც ნაწამდღვრად გულისხმობს ლიტერატურათმცოდნეობითი ტრადიციისათვის ესოდენ უცნაური და უცხო ტექსტი, ერთგვარი ჰერმენევტიკულ-ფენომენოლოგიური ეტიუდი. საინტერესო და არსებითი საკითხია, ჰაიდვეგერის ამ ტექსტს რა ჟანრობრივი გარკვეულობა, ჩარჩო შეიძლება მოეძებნოს; რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ხსენებული ტექსტი ჰიოლდერლინის პოეზიის თუნდაც ჰერმენევტიკულ, მაგრამ მაინც — ექსპლიციტურ ანალიზად, ესთეტიკური კვლევის ნიმუშად, თუ ის, როგორც მთარგმნელი ამბობს: „აღმოცენებულია აზროვნების აუცილებლობიდან და პოეზიასა და აზროვნებას შორის საუბარს წარმოადგენს“?

შეიძლება ითქვას: ის, რომ მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელოვნობასა და ღირებულებას მისი ინტერპრეტაციული მრავალფეროვნების შესაძლებლობა და ღიაობა განსაზღვრავს და, ზოგადად, „გაგების“ პრაქტიკაში ნებისმიერი ტექსტი შეიძლება განხილვადი, როგორც ინტერპრეტაციის მიმართ ერთგვარი ცარული, „ჩვენ“ სივრცე, რომელიც აბსოლუტურად ღიაა ყოველგვარი ცოდნის, გამოცდილების წინაშე, გულისხმობს კიდევ იმ გარემობას, რომ მასში (პირველად ტექსტში) ინსპირაციულადაა მოდელირებული და კოდირებული სხვა ავტონომიური ტექსტების არსებობის შესაძლებლობა.

ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ჰაიდვეგერის განსახილველი ესე ჰიოლდერლინის პოეზიის, როგორც ერთიანი, „გაბმული“ ტექსტის ჰერმენევტიკული მეხსიერების ერთი მნიშვნელოვანი ინსპირაციული ნაფლეთია.

გარდა ამისა, ჩემი აზრით, ჰაიდვეგერის ტექსტი ჰიოლდერლინის პოეზიასთან მიმართებით კიდევ ერთი თვალსაზრისით შეგვიძლია წარმოვადგინოთ: თუ როგორ არტიკულირდება და ხორციელდება მისი (ჰაიდვეგერის ტექსტის) ენობრივი დისკურსი პოეტურის ამგვარ, პროფეტულ გაგებასთან მიმართებით კრიტიკისა და კომენტარის ბინარული ფუნქციების ერთდროული შემოკრებით; ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ ხდება პოეზიის ენის ალაპარაკება ისე, რომ ის ტექსტის მიმართ კრიტიკულ პარადიგმასაც წარმოადგენდეს და, ამავე დროს, კომენტატორულსაც?

როგორც ფუკო „სიტყვებისა და საგნების“ წერს: „კრიტიკა ენას იკვლევს, როგორც წმინდა ფუნქციას, მექანიზმთა ერთობლიობას, ნიშანთა ვრცელ ავტონომიურ სისტემას, მაგრამ არ შეუძლია, ასევე არ დაუსვას ენას კითხვა მისსავე ჭეშმარიტებასა და მცდარობაზე, გამჭირვალეობასა და ბუნდოვანებაზე, ანუ იმის არსებობის წესზე, ფორმაზე, რასაც იგი ამბობს სიტყვებით და მისითვე (სიტყვებითვე) წარმოადგენს, ნათელყოფს თავისი ამ არსებობის რავგარობას, წესს“.

ხოლო კრიტიკისაგან განსხვავებით, რომელიც „ენას ასამართლებს და უდიერად ეპყრობა“, „კომენტარი უნარჩუნებს ენას მთელს მის ყოფიერებას“.

ფუკო იმასაც მიუთითებს, რომ სწორედ ამ დაპირისპირებიდან გამოვიდა დღის სინათლეზე ფორმისა და შინაარსის და-

პირისპირება და თუ ამ პოზიციის დავუკავშირებთ ჰაიდვეგერის დამოკიდებულებებს ჰიოლდერლინის მიმართ, საინტერესო სურათს მივიღებთ.

შეიძლება ითქვას, რომ ჰაიდვეგერი, ერთის მხრივ, პროფეტულ და ჭეშმარიტების გამცხადებლის როლს ანიჭებს პოეტს, ხოლო, მეორეს მხრივ, მისთვის სულერთი არ არის, მისი (ჭეშმარიტების) გამჟღავნების ფორმა, რადგან ჭეშმარიტება შეიძლება გამრუდდეს, მოხდეს მისი პროფანაცია, შერყვნა და გაყალბება იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოვლენა, გამოთქმა ჭეშმარიტებით არ მოხდება. სწორედ ამაზე შეიძლება მიუთითებდეს ჰაიდვეგერის სიტყვები: „თავისი მონოდების ასე ღრმად შემგრძობი პოეტი რჩება რა თავის თავთან, წარმომადგენლობითად და ამდენად ჭეშმარიტად აწვდის თავის ხალხს ჭეშმარიტებას“.

ლექსო დორეული

პოეზია, როგორც „მადლთაგან უსაშიშესი“

ჰაიდვეგერის „ჰიოლდერლინი და პოეზიის არსი“

თუმცა, უნდა ითქვას, რომ, ჩემი აზრით, ჭეშმარიტება, როგორც ასეთი, ამ დისკურსში, არ არსებობს როგორც დამოუკიდებელი მეტაფიზიკური ხდომილება, ან აქტი, რომელიც უნდა გამოცნობილი, გამოქვეყნებული იქნას, თუნდაც პოეტის მიერ. ამგვარი გაგება ერთმანეთისაგან მკვეთრად თითავს და აცალკევებს ფორმისა და შინაარსის დიქტომიას, რომელიც ამ პარადიგმაში დაუშლელ იდეად არსებობს. ჭეშმარიტების (შინაარსის) ჭეშმარიტად (ფორმისეულად) გამოთქმა ერთდროული და ანაზღეული პროცესია, მიუხედავად იმისა, რომ მისი (ჭეშმარიტების) ლინგვისტიური გამოთქმა, განხორციელება და პროექცია დროში ხდება.

თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი რამ „ყველა პოეზიაში“ არ ხდება. ჰაიდვეგერი წერილის შესავალს საგანგებოდ უძღვნის იმ საკითხის მოკლე გააზრებას — რის კონტრატაციასაც, ამავე დროს, მთლიანი ესე წარმოადგენს — თუ რატომ ჰიოლდერლინი და, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „და რატომ არა ჰომეროსი ანდა სოფოკლე, ვირგილიუსი ანდა დანტი, შექსპირი ანდა თავად გოეთე?“.

ჰაიდვეგერი ხომ იქვე თავადვე აღნიშნავს, რომ „ამ პოეტების ქმნილებებში პოეზიის არსი ასევე და უფრო მდიდრულადაც კი არის განხორციელებული, ვიდრე ჰიოლდერლინის ადრიანად და ანაზღეულად გადასხვრულ პოეზიაში“.

საქმე ისაა, რომ ჰაიდვეგერისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა არა პოეზიის არსის განხორციელების, ობიექტად ქცევის პროცესი, რომელიც შეიძლება სულაც „ხმა შეუცვალოს“ (ნაირა გელაშვილი) და გადაავაროს მისივე წმინდა საზრისი, არამედ თავად მისი საკუთრივი ბუნება. სწორედ ამიტომ, ჰაიდვეგერი ჰიოლდერლინს „პოეტის პოეტს“ უწოდებს, რომელმაც უნდა შეძლოს და ენაში უცვლელად გამოთქვას პოეზიის წმინდა, უხეშად თუ ვიტყვი, „ჩანერამდელი“ არსი.

ერთ-ერთი მთავარი და საკვანძო საკითხი ჰაიდვეგერთან არის, თუ რამდენად უწყინარი და უცოდველია პოეზია და წარმოადგენს თუ არა ის უბრალო თამაშს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქმას, სიტყვას ახლავს თუ არა ქმნა, გამოთქმას — მისი ავტომატური დაფუძნება, შეუძლია თუ არა ტექსტს, რომ მოხდეს?

შეიძლება ითქვას, რომ, ჩემი აზრით, ჰაიდვეგერის პასუხი ამ კითხვაზე არაერთგვაროვანია. ის, ერთის მხრივ, მიიჩნევს, რომ „პოეზია უფრო თითქოს ზმანებაა და არა სინამდვილე, სიტყვათა თამაშია და არა მოქმედების სერიოზულობა“ და, ამდენად, პოეზიის მოპოვება, მასზე რეფლექსია მთლიანად ენის საუფლოშია შესაძლებელი, მაგრამ ამავე დროს, მნიშვნელოვანი და არსებითია იმაზე რეფლექსია, თუ როგორ ესმის ჰაიდვეგერს ჰიოლდერლინის ენისადმი დამოკიდებულება, რომელიც, მისი აზრით, გამოიხატება შემდეგ სიტყვებში: „[...] და ამიტომაც ეწყალობა კაცს მადლთაგან უსაშიშესი: ენა, რათა თქმითა და განადგურებით, თავქვე სვლითა და კვლავ დაბრუნებით მარადის ცხოველ მოძღვარ დედასთან, წარმოქმნას და წარმოაჩინოს,

რაც არის თვითონ და რაც მიიღო, დამოძღვრილმა თავად დედისგან მემკვიდრეობად“.

ჰიოლდერლინი ამ მემკვიდრეობად სიყვარულს მიიჩნევს, თუმცა ჰაიდვეგერისთვის ეს, ამ კონტექსტში, ნაკლებად არის საინტერესო. მისთვის მნიშვნელოვანია იმ პარადოქსზე რეფლექსია, თუ როგორ შეუძლია „ქმედებათაგან ყველაზე უწყინარს“, ამავე დროს, იყოს „მადლთაგან უსაშიშესი“?

ჰაიდვეგერი ამ დაპირისპირების ანალიზისათვის სამ „მოსაზრადებელ კითხვას“ გამოყოფს.

რეფლექსია იწყება იმის ანალიზით, თუ ვისი მადლია ენა.

აქ უპირანია მცირე სემანტიკური ანალიზი გერმანული ტერმინისა „ზეუგენ“, რომელიც წარმოქმნასთან ერთად, წარ-

ბას იმისათვის, რომ ისტორია არსებობდეს. მაშასადამე, ენა, როგორც მადლი მიეცათ ადამიანებს, რათა ყოფიერება გამოთქვან ისტორიაში.

აქედან იწყება ჰაიდვეგერის მიერ იმის ანალიზი, თუ რამდენად არის ენა, როგორც ბოძებული მადლი „უსაშიშესი“. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ენის გაგება, როგორც საფრთხის შემცველი მოცემულობის, მეტიც, როგორც საფრთხეთა საფრთხის, ისეთი რამის, რაც თავად საფრთხესვე უსწრებს და ემუქრება ყოფიერებას ყოფიერებითვე. ეს კი შეგვიძლია გავიგოთ ისეც, რომ ყოფიერებაში მყოფთ, ენა ემუქრება ყოფიერებასავე დაკარგვით და, რაც ასევე არსებითია, ამით ენა ემუქრება და საშიშროებას უქმნის საკუთარ თავსვე, რომ საკუთარ ვალს — ყოფიერებაში გააცხადოს ქმნილება — ვედარ ალასრულს.

მესამე ეტაპის გაგებისთვის კი ჰაიდვეგერი კვლავ ჰიოლდერლინის მიმართავს, რომელიც ერთ-ერთ ფრაგმენტში წერს: „შენ ღვთაებას ესიტყვებოდი, ის კი თქვენ ყველამ დაივიწყეთ, რომ პირველადი მოკვდავთ კი არა, ცივით ეკუთვნით. ჯერ უნდა უფრო გაუბრალოდეთ, გაყოველდიურად ეს ნაყოფი და მხოლოდ შემდეგ იქცევა იგი ადამიანთა კუთვნილებად“.

სიტყვის, საზრისის „გაუბრალოების“, „გაყოველდიურების“ მიზანი კომუნიკაცია, გაგებინებაა; აუცილებელია, რომ ის საყოველთაო გახდეს, ანუ, შეიძლება ითქვას, ყოფიერებაში მძლავრად გადაგვას ფსიქი და ამგვარი ონტური სიახლოვის გამო გასაგები გახდეს ყველასათვის.

ალბათ, ეს ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს ჰაიდვეგერი სემიოტიკურ დისკურსში აბრუნებს ენობრივი კომუნიკაციის პრობლემის გააზრებას. ალბათ, აქ უპირანი იქნება, თუ გამოვეკვეთთ მისი „ყოფიერება და დროის“ ერთ-ერთ მთავარ პრინციპს, რომ ყოფნა იმდენად ახლოებულია ონტურად, რომ ონტოლოგიურად შორი აღმოჩნდა. შესაბამისად კი, ჰაიდვეგერის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ენა თავის ქმნილებაში იმალება, რის გამოც მისი არსებითი სიტყვის მოხელეთებს ვერ ვახერხებთ ჩვენ გამოცდილებებისა და განცდათა არსობრივი დაშორებულობის გამო მასთან („არსებით სიტყვასთან“).

ხოლო სწორედ იმიტომ, რომ ენამ ვალი მოიხადოს და ყოფიერი მის ქმნილებაში გააცხადოს, საჭიროა მანვე ჩააყენოს ჭეშმარიტი თქმა ხიფათში.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ, ჰაიდვეგერის აზრით, „არსებითი სიტყვის“ ყველას კუთვნილებად გახდომა მისი არსების მხოლოდ შედეგია და არა თავად — მისი არსი. ჰაიდვეგერის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ენა არის არა მარტო ის იარაღი, რომელსაც ადამიანი მრავალ სხვა იარაღთან ერთად განავსებს, არამედ მხოლოდ ენა გვირდება შესაძლებლობას ყოფიერების ღიაობის გულში დგომისას“.

ასე რომ, ენა მხოლოდ ყოფიერების გამოთქმის საშუალება კი არ არის, არამედ, „სადაც ენაა, იქ არის სამყარო“. ის, ამავე დროს, თავადვე განსაზღვრავს და ახორციელებს ყოფიერების ყოველგვარ შესაძლებლობას და თუ როგორ არის ეს შესაძლებელი, ამ საკითხზე ჰაიდვეგერი მიმართავს ისევ და ისევ ჰიოლდერლინის ერთ ლექსს, სადაც საუბარია იმ საერთოობაზე, იმ ერთ საუბრად ყოფნაზე, რომელიც გულისხმობს მოსმენის შესაძლებლობასაც.



მოჩენას, ჩვენებას, მოწმობას ნიშნავს. ჰაიდვეგერი მისთვის დამახასიათებელი სტილით თამაშობს ამ სიტყვის „სემანტიკურ ვალენტობაზე“. მისი აზრით, ადამიანი მისი მინისადმი, ყოფიერებისადმი მიკუთვნებულობის წარმომჩენ-წარმომბობია, რამდენადაც ის ყოფნის თანხლებობის, დასწრებულობის გამოხატვას კი არ გულისხმობს, არამედ ის მის ნიაღშია და უშუალოდ იღებს მონაწილეობას მის წარმოქმნაში. ადამიანი მიეკუთვნება მინას, რაც მისი ყოფნაში მონაწილეობის, ფესვგადამულობის სიმბოლოა, მას ონტური და, ამავე დროს, ისტორიული (გავიხსენოთ ტერმინები, რომლებსაც ჰაიდვეგერი ამ კონტექსტში იყენებს: „მემკვიდრე“ და „მონაფე“) მიმართება აქვს იმ საგნებთან, რომლებიც მის ამ ჩართულობას საზღვრავს და განაპირობებენ.

თავის მხრივ კი, ეს საგნები ერთმანეთის მიმართ ერთდროულად დაპირისპირებასა და ერთიანობაში იმყოფებიან მათი, როგორც ჰიოლდერლინი უწოდებს, „შინაგანობის“ ძალით.

ამავე დროს, ენა წარმოადგენს იარაღს, საშუალებას, ბოძებულ შესაძლებლო-



ჩემი აზრით, ჰაიდგერის მიერ განვიტარებული ამ პარადიგმის კონსტატაცია და გაცოცხლება მოხდა დერვიდას „ხმა და ფენომენი“¹, სადაც ენა სულმა, ან იქნებ ენის სულმა, ან სულის ენამ ჩაანაცვლა, რომელიც ავტომატურად მდგომარეობაშია: ის ლაპარაკობს და, ამავდროულად, უსმენს თავის თავს, ხოლო ადამიანი ვალდებულია მისდოს და დააკვირდეს ენის ტრანსცენდენტალურ მოუსვენრობას.

ამდენად, ერთ საუბრად ყოფნა გულსხმობის მოსმენისა და საუბრის ერთად, ერთში არსებობის შესაძლებლობას, რომელსაც, ჰაიდგერის მიხედვით, მუნყოფიერება შეიცავს.

ჰაიდგერი თვლის, რომ ჩვენი „საუბარში შეყვანა“, გარკვეული თვალსაზრისით, ნიშნავს იმასაც, რომ ყოფიერება დროით საზრისს იძენს და აცხადებს, რომ ენა ყოფიერების გამაერთიანებელი მოვლენაა.

ამის შემდეგ ჰაიდგერი გადადის უშუალოდ პოეზიის არსის განხილვაზე და ასახვითებს დებულუბას, რომ პოეტი ის ადამიანია, ვინც „დამრჩომი“ უნდა დაიცვას გასხლტომისაგან და გახსნას მისი ლიობა.

პოეტი არის საგანთა და, თუნდაც, ღმერთთა სახელმძღვანელი; მაგრამ აქ არ იგულისხმება ის, რომ ჰაიდგერი საგნებისთვის საზრისის მინიჭების პროცესს აღწერს, თუ მის „ყოფიერებასა და დროს“ გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, რომ ის მთელს ამ ბუნებრიობას მოიცავს და სწორედ ამიტომ პოეზია ყოფიერების სიტყვიერ ქმნადობად მიაჩნია, ხოლო თავად ყოფიერება საფუძველშივე პოეტურად.

ასე გაგებული პოეზია ზოგადდება, ივრცობა და მთელს თავის ონტოლოგიურ სხეულს იკრებს. ის არ არის კულტურის განვითარება, ანდა კულტურული მოვლენა, პოეზია ჰაიდგერისთვის „ისტორიის შემაკავებელი საფუძველია“ და, ამდენად, პოეზია საკუთარი თავის განხორციელებისათვის ენას, როგორც მექანიზმს კი არ იყენებს, არამედ ის თავად ხდის ენის არსებობას შესაძლებელს და, შესაბამისად, თავად ენის არსი პოეზიის არსიდან შეიძლება განისაზღვროს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჰაიდგერი უბრუნდება თავდაპირველ თეზისს, ერთგვარ, ასევე პროფეტულ განაცხადს, რომ ენა (პოეზია) ყველაზე უწყინარი და, ამავდროულად, მაღლთაგან უსაშიშესი მოვლენაა და რომ ამ ორი დაპირისპირებული აზრის ერთ აზრად გამოთიანება, გააზრება ნიშანდობილია პოეზიის არსის ქვრების.

ჰაიდგერის მიერ გააზრებული ეს პროცესი, ღმერთების მეტყველებიდან წმინდა, მთავარი სიტყვის „დაჭერის“, გამოხსნის და ჭვრეტის პროცესი, ალბათ, გარკვეულ მიმართებას და კავშირს შეიცავს ჰერმენევტიკის იმ ტრადიციულ, მიოლოგიურ გაგებასთან, რომელიც, მეტაფორულად თუ ვიტყვი, „პირველ ჰერმენევტიკოსს“, ჰერმესს მიემართება, რომელიც გამტარი, შუამავალი, მედიუმი იყო ღმერთებისა და ადამიანების ენებს შორის.

ჰაიდგერი ამ კონკრეტულ ტექსტშიც პირდაპირ მიუთითებს, რომ „თავად პოეტი მათ შუა დგას — ღმერთთა და ხალხს შუა“. მაგრამ, ამ თვალსაზრისით, ის მხოლოდ უბრალო გამტარი კი არ არის, არამედ ის არის უფლებამოსილი, მას გააჩინა ლეგიტიმაცია, გადაწყვიტოს თუ რა არის ადამიანი და მისი მუნყოფიერება.

როგორც ჰაიდგერი მიუთითებს: „...და მინიშნებანი ოდითგან ენაა ღმერთთა“

ჰაიდგერიც ასევე ფიქრობს, რომ „პოეტი პირველსავე ნიშანში ჭვრეტს საბოლოო სისრულეს“.

ამ ციტატასთან მიმართებით შეგვიძლია გავიხსენოთ, თუ როგორ არის ზოგადად ჰერმენევტიკაში ნაწილისა და მთელის მიმართების საკითხი წარმოდგენილი და როგორ შეიძლება მთლიანობის სისავსით წვდომა მისი ნაწილის ცოდნით. ნაწილის, ამ შემთხვევაში — „პირველი ნიშნის“, გაგება, ერთის მხრივ ხდება, როგორც მთელის ნაწილის, მეორეს მხრივ კი — როგორც თავად მთელის, რადგან მასში მოცემულია საერთოობის, იდენტობის ცოდნა, რის ირგვლივაც აიგება და სხეულს იკრიბებს „პირველი საუბარი“.

ჰაიდგერისათვის, ჰაიდგერისათვის სწორედ ის „პოეტის პოეტი“, რომელიც „პირველი საუბრიდან“ ამოიფრავს იმ მინიშნებებს, რომლებმაც უნდა შექმნან ჩვენი მუნყოფიერების ენა და ისტორია...

ნათია როსტიაშვილი

არ ჩანს დრიჰათ-ნუა ღურბინდის

— შენ რა გითხარი... ქალბატონი ხარ, აბა რა ხარ? მოდი, ერთი ჩაგისუტოს ამ ბებერმა ჯიმი ძიამ... ჩემი ბონდოსავით მიყვარხარ, ხომ იცი... სამივენი მიყვარხართ: შენც, ნუაც და ალენიც. ალენის ავადმყოფობა შენყინა ძალიან, მაგრამ გაივლის, გაივლის... სულ ერთად ჩაამთავრეთ სტუდენტობა და მერე როგორ შემოდგომის ფოთლებივით დაიფანტეთ, კაცო?! სიმღერა იყო, ჩემ დროს, ასეთი: „სიყმაწვილისი მეგობრები დაშორდნენ ფოთლებივით... დაშორდნენ ფო-ოთ-ლე-ე-ე-ბი-ი-ვიით...“

სამივემ მაღლიერებით გაუღიმა ბონდოვიჩს, ეგ იმისთვის, რომ სტუდენტობა დაინდო, მხოლოდ ორი ფრაზა დაამღერა და არა მთლიანი სიმღერა.

— აბა, ინსტიტუტი დაამთავრეთ თუ არა, ჩემმა შვილმა სოფლის მასწავლებლობა ისურვა და მათი გამეცა, ნუაც სადღაც საზღვარგარეთ გაემგზავრა... ბიჯო, იმ ქალაქში ხომ არ ცხოვრობ, რომ დაღევი და გამიშვით, მივდივარ, ყვიროდი, რაღაცა-ნუაში უნდა წავიდეთ...

— როგორი შარბანი სიმთვრალე იცოდა ნუამ და ჯიმი ძიამ კიდევ — მურტალი პახმელია, — სიცილით ჩასჩურჩულა ანინამ ბონდოს.

— ჰო, მამაჩემმა ახლაც საშინელი ნაბახუსევი იცის... — „მურტალი პახმელია“ ყურში ცუდად მოხვდა და მექანიკურად „გადაათარგმნა“ ბონდომ.

— ბიჯო, ნუა, მართლა არსებობდა ეგეთი ქალაქი?

— კი, ჯიმი ძია, არსებობს დრიჰათი-ნუა, ირლანდიაში... — გაეცინა ნუას, — ვიცი, რომ ტვინს გიჭამდით ყველას, რაღაცნაირად ამოჩემებული მქონდა, რა ვიცი... — ირლანდიაში? იქ ცხოვრობ? დაოჯახდი?

— არა, კიევში ვარ. ქართველი ცოლი მყავს, იქ გავიცანი. ერთი შვილი გყავს. ბონდოს უნდა მოვანათლინო, პირველ კურსზე შევპირდი, ჩემს მაგივრად დაწერილი საკურსოს სანაცვლოდ. სიტყვა სიტყვაა.

გაცივინს.

— შენ ეგ მითხარი, შვილს ნუა ხომ არ დაარქვი, ბიჯო, ხომ არ გადარიე კიეველუბი? — გულანად გადახიარხარა ჯიმი.

— აჰ, არა, რას ამბობთ... — იუარა ნუამ, — გოგონაა...

— რა, რახან შენ დაისაკუთრე ეგ „ნუა“, აუცილებლად მამრობითი უნდა იყოს? შენ რა გითხარი... — ისევე გადახიარხარა და უცებ დასერიოზულდა, — დედაშენის სახელს დაარქმევდი, ვიცი. კარგი ქალი იყო, კარგი... ბონდო, ჩამოასხი, წასულეებისა და ვილოთ...

— დრიჰათი, — ნუამ ბონდოს ჩიქა გაუწოდა, — დრიჰათი დავარქვი, ჯიმი ბიძია...

სიჩუმე. როგორც ბონდო იტყოდა — „სამარისებური.“

და მოხდა სასწაული. პირველად ცხოვრებაში, ბონდომ გაბედა და ყველას დაასწრო. იმხელა ხმაზე გადახიარხარა, შემომატებულმა სამ ხმაში გაშლილმა სიცილმაც რომ ვერ გადაფარა.

— ბიჯო, ბონდო, ჩამოხსენი ის სურათი კედლიდან და მოიტანი, ალენიც ჩვენთან იყოს ამ მხიარულებაში, — სიცილის ცრემლები ხელსახოტით რომ შემიშრა, მერე უთხრა ჯიმიმ შვილს.

ბონდომ ჩარჩოში ჩასმული ფოტო საზეიმოდ შემოიტანა ოთახში.

— ვაჰ! — ფოტო ჩამოართვა ნუამ, — მე რატომ არ მაქვს? ვინ გადაიღო? მაგარი კადრი კი დაუჭერი, ვინცა!

— ჩემი მეზობლის გოგომ გადაგვიღო პაპარაცულად. წლების განმავლობაში სახლში ეგდო თურმე ეს ფირი. ეგდო, ეგდო... და ერთ დღესაც, ძველი ფირების გამყუდროების ხასიათზე დადგა. დამიბეჭდა და მაჩუქა. გეფიცებით, ასე ცხოვრებაში არცერთი საჩუქარი არ გამხარებია! გეფიცებით! — ნასვამი ორმაგად გულჩვილი ხდებოდა ბონდო.

— აჰა, როგორი კადრია? — ისეთი სიამაყით იკითხა ჯიმი ბონდოვიჩმა, თითქოს საკუთარი ხელით გაემყუდროების ის „ეგდო-ეგდო“ ფირი.

— ძან მაგარია! — სახე გაეხადრა ნუას.

ანინას არაფერი უთქვამს, ერთი დახედა და სურფას მიუბრუნდა. ლარნაკიდან მექანიკურად აიღო ატამი და გათლა დაიწყო. არც გახსენებია, რომ ატმის ბუსუსებიან კანს ხელს ბავშვობიდან ვერ კიდებდა.

ნუა თვალს ვერ აცილებდა შავ-თეთრ ფოტოს. ყველა დეტალს აღფრთოვანებული აკვირდებოდა. მართლაც, შთამბეჭდავი კადრი იყო — რომელიღაც სკვერში სკამზე სამნი სხედან: ანინა, ალენი და ნუა. მძინარე ანინას ალენის მხარზე მიუდია თავი. ალენი, თითქოს, კოცნას უპირებს. სულ რამდენიმე სანტიმეტრი ამორებს ალენის საკოცნელად გამზადებულ ტურჩებს ანინას ცხვირის წვერისგან, თუ ტურჩებისგან. ასე, ერთი შეხედვით, ძნელია მიხვდე, საით უმიზნებს... თმაგაბურქმნილი ნუა სიგარეტს ეწევა. ამათ უკან, მოშორებით, ბუსუსებს ბონდო დგას. ხელში ღურბინდი უჭირავს, მაგრამ ღურბინდს კი არა, მეგობრებს მისჩერებია.

— ჯიმი ძია, რომ იცოდეთ, აქ თქვენგან ანაპნილ სიგარეტს ვაფუილებ, — გადახიარხარა ნუამ, — ბონდო, შენ რომ ღურბინდიდან დრიჰათ-ნუაში არ გამახედე, ეგეც მახსოვს. ანინა, უნდა გამოგიტყდე, სულ ბოლომით ვსკდებოდი, ალენის მკლავზე რომ გეძინა და არა ჩემსაზე... ბიჯოს, ალსარების ხასიათზე არ დამაყენა ამ სურათმა!

ყველამ გაცივინა. უფრო სწორად, ყველას მიწუსა ანინამ.

— რა ვქნა, არ ჩანდა, ბიჭო, ღურბინდიდან დრიჰათ-ნუა! — თავი იმართლა ბონდომ. ნასვამი ორმაგად გულუბრყვილო ხდებოდა ხოლმე.

იძ

— ნუა, როგორ გგონია, ჯანდაბა ბევრგანაა? ანუ ბევრია? — გულუბრყვილო ბავშვის ინტერესით იკითხა ალენმა.

— „ჯანდაბა ბევრგანაა“ რაღა ჯანდაბაა?! — სიგარეტი მიწაზე დააფერფლა ნუამ.

— ნელან რომ თქვი, მაგაზე ვამბობ, რაა... სიგარეტს რომელიმე ჯანდაბისკენ მოვისროდიო...

— ბევრიაზე მეტია... ყველა გზა ჯანდაბისკენ მიდის. მაგრამ შენ ნუ დაიძაბები, ძმაო ალენ, ჩვენი ოთხის ანგარიშზე მხოლოდ ერთი ცალი ჯანდაბაა.

— ერთი ჯანდაბა კარგია, ცოტაა, — გაეცინა ალენს. მერე ტურჩები, რამდენადაც შეეძლო, წინ წანია, მაგრამ ანინას მაინც ვერ მისწვდა, ვერ შეახო.

— ჩვენი ჯანდაბის ტერიტორია მთელ პლანეტაზე რომ მარტო ერთგანაა მოზომილი, ეგ კარგია, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ზუსტად მაგ ერთ ჯანდაბას ვერ ავაცილებთ და აჰა, ამ ჯოჯოხეთ სკვერში ვყრივართ, ამის დედა რომ ავაფეთქე!

— მაიცა, რაა თუ ძმა ხარ... აქ თუ ჯოჯოხეთია, სამოთხე სადღაა?..

— ვიცი სადაცაა: დრიჰათ-ნუაში.

— მაიცა, რაა... ნეტა, ამაზე მეტ „ჯოჯოხეთში“ არ მოგვახვედროს ღმერთმა. ამას როგორმე ავიტანთ...

ერთფეროვნების დედაც... ღმერთო, მოვიტხოვე, მოგვახვედრე სხვა ჯოჯოხეთში!!! — ბოლო „ი“-ზე ხმა ჩაეხრინა ნუას და ხმადაბლა დაამატა, — მაგრამ ამაზე მეტი ჯოჯოხეთი აღარ არსებობს, ამის...

დაიგრუხუნა. გრუხუნიც არ ეთქმოდა. დიდი აფეთქების, მსხვერვის, ქუხილის გამაყრუებელი ხმა იყო.

— მინისძვრაა? — დაიჩურჩულა დამფრთხალმა ბონდომ. თქვა თუ არა, მინაც შეზანზარდა.

— რა ხდება, ამის... — დაიძაბა ნუა.

— ალენე! — დაიკვილა ანინამ.

— ანინაა! — ანინას ხმა გადაფარა ალენის ყვირილმა.

გრუხუნის, გრგვინვა და მინისძვრა ნამეირი იყო. ყველაფერი მალევე ჩაწყნარდა. უცებ ალენმა ნელადღელზე ხმამალა და კიდევ უფრო განწირული ხმით დაიღრიალა:

— ანინაა!!!

ალენის მკლავზე თვა ალარ ედო ანინას.

ალარ იყო ანინა.

ალარც ალენის მკლავი იყო.

— ჩემი ბრაღია, — თქვა ნუამ და აკანკალებული ხელით რამდენიმე ნაფაზი

ზედინედ დაარტყა, — მე მოვიტხოვე სხვა ჯოჯოხეთი...

— შენ რა შუაში ხარ, ნუა... — დაამშვიდა შიშისგან გაფრთხურებულმა ბონდომ.

არაფერ შუაში იყო **(იქ)** ნუა.

ყველაფრის თავში იყო **(აქ)** ნუა.

აბ

ბონდომ, ანინას გასაცილებლად ქურთუკი რომ მოიცვა, კარი გააღო, ანინა გაატარა, თვითონაც გავიდა და კარი მიხურა — მამიმ ბონდო სახლიდან მსხვერვის ხმა.

სანამ ბონდო და ანინა ოთახში შევარდებოდნენ, მთვრალ ნუას უკვე მოესწრო ჩარჩოს შუშის ჩამსხვერვეა, სურათის ამოღება და გადახევა. მეორე ოთახში მძინარე ჯიმიმ ამ დროში მხოლოდ პოზის შეცვლა მოახერხა: გულალმა — მხარეთქოთი ჩაანაცვლა.

მაგიდაზე დაღვრილი წყლის გუბეში მოტივტივე ფოტოს ნაგლეჯმა მოგონებები ამოუტივტივა და თვალეხი აუნწყლიანა ანინას. ფოტოს ნახევზე, ანინასთან ერთად, წყლით იქლინებოდა ალენის მკლავი.

„ამის... ავაფეთქე...“ ბრაზმორეული ლულულებდა ძილ-ფხიზლის ზღვარზე მოქანავე შუბლშეკრული ნუა. აღინდელ თავის თავს ჰგავდა, სტუდენტობისდროინდელს.

იძ

— ბონდო, დრიჰათ-ნუა ისევ არ ჩანს შენი ღურბინდიდან?

— არა, ნუა, არ ჩანს.

— არც ანინა ჩანს შენი ღურბინდიდან?

— არა...

— ბონდო! — ღრიალებდა ნუა, — რა ჯანდაბად გინდა ეგ დედააფეთქებული ღურბინდი, თუ...

— ანინა! — წამოიძახა ალენმა, — სად იყავი, ანინა, რა დაგემართა? რატომ კანკალებ? როგორ დასველებულხარ! მოდი, გაგათბო.

ალენმა ანინა მიხუტა. ტურჩები წინ წანა, თავს ძალა დაატანა, რომ მისწვდომოდა, შეხებოდა. მთელი სხეული დაეჭიმა, ცოტაც, ცოტაც და... შეძლო! მისწვდა! აკოცა!

ნუამ თვალეხს ვერ დაუჯერა, იფიქრა, მეჩვენებო. მერე, როცა დაუჯერა, გაოცებულმა და გახარებულმა ჰკითხა ალენს: — როგორ მოახერხე, ძმაო? გეცმის ეს რას ნიშნავს? გამოდის — ეს წრე არც ისეთი ჩაკეტილი ყოფილა! ესე იგი, მეც შევძლებ, ეს ჯანდაბა სიგარეტი გადავაგდო და დრიჰათ-ნუაში დავანვქე!

ნუამ ნახევრადჩამწვარი ღერის წკიპურტით გადაგდება სცადა. პირველ ჯერზე არ გამოუვიდა, მაგრამ არ დაწებდა. ალენმა ხომ მოახერხა სასწაული: მანძილი, რომელიც ანინას ტურჩებს (ნესითა და რიგით — სამუდამოდ) ამორებდა, გადაეღალა? ხომ მოახერხა „გაშუშებული ნამში“ გადაადგილება? რითია ალენზე ნაკლები? მას რაღაატომ არ უნდა გამოუვიდეს?

ნუამ კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალა, მარცხენა მკლავის კუნთები და თითები დაჭიმა. საჩვენებელსა და შუაითზე, მათ შორის გაჩხრილ სიგარეტის ღერზე კონცენტრირდა, თვალეხი დახუჭა და სცადა, სიგარეტი „ჯანდაბაში“ მოესროლა...

აბ

— ბონდო, რა ჭირს, ბიჯო, ამ სურათს?! — გასძახა ახალგაღვიძებულმა, საშინელ ხასიათზე მყოფმა ჯიმიმ შვილს. რამდენადაც მოსიყვარულედ გადაიქცეოდა ხოლმე სიმთვრალეში, იმდენად აუტანელი ხდებოდა ნაბახუსევზე.

— ნუხელ ნუამ გადახია და დავანებე, — ნამძინარევი ხმით უპასუხა ბონდომ.

— ზუსტად ვერ დაამთხვიე, მერე?! ლამის ერთმანეთზე გადაგიწებებია ალენი და ანინა. ან ეს ნამსხვერვეები ვერ გადაყარე? მე უნდა ავალაგო?! — მართალია, ბონდო ამ სიტყვებით არ იტყოდა, მაგრამ ვაქტია, „მურტალი პახმელია“ იცოდა ჯიმი ბონდოვიჩმა.

— ბორჯომი მაინც ამოგეტანა, ამის ყოფა არ იყოს!.. ბონდო!

ნერვებომოლილმა ჯიმიმ მინის ერთი ნატეხი აიღო და მაგიდაზე დაახეთქა. მინა წვერით დაეცა ფოტოს და ქალაღის სულ პანანინა ეფნა ააფრცქვანა — ნუას მარცხენა ხელის საჩვენებელსა და შუა თითებს შორის...

იძ

.....

დაიბუთი

ნიძლიად შეღებილი თმის ბოლოე-
ბიდან ცეცხლი წვეთავს, ფეხები მენვის.

რამდენიმე დღის წინ ერთ კაცს შემახ-
ვედრა, რომელიც, როგორც გავიგე, ისაა,

როცა ჩემს ბედს წერს, შიგადაშიგ ფეის-
ბუქზე შეიხედავს ხოლმე. ყველაზე ხშირ-

ზოგჯერ მგონია, თავს მოიკლავს, მა-
გრამ არა, მაგარია — იმაზე ბევრად მა-

მე ბოლო დროს კარგ ხასიათზე ვარ
იმიტომ, რომ თანდათან ვრწმუნდები —

როგორც თავიდან. ვერ ვიტყვი, რომ ვუყ-
ვარვარ, მაგრამ ზოგჯერ ფიქრობს ხოლმე

იმ კაცს რაც შეეხება — მას მერე აღარ
შეეხვედრის, მაგრამ ბოლომდე მშვიდად

ვინც მწერს, იმას რაც შეეხება — მგო-
ნი, არ არის ცუდი გოგო, უბრალოდ, ჯერ-



აღბათ, ეშინია, სანამ მარტო ვარ, თავი არ
მოვიკლა. ვერ ხვდება, ყველაფერი რომ მის

შიგადაშიგ უამრავ რამეს ვიგებ მასზე,
რაც სიმართლის გარკვევაში მეხმარება და

სულ მალე, მის ცხოვრებაში კაცი
გამოჩნდა და დაკარგული ჯვარი კი არა,

ვურად, გულუბრყვილოდ გაღივება იყო,
ახლაც ზუსტად ისე გაუღიმა — მესუთეკ-

თავიდან სულ ლაპარაკობდნენ, მერე
მარტო თვითონ ლაპარაკობდა — ეს კოც-

სოფიო ნულაია
ორნი

ლის გვერდით გაიღვიძებდა. ეჭვებს ისიც
ემატებოდა, რომ ზოგჯერ ფერს ისე იცვ-

ერთხელ უთხრა, ჯვარი მოიხსენიო,
შემთხვევით ხელი არ გაგვრა და არ გაგინ-

მალე ხატის ამბავი მოხდა: ერთ-ერთი
მორიგი, საკმაოდ ხანგრძლივი ლოდინის

გადმომხტარი, იატაკზე ეგდო და მშვიდად
ელოდა, როდის მიხვდებოდა მისი გაოცე-

და მიხვდა — გადარჩენა თუ უნდოდა,
უნდა მიეტოვებინა. კარები ფრთხილად

მეც მივხვდი: მისთვის კაცისგან სამუ-
დამოდ გათავისუფლების ერთადერთი სა-

კაცს, რომელზეც უნდა ეწერა, ბევრი
იცნობდა. რადგან არ უნდოდა, ტექსტებ-

მეორე პაემანისთვის რაღაც განსხვავე-
ბული უნდა მოეფიქრებინა — ეს არავითარ

მის ოთახში ფანჯარასთან ვზივარ და
თითებს დაუნდობლად ვიმტვრევ, ის აქეთ-

ით გაჩუმდებოდა... მანვე გადაგვიწყვიტა, რომ ყავა და შაქარი არ გვაქვს, ამიტომ, ერთადერთი, რისი კეთებაც შეგვიძლია — საუბარია... უცებ ძალიან მომინდა, თავის პირველ შეყვარებულზე მოეყოლა, თუმცა, იქ, სადაც ყველაფერი მის ხელშია, სხვა ქალს როგორ გააჭაჭანებს? სადაც მის ხელში არ არის, იქ გასჭირვებია მათთან გამკლავება. ქალები კი, რა დასამალია და, ბევრნი არიან — მალელები, დაბლები, მსუქნები, ჭკვიანები, ლამაზები, ნიჭიერები, უჭკუები... მისი ნება რომ იყოს, სიამოვნებით გააქრობდა ყველას...

ჩემთვის ვივარ და გულში ვითვლი: „ცხრა, რვა, შვიდი“... უცებ უკნიდან ვიღაც მელასავლი მეპარება. მის გარდა ვინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც ძალიან შემეშინდა, წამოვხტი და ფანჯარას მივევარდი... ვიცოდი, უკან დასახვევი გზა აღარ მქონდა, მასთან მისვლა ხომ თავისთავად გულიხსნობდა ამ ყველაფერს, მაგრამ ვგრძობოდი, რომ ვერ შევძლებდი — ვერც ახლა და ვერც ვერასდროს... არ შეიძლება, მერე რაც მოხდება, იმას გადაახტეთეთქი? — ვკითხე, არაფერი მიპასუხა... ასეთ უხერხულ სცენებს ხომ ძალიან ხშირად ახტებიან ფილმებსა და რომანებში, გეხვეწებოდა, შენც გამოტოვე!-მეთქი, არ ვეშვებოდი... მერე გამოვიქეცი... სადღაც მივრბოდი, უცნაური ადგილი იყო, ქარი პირდაპირ სახეში მიმიზნებდა ქურის მტვერსა და ნაგავს. მე გავრბოდი, მას ეძინა, მე ვტიროდი, მას ის კაცი ესიზმრებოდა, რომელმაც სულ რამდენიმე წუთის წინ, თითქოს, გამფატრა, სული ამომაცალა, ცხვირსახოცში საგულდაგულოდ შეახვია და ჯიბეში ჩაიღო, მერე სქელი თოკით ამოიკერა ნაჭრილობები და ქურაში გამომაგდო. მინდოდა, ავჯანყებულიყავი, კი არ მეთხოვავ, მომეთხოვავ, ჩემი ცხოვრების გზაზე მეორეჯერ აღარ გადამიყაროს-მეთქი, შენ თუ გიყვარს, შენთვის დაიტოვე, ისედაც სულ შენი გემო ჰქონდა, როცა მკოცნიდა, მეზიზღებდა ეგ შენი კაცი-მეთქი. შენ სახლი გაქვს, რომელსაც თავს შეაფარებ, წარსული გაქვს და შეგიძლია, საკუთარ შეცდომებზე ისწავლო, წმინდანები გყავს, რომლებიც გმფარველობენ, მასზე დანერ და ასე გაიქცევი. ჯვარი გაქვს, ბოლოს და ბოლოს, რომელიც იცი, სადაც უნდა მიიტანო, მე კი არც შენსავით წერა შემიძლია და არც ნაშლა, სახელიც არ მაქვს, ჩემს მოსახელე წმინდანს მაინც რომ ვთხოვო დახმარება. შენ გარდა არავინ მყავს, შენ კი როგორ მომექეცი, ისეთი კაცისთვის როგორ გამიმეტე, რომელიც ტკივილისა და უბედურების მეტს არაფერს მომიტანს, რომელიც როცა ჩემ გვერდით იქნება, სწორედ მაშინ ვიქნები ყველაზე მარტო ამ ქვეყანაზე, კაცი, რომელიც ხან მგელს ჰგავს, ხანაც — მელას... რატომ გამიმეტე ამხელა ტკივილისთვის! — ვუყვირი. მას სძინავს, მე გავრბივარ: „დილაკს მაინც დააჭირე ხელი და ყველაფერი წაშალე“, — კიდევ უფრო ხმაღალა ჩავყვირი ყურში. ეღვიძება: „შენი სახელია ეკატერინე, ნადი, სადაც გინდა, გიშვებ“, — მეუბნება და თეთრ ლეპტოპს ცხვირწინ მიჯახუნებს...



ყოველთვის, როცა ტელევიზორს ვუყურებ, მგონია, რომ ციხეში ვარ და ჩემი ოთახის კედლები სავესა ნახშირით შესრულებული ნახატებით. ტელევიზორის ჩართვის ხმაც კი მალეზიანებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა წერას ვიწყებ. მინდა, ეს ნივთი სამუდამოდ გაქრეს ადამიანის ცხოვრებიდან. სამუდამოდ შეწყვიტონ ტელევიზორების დამზადება და გაყიდვა. თქვენ გინახავთ მსგავსი სიმახინჯე?! მე — არა. ყველაზე უსარგებლო და უაზრო ნივთია, რაც კი ოდესმე შეუქმნიათ. არაფერი გააჩნია სასიკეთო, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც კომპიუტერი დაიბადა. რაც თავი მახსოვს, მას შემდეგ სულ უყურებენ ადამიანები ტელევიზორს და სულ აუგად იხსენიებენ. ყველა ემდურის, ამბობენ, რომ ეშმაკის მოგონილია, რომ ზიანი მოაქვს ბავშვებისათვის.

— ახლოდან ნუ უყურებ, სკამი უკან დასწიე, — მისი მკრთალი სახე ახლო კადრით ჩანდა. დაახლოებით ისე, როგორც ფილმებში. დანაოჭებული კანი და ღრმად ჩამჯდარი თვალები ჰქონდა, შუბლზე ჩამოყრილი თმა პატარა ნაიარევს უფარავდა, ეს იარა ომის შემდეგ დარჩა. როგორც თავად ამბობდა, დანიტ გა-

კიცებინა, რომ ტელევიზორში უფრო მეტი რამ იყო საინტერესო, ვიდრე რეალურ სამყაროში. მუდმივად ამას ვუმოკლებდი თავს: გარეთაც არაფერი ხდება, ისე ტელევიზორს შეხედე. უსამსახუროდ ცხოვრება, მხოლოდ მისი პენსიის იმედად ყოფნა, ტრაგედიად მიმაჩნდა. საკუთარი თავი მძულდა. იმასაც ვფიქრობდი, თავი მომეკლა, მაგრამ არ ვიყავი ის ადამიანი, ვისაც სათანადოდ გამბედაობა ექნებოდა. სამუდამოდ ტელევიზორთან დაძმობილებული ტყვე უნდა ვყოფილიყავი, ისე უნდა გასულიყო დღეები, საინტერესო არაფერი მომხდარიყო. ასე მეგონა და ვეგუებოდი კიდევ. რისი გაკეთება შემეძლო, გარდა იმისა, რომ ერთ პატარა ოთახში მეძებნა კომფორტი.

ის სერიულს უყურებდა. ნაოჭისგან და ჭუჭყისგან გაშავებულ სახეში ჩანებებული ორი ცისფერი რგოლი ღრუბლებს უგავდა. ხელებზე გადაკრული რბილი კანიც გასთეთრებოდა, წითელ სავარძელში იჯდა, უხმოდ უყურებდა წრელ ეკრანს. მეც იქვე ვიჯექი, მის გვერდით, ვარდისფერკაბიან ქალბატონს ვუმზერდი. მინდოდა, დიდხანს გაგრძელებულიყო სერიალი. ფარდა გავენიე, ცოტა ხნით დავივინყე ყავ-



თორნიკე გოგნიაშვილი

ყავისფერი ქალაქი

კანრეს, მაგრამ ვინ და როგორ, ამას არ ამხელდა. ნუთუ ომი ისეთი იოლი გადასატანია, რომ მხოლოდ პატარა ნაკანრებით „გსჯიან“? არა მგონია. უბრალოდ, ცრუობდა. იმდენად უყვარდა თავისივე ტყუილი, რომ ვერ ვუზებოდი ვერაფერს. არ მინდოდა, ხელი შემეშალა ოცნებაში. მისი ნაირები ისედაც თვითმკვლელობით ასრულებენ ცხოვრებას.

— რა სისულელეს მაყურებინებ, რა უბედურებაა?! მოგწონს თავად? — არ მოელოდა ასეთ შეფასებას. შეცბა, გამიუცხოვდა, კიდევ უფრო გაუფერმკრთალდა სახე.

— ახლოდან ნუ უყურებ! სკამი უკან დასწიე! — რამდენჯერაც უნდა გაემოკრებინა, მაინც არ დავხვდები სკამს. ნათლად უნდა დამენახა ვარდისფერკაბიანი ქალბატონის სახე, მის ქერა თმას უნდა დავეკვირვებოდი. უნდა გამეხსენებინა ჩემი ცხოვრების ვრცელი კადრები. შემედარებინა, რეალურად თუ მენახა მსგავსი გარეგნობის ქალბატონი.

— იმდენს იზამ, გადავადგებ! მეოთხე სართულიდან გადავუძახებ დაბლა! — ძალიან მინდოდა, მუქარა აესრულებინა. ფიქრობდა, რომ ამით ზიანს მომაცყნებდა, მაგრამ — არა! პირიქით. ეს მსურდა ყველაზე მეტად. ვერ ვიტანდი იმ ოთხკუთხედ სიმახინჯეს, მოკოლადადისფერი კარადიდან რომ დაჰყურებდა თავზე მთელ ოთახს. სანოლებსა და ნიგნების თაროს შორის დარჩენილ სივრცეში მდგავს სკამი. მარჯვენა ხელისგული მუხლზე მდებარეობს, მარცხენაში პულტი მეჭირა და ხმას ხშირად ვუცვლიდი სიმბალეს. ჯერ ოცდაათ პროცენტზე, შემდეგ ორმოცდაათი, ოთხმოცი და მისი კივილი: „ჩაუწიე!“

ოთხკუთხედ ურჩხულთან ერთად დიდხანს ვიცხოვრეთ. ყოველი დღე ერთი სცენარით მიდიოდა. განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. მე, ფანჯარასთან მჯდომი, ცალი თვალით ქუჩას ვუყურებდი, მინდოდა, საკუთარი თავისთვის დამემტ-

ისფერი ქალაქი. მისი ქურები, ხეები, სახლები, მაღალიზები — ყველაფერი ყავისფერი იყო. ერთ ფერში იგუდებოდა სივრცე. მხოლოდ იმ ოთახში იყო ფერები, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით. ინსის პარკები სავესე იყო კვიპაროსებით და ვარდებით. ყველა მცენარეს ერთი ფერი ჰქონდა. მხოლოდ ფორმით მიხვდებოდი სახეობას.

— ვაზაში ვაშლები აწყვია. მიდი, მომიტანე, — განსაკუთრებულს არაფერს ითხოვდა ჩემგან, მხოლოდ მცირე ყურადღებას. არაფერზე მემდუროდა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის სასიკეთოს არაფერი ვაკეთებდი. თუმცა მაინც მძულდა. მისი ხმაც კი მალეზიანებდა. ის, ტელევიზორით, ერთ ადგილას იდო მთელი დღეები. დღეები კი არა — კვირები, თვეები და ლამის წელიც. იმ წითელ სავარძელში ჭამდა და ეძინა. არ დგებოდა, არ მოძრაობდა, თითქმის არაფერს აკეთებდა. მხოლოდ წვიმის დროს იცოდა, ფანჯარასთან მისვლა. ხელს მიაღებდა მინას და ერთ ხანს გაჩერებოდა, მერე ყავისფერ ქურებს გაუღიმებდა, რაღაცას იტყოდა ხმაღალად და ისევ სავარძლისკენ წავიდოდა. მისი ატანა აღარ შემეძლო. ტელევიზორზე მეტად მისი დანაოჭებული სახე მძულდა.

ვაშლები უხმოდ მივუტანე და მოვცილდი მის სავარძელს. ხალიჩაზე პომიდვრის ლაქები შევნიშნე, მინდოდა, მომწმინდა, მაგრამ შემაჩერა. ერთ-ერთ ლაქას ფეხი დაადო.

— არ ჩანს, — გაიციინა და ვაშლს გამეტებით ჩაასო ორი ნემსივით წვრილი კბილი. ჭამისას ყბა უკანკალვებდა. სახე გაყვითლვებოდა, შიგადაშიგ ღრმად ჩაისუნთქავდა ჰაერს და მე შემომხედავდა.

ტელევიზორში ვარდისფერი ქალბატონი ჩანდა. იმდენად მომწონდა მისი ცქერა, რომ ქურისკენ აღარ ვიხედებოდი. მინდოდა, სამუდამოდ ეს სერიალი ყოფილიყო პროგრამაში. ამ ქალის დანახვისას,

თითქოს იმდენად აღარ მძულდა ეს ოთხკუთხედი საგანი. აღარც ის დანაოჭებული არსება იყო იმდენად ამაზრზენი და აღარც ქალაქს ჰქონდა ერთ ფერში ჩაკარგული სახე.

მთელი წელი ასე გავიდა. მასთან ერთად მეც უძრავ ნივთად ვიქეცი. დასრულდა ის ფილმიც და ჩემი ქალაქიც ერთ დიდ ქაოსად იქცა.

გათოვდა. რა თქმა უნდა, თოვლიც მთლიანად ქალაქის ფერი იყო. დამძიმებულ გზებზე მოძრავი მანქანები გემებს ჰგავდნენ. იმდენად წელა მოძრაობდნენ, რომ თითოეულის მარკას და ფერს დაიმახსოვრებდი. მე და ის ფანჯარასთან ვისხედით და ვუყურებდით დორთქილი ფანჯრის მიღმა მოქცეულ სანახაობას.

მთელი საღამო უაზრო იყო, ისევე, როგორც მთელი წელი. მეგონა, მოწყენილობისგან ჩამეძინებოდა, რომ უცებ, ერთ-ერთ მაღალიასთან ის ვარდისფერკაბიანი ქალბატონი შევნიშნე. თვალებს ვერ ვუჯერებდი. სკამიდან წამოვდექი და ფანჯარა გავაღე. არა, წამდვილად ის იყო. ის ერთადერთი სინათლე, რომელმაც ჩემს ოთახსაც შეუცვალა ფერი.

— დროზე ჩადი, თორემ წავა, — მითხრა ბებერმა და ნათურებივით მომანათა თავისი ცივი და წყლიანი თვალები. ვიდრე მეოთხედან დაბლა ჩავიდოდი, ის წავიდოდა. რაღაც უნდა მეღონა, არ უნდა დამეშვა, ნასულიყო — ისე გამქრალიყო, რომ ერთი სიტყვაც ვერ მეთქვა.

ოთახის კარი გავაღე თუ არა, ფილმის კადრით შეიცვალა სურათი. ისეთი სინათლე დავიინახე, თითოს ტელევიზორის ეკრანში შემებვიფებინა: დიდი ნაცრისფერი შუქი ბურუსივით მოიწვედა ჩემსკენ. თვალებს მჭრიდა და მაიძულებდა, უკან დამეხია. მაინც ვიუტად განვაგრძობდი გზას. ვხედავდი, როგორ მულავნებოდა მისი თეთრი სახე და ვარდისფერი კაბა. რაღაც სიმღერას მღეროდა, ზუსტად ვერ ვარჩევდი, რა იყო. თუმცა მისი ბგერები ქალაქის ყრუ ხმაურს აქრობდნენ და გამბედაობა შემატებოდა. ვხვდებოდი, მიყვარდა ის ვარდისფერსამოსიანი, ქერა ქალბატონი, რომლის ხვეული თმის გრძელი სვეტები მზის სხივებს ჰგავდნენ. თითქოს მზე ადგას თავზე, ისე ნათდებოდა ყველაფერი.

— არ გაგიჭირდა ჩემი პოვნა? — მკითხა ქალმა სიმღერის შეწყვეტისთანავე.

— ეს თავისთავად მოხდა. დიდი ძალისხმევა არც დამჭირვებია, — ჩემი ხმა თითქოს არ ესმოდა. სივრცეს გასცქეროდა, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ნაცრისფერი კვამლი. შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც ჩანდა ნახევრად განუხელი ლურჯი ფარდა, რომელიც კარის ადგილზე ეკიდდა. ღია სივრცეში ვხედავდი კედელს და წითელ სავარძელს.

— ახლა უნდა აირჩიო. ან უკან დაბრუნდები ან აქ დარჩები, — მითხრა და ყველაფერს მივხვდი, მაგრამ არაფრის თქმა აღარ შემეძლო. უბრალოდ იმ ვარდისფერსამოსიან ქალბატონს უნდა გავყოლოდი. უკან დაბრუნება და ინსის ქურების ფანჯრებიდან ცქერა თვითმკვლელობად მიმიყვანდა. ვიცი, ის ბებერიც ასე მოიქცეოდა ერთ დღეს, თუ, რა თქმა უნდა, წითელ სავარძელზე დაკრებულს ნოსტალგია არ მოკლავდა. ის ჩვენ გვიყურებდა, ამას მთელი სხეულით ვგრძობოდი. განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენს საუბარს აყურადებდა.

თოვდა. ინსის ქურები ისევ უსიცოცხლოდ გამოიყურებოდნენ. ბებერი ისევ მინას უშვერდა დანაოჭებულ სახეს. მისი თვალები წყლიანი და ცივი იყო. ისევე, როგორც ყავისფერი თოვლი. ისევე როგორც ყავისფერი მინა და ხე, რომელზეც განცხადება იყო გაკრული ჩემი დაკარგვის შესახებ. ის იჯდა და ტიროდა, ფანჯრიდან ხედავდა ხეს და ტიროდა. მისი ცრემლებიც ზუსტად ისეთი იყო, როგორც ქალაქი — ერთფეროვანი.

სალამობით ტელევიზორთან იჯდა — ვარდისფერსამოსიანი ქალს და მე გვიყურებდა. ხალიჩაზე დამჩნეულ ლაქებს ისევ მალავდა ფეხებით და ისევ დარდობდა რაღაცაზე.

იმ წელს საშინელი ზამთარი იყო ინსში.



როსტომ ჩხეიძე

ორი ძველის საზღვრად

ანა კალანაძის ღიმილის ქრონიკა

მაშინ თუ ვტიუდი „ანას სახარება“ გრაფიკულად სრულიად განსხვავდება მთელი ტექსტისაგან, იოსებ ჭუმბურიძის თხზულების სიუჟეტურ ქარგას რაც ქმნის: „ღიმილი დედოფალ ანასი“ („მერიდიანი“, 2014). ამ და ყოველი თავის უანრობრივ განსაზღვრებას თვითონ ავტორი გვთავაზობს ქვესათაურში — „ბიოგრაფია ეტიუდებდ“ და ასეც აგებს მის კომპოზიციას, მისთვის ჩვეული „ეტიუდური“ ხედვითა და სტილისტიკით, ჯერ კიდევ უჭრნალი-ტიკაში რომ მოიშველიებდა მარჯვედ და პუბლიცისტურ სტატიებსა თუ ჩანაწერებს, უმეტესწილად სახიფათოს, თანდათან მხატვრულ-დოკუმენტურ პროზად გადაზრდიდა, და შემდგომ კრიტიკოსისა და ლიტერატურული რეპორტიორის მანტიამოსხმულიც წარმატებით მოიმარჯვებდა ამ ფორმასა თუ მანერას და აგერ შედარებით ვრცელი თხრობის საძირკვლადაც გამოიყენებდა, ბიოგრაფიასადაც რომ წარმოგვიდგებოდა.

ეს არ არის ბიოგრაფიული რომანი თავისი მცირე მოცულობის გამო. იოსებ ჭუმბურიძე არც ამ მოდურ გატაცებასა თუ საცთურს აპყვებოდა, ადვილად რომ არქმევენ რომანს ყველაფერს, ოღონდაც როგორმე გადასცენენ 50 გვერდს და არ დაგიდევენ, რომ ასეთი შინაარსის ნაკეთობა 50-გვერდიანიც ვერ იქნება რომანი, რაკილა შინაგანი სივრცე სრულიად არ გააჩნია... თუმცა რაც არის და როგორც არის, საბედნიეროდ, ყველას ვერა სძლევს ცთუნებანი და სწორედ ეს ქმნის ლიტერატურის იმ ნაკადს, მის სასიცოცხლო ძარღვზე რომ ამოზრდილა და ქეშმარიტებისაკენ სწრაფვის უწყვეტობას ინარჩუნებს.

ამ სწრაფვით აღვსილიყო ანა კალანაძის პოეტური ხილვანი და წარმოსახვანი. და მისი ბიოგრაფიული ქრონიკაც, მისი ლიტერატურული პორტრეტიც სხვაგვარად ანკი როგორ შეიძლება გამოკვეთილიყო, თუ არა ანას ღიმილისათვის შესაფერისი მხატვრულ-დოკუმენტური ფორმით — დახვეწილითა და ექსპრესიულით.

მის ღიმილს მხოლოდ წიგნის გარეკანიდან კი არ უნდა შემოენათებიან, არამედ თხზულების თხრობა გაეცისკროვნებინა თავიდან ბოლომდე — მოუცილებლად, მოუშორებლად, ყველაზე მძაფრი და დრამატიკული სახეობის, გვეგონია, ადვილი მისაღწევი უნდა იყოს ეს სიმსუბუქე და ძალდაუტანებლობა.

არადა, საამისოდ აუცილებელია ისე გაშინაგანება ანა კალანაძის პოეტური მემკვიდრეობის და პიროვნებისა, ბიოგრაფიის საკუთარი არსების განუყოფელ ნაწილად რომ უქცევა პოეტთან პირადი ურთიერთობის წყალობით წლებს განმავლობაში, მის ნაცნობ-მეგობართან წრესთან სახლოვით და მათგან ყოველგვარი „წერილმანის“ გამოძიება-დაზუსტებით, ანა კალანაძის დღიურის გაცნობით, და თვით იმ ნაწილისაც, პოეტს მის მიერ გამოგონებული ანბანით რომ დაეშიფრა და შიფრის გასაღები მარტოღვი თავისი რძლისთვის — თინა ყანდარელი-

სათვის — გაემჟღავნებინა... ბოლომდე ყველაფერი გაშიფრული არ არის და, ვინ იცის, ჯერჯერობით საიდუმლოდ დარჩენილი ნაწილი კიდევ რას გაგვიმხელს?

უთუოდ არაერთ საგულისხმო დეტალს, იოსებ ჭუმბურიძესაც რომ მოანდომებს ამ წიგნის ხელახალი გამოცემისას ამ რეალიებითაც შევსებას, მაგრამ რაღაც არსებით ცვლილებას აღარ უნდა ველოდეთ და დედოფალ ანას ღიმილი ზოგად ხაზებში (პავლე ინგოროყვას როგორც უყვარდა თქმა) დარჩება ისეთი, როგორც ამ წიგნში განფენილა.

და აგებულების მხრივაც გრაფიკულად კვლავ გამოცალკევეული დარჩება „ანას სახარება“, ასეთი მოულოდნელი და უჩვეულო თავისი დასათაურებითაც.

მოულოდნელი და უჩვეულო რა უნდა გვეჩვენებოდეს, როდესაც ბიბლიური ნაკადი ასერიგად თვალსაჩინოა ანა კალანაძის პოეზიაში?

ეს არც არავის დარჩენია შეუნიშნავი ჯერ კიდევ მისი გამოსვლისას სალიტერატურო ასპარეზზე, და მითუმეტეს შემდგომ, როდესაც მისი ლირიკა ლამის ერთიანად გაიჟღინთებოდა ბიბლიური ხილვებით, ასოციაციებითა თუ აღუზიებით და ლამის ველარც გაგვეჩრია სასულიერო ჰიმნებისაგან.

ოღონდ... ანას სახარება რაღა უნდა იყოს?

თუმც ბიოგრაფიული რომანის უანრის ხსენებამ რომ გაიეღვა, უშუალოდ ეს წიგნი თუ ვერ განისაზღვრება ამგვარად, სამაგიეროდ, სამნიველუსის მოთავება აუცილებლად დაისაჭიროებს მის მოხმობას, სამნიველუსის, — „ლირიკოსები ცხოვრების პროზაში“, რომლის ერთი სვეტიცაა „ღიმილი დედოფალ ანასი“, გვერდით რომ უნდა ამოუდგეს მურმან ლებანიძისა და მუხრან მაჭავარიანისადმი მიძღვნილი თხზულებანიც ასეთივე სტრუქტურით — „ბიოგრაფია ეტიუდებდ“.

და იმ ნავარაუდევ ბიოგრაფიული რომანის ეპიგრაფი უკვე გამზადებულია, მურმან ლებანიძის ის გახმაურებული სტროფი, სამეულის რომ გამოცალკევედა თანადროულ პოეტურ მდინარებაში: მჯერა ანას ჭადრების, არც შენს ძელქვებს ვწუხვარო, ჩემს ტყეებზე რას მეტყვი, ნათლიმამავ მუხრანო...?

ჯერ ანა უნდა წარმომდგარიყო ჩვენს წინაშე ცხოვრების პროზაში, თუკი რამენაირად მიყარებოდა ეს პროზა.

თუმც... ვინ გამოირდება ყოფილობას, ის რომ გამოირდება.

არადა, ცდილობდა და ძალიანაც ცდილობდა.

ამიტომაც არამარტო გარეგნულად გამოკვეთილი ვიწრო ფარგალში — სახლისა იქნებოდა თუ სამსახურის ოთახი, არამედ ერთიანად ჩაძირულიყო საკუთარ არსებაში და ზარავდა ყოფიობის ყოველი შეხება. და როდესაც დღიურებს ანდობდა ფიქრსა და განცდას, იმასაც ძალზე ფრთხილად და მოზომილად, თითქოს თავისთვის კი არ წერდა, არამედ იმწუთსვე საქვეყნოდ უნდა გადმოეფინა... და მაშ როგორღა შეიძლებოდა, ოდნავ მაინც აპყოლოდა გულისქმასა თუ გულისჭიდვებს?..

მისი ცხოვრების ყაიდა ისეთი თვალში-საცემი გახლდათ ყველასათვის თავისი „უცნაურობით“, სათანადოდ ველარც ჩაკვირვებოდნენ მის პოეტურ განცდათა ხვეულებს და ერთი ლიტერატურული შეხვედრისას ესეც შეიძლება ეკითხათ: სიყვარულზე რატომ არ წერთ?

პასუხად დედოფალს ჩვეული დიდსულოვნება უნდა გამოეჩინა, ოდნავადაც რომ არაფერს შეიმჩნევდა ამჯერადაც: — როცა ვწერდი ლექსს „ლოცულობს გველი“, მაშინაც შეყვარებული ვიყავი და სიყვარულზე ვწერდი.

ნუთუ ძნელი ამოსაცნობია ეს განწყობილება თუნდ ამ ლექსიდან? ეტყობა, ზოგიერთ მიაშიტ მკითხველს, „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა, ლამის ნელზე შემომხვიოს ხელი...“ — თუთაზე დაწერილი ლექსი ჰგონია და ვერა გრძნობს გახლებული სიყვარულის წყურვილს,

უნებლიეთ „ვეფხისტყაოსანი“ თუ „ვის-რამიანიც“ რომ უნდა გაგვახსენოს... ან ალბათ იმასაც მოცლილი ადამიანის გასაუბრებლად აღიქვამს არჯაკულ ხვიარასთან: ქსანზე ვინ ჩამოიარაო? — ლირიკული გმირი რომ ეკითხება, რაკილა ზედვე მიადევნებს: მეც სხვათა შორის ვიკითხე, სალ-აპარაკოდ კი არაო...

ბიოგრაფიის ეს ყველაზე საფრთხილო თემად მიაჩნია ანას პიროვნებასა და პოეზიაზე წერისას?

დიდი სიფრთხილთა და სიფაქიზითაც ეპყრობა და იმ ლანდებსაც მხოლოდ ასე მიადევნებს მხერას, ანას ლექსებში სტრიქონთა შორის რომ მოძრაობენ და... იკარგებიან, რაკილა პოეტი გულისქმას აღარ ასდევდა და იმ ხმას აყურადებდა, ცადაფრენად რომელიც უხმობდა, ხმას, იდუმალს რომელიც მოუთხრობდა...

ნუთისოფლის მომხიბლავი ლირიკული სურათები ცადაფრენისა და იდუმლების ამ შეგრძნებათაგან უნდა დაბადებულიყო, ორი ქვეყნის... ორი ქვეყნის საზღვრად დგომა რასაც შთაგონებდა, და ამ მიმოქცევაში იძენდა პოეტურ ყალიბს დაუოკებელი წარმოსახვანი... დღიურებსაც ძალზე ფრთხილად და მოზომილად...

ესეც გადამეტებულ გაბედულად მოეჩვენებოდა და მაშინაა, საკუთარ ანბანს რომ გამოიგონებდა, რათა ტექსტი ხელმისაღწევადი დარჩენილიყო იქ ჩამხედავი-სათვის.

ვილას უნდა ჩახედა. გადავლილიყო ის დრო, ყოველ ნამს რომ გახლდათ მოსალოდნელი უშიშროების კომიტეტის თანამშრომელთა შემთხვევაში ოჯახებში და ყველაფრის თავდაყირა დაყვანება... მაგრამ თურმე ანა კალანაძისათვის არ გადავლილიყო და... დამიფრული ნაწერიც სახიფათო რომ მოეჩვენებოდა, კიდევ ცეცხლში ჩასაბუგად გაიმეტებდა ერთ ნაწილს და დაიბარებდა, მოსპობილიყო ყოველგვარი კვალი მის დღიურთა ამ ფურცლები-სა, საიდუმლო ანბანს რაც უნდა შემოანახა. ალბათ პირნიშნადაც შეელოდა, ვახტანგ ჯავახიძეს რომ არ გამოედო თავი და არ ეიდულებინა — ეს სიტყვა ყველაზე ზუსტად გამოხატავს მის საქციელს — ორტომეულის მეორე ტომი დღიურებს დათმობოდა.

ბუნებითაც გახლდათ ასეთი და ცხოვრებაც აგებდა იმ მწვავე დარტყმას, რომელიც არა და არ გაუნდებდობდა.

და ეს როდის — ტრიუმიფით რომ შემოაღებდა ქართული ლიტერატურის კარს, სახელოვანი მწერლები ფარზე აზიდევდნენ მის სახელს და მკითხველიც უჩვეულო აღტკინებით შეგებებოდა მისი ლექსების პირველივე პუბლიკაციასაც სამეორლო საზეთის ფურცლებზე და პირველ საღამოსაც მწერალთა სასახლეში. და საერთო განწყობილება ისე იმოქმედებდა გერონტი ქიქოძეზე, აღარაფერს გაუნევდა ანგარიშს და მტკიცედ განაცხადებდა: ვაჟა-ფშაველას შემდეგ ასეთი პოეტი არა გვეყოლიაო.

ასე ერთბაშად გადაუსვამდა ხაზს არაერთ აღიარებულ შემოქმედს და... თვით გალაკტიონ ტაბიძესაც, პოეზიის მეფეს, ვინც ძალიან განაწყენებოდა ამ უჩვეულო აუთოტაჟითაც და გერონტი ქიქოძის განცხადებითაც და გულისტკივილს დღიურს მიანდობდა, მკვეთრ გამოთქმებს მოერიდებოდა, მაგრამ სტრიქონსა და სტრიქონს შუა ისე კანთიელად გამოსჭვივის: რა დაემართა ამ ხალხს, ასე მაინც რამ გადარაო!..

რა გასაკვირია, რომ არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდა ანა კალანაძის აღიარება-დამკვიდრებაში, თუმც ძალიან კი ესამოვინებოდა, მის ერთ ლექსში („ყაყაჩოსა სინთლითა...“) თავისი „ლურჯა ცხენების“ ხსენებას რომ აღმოაჩენდა და ამ სტრიქონებს თავისი ერთი კარებული სტრიქული ფურცელზე გადაუცხენდა ფანქრით: თუთი ნისლი ნისლებს იხვევს (ანასთანაა: ირევს), ეს ხომ „ლურჯა ცხენები-აო“.

ისე კი იოსებ ჭუმბურიძეს როგორ არ გამოეთქვა თავისი გაოცება, მკითხველსაც რომ ძალდაუტანებლად აიყოლიებს: — რა უცნაურია: პოეტთა მეფემ და

პოეზიის დედოფალმა ერთ ქალაქში ცამეტი წელი (ანას მოსვლიდან) ისე იცხოვრეს, რომ... ერთმანეთს არ შეხვედრიან.

შემთხვევითაც კი.

ანა კალანაძის კარჩაკეტილობაც ითამაშებდა თავის როლს, მაგრამ ბიოგრაფოსი უფრო ამ ახსნას უძენის: ორივე ამაყია და ერთმანეთს დღიურებშიც არ ახსენებენო. თითქმის არ ახსენებენ, რადგანაც თითოჯერ მაინც გაიეღვეს ორივეს ჩანაწერებში ერთიმეორის სახელი.

პავლე ინგოროყვა არ დაგიდევდა მათ ამ შეგნებულ გაუცხოებას ერთმანეთისაგან და თავის სასთუმალთან დაანეცილებდა პოეტთა მეფესა და დედოფალს — მხოლოდ მათ პოეტურ კრებულებს მოიწყობდა გვერდით და ძილის წინ თუ თვალის გამოხელისას ჯერ ერთს ნანეტანებოდა და მერე მეორეს, მათ ხილვებში მეცხურდებოდა და ამით იმოშინებდა აფორიეტული სულსაც და მხნეობასაც იკრებდა, მეცნიერულ ძიებებში გადასაშვებად თუ ცხოვრების პროზასთან შესაბამედაც.

გერონტი ქიქოძე სხვა მოსაზრებასაც გამოთქვამდა ანა კალანაძის ლირიკულ თავისებურებას თუ იდეურ-ესთეტიკურ საყრდენზე, ამას უკვე უტყუარდა და ერთგვარ გზამკვლევისაც ამ მხატვრულ სამყაროში შესაღწევად:

— მას აქვს მეტად ორიგინალური რელიგიური მსოფლმეგრძობა.

ამგვარი თვალსაზრისი გაუჩნდებოდა სერგი ჭილაიასაც, მაგრამ — ქეშმარიტი კრიტიკოსისაგან განსხვავებით — იგი ამ მსოფლმეგრძობის არსებობას ანას პირველივე ლექსებში პოეტის შესარისხად გამოიყენებდა.

რაო, ერთ ლექსში ანა კალანაძე „უდაბნოს მწირს“ უწოდებდა საკუთარ თავს?

მართლაც მისი ზოგიერთი ლექსი ძველი სამონასტრო ცხოვრების ჰიმნოგრაფებს გვაგონებსო, — მრისხანედ შეიმართებოდა საბჭოურ-მარქსისტულ ემბაზში განათლებული კრიტიკოსი და საწიმუშოდ იმ სტრიქონებს რომ მოიხმობდა: ხატთან ანთია სანთელი ორი, ორივე პანია და თანასწორიო... — ხელისუფლებას ამცნობდა:

— რა საოცარ ანაქრონიზმად გაისმის ეს სიტყვები დღეს. ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს შესახებ ამაზე უფრო აღმზნებელი ჰიმნები მეათე საუკუნის ჰიმნოგრაფებსაც არ შეუქმნიათ. ვის ესაჭიროება დღეს ამგვარი ლექსები? ვის სულიერ განწყობილებას გამოხატავენ ისინი?

და იოსებ ჭუმბურიძეს ამ სტრიქონების გაცნობისას ძალაუნებურად წამოაგონებოდა უილიამ შექსპირის სიტყვები: შეიძლება ხანდახან თვით სატანასაც დასცდეს სიმართლეთ, — და თავის მხრივ რომ დასძენდა: ალბათ სატანის მსახურსაცო, — როგორ არ გასცინებოდა დროის გადამოსახედიდან კომიკურად გადაქცეულ ვითარებაზე: მართალია თვითონ არ იცის, მაგრამ კრიტიკოსი უნებურად ახალგაზრდა პოეტის მიმართ შესაშურ კომპლიმენტს ამბობს. ჰგონია ლანდლავს, ქება კი გამოუდისო.

დღესდღეობით სხვაგვარად ვერც აღვიქვამთ ამ ფრაზას: ამაზე უფრო აღმზნებელი ჰიმნები მეათე საუკუნის ჰიმნოგრაფებსაც არ შეუქმნიათ.

ისე თუ მეათე საუკუნის ჰიმნოგრაფებსაც არ ჩამოუყვარდებოდა მგზნებარებით, რაღა გასაკვირია, პოეტური სახარებაც რომ შეექმნა?

თუმც... ანას სახარება ნეტა რა უნდა იყოს?

სერგი ჭილაიას ჩეჩისტურ-კრიტიკული სტატია კი უშუალო გამოძახილი გახლდათ ანდრეი შედნოვის უღმობელი გამოსვლისა „უიდეო, იდეოლოგიურად მავნე ნაწარმობების“ წინააღმდეგ, უშუალოდ საბჭოთა იმპერატორის დავალებას რომ აღასრულებდა.

გერმანიასთან ომისას უმაღლესი ხელისუფალი ძალიან რომ დაისაჭიროებდა ხალხის თანადგომას, პოლიტიკას აშკარად შეარბილებდა როგორც ეკლესიის, ისე ხელოვნების მიმართ, ტრიუმფალური გამარჯვება კი შემოაბრუნებინებდა კეხს და კვლავინდებურად აპყურებს ამოუდებლად ამ ყოველივეს, მწერლობაც თავისთავად და უპირველესად რომ მოჰყვებოდა კვერის ქვეშ, და თუ რუსეთში საწიმუშოდ გამოარჩევდნენ ანა ამბატოვასა და მხაილ ზოშჩენკოს, რათა მათი დასჯის მცხელ-ითზე დაემინებინათ შემოქმედნი, პეტრე

შარია, ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში, აქ მათ ფარდად გამოწვევად ანა კალანდაძესა და გორგი შატბერაშვილს, და უთუოდ კმაყოფილი დარჩებოდა ხელსაყრელი ვითარებითაც და თავისი მარჯვე მიგნებითაც, რუს ანას ქართველ ანასთან რომ დაანწყობდა.

მათ სულიერ ნათესაობას სეხნიობა დამატებითი ძაფით განამტკიცებდა, დასარბევთა შორის ჯერ ისედაც რომ ანა კალანდაძე გაგახსენდებოდა, თუკი ლირიზმი კვლავინდებურად დანაშაულად და ერესად გამოცხადდებოდა, დამთუშვებლად ანა ახმატოვას სახელიც რომ გიკარნახებდა: დიდი ძებნა არც გჭირდება ქართველი პოეტი-დამნაშავის აღმოსაჩენადო.

კიდევ კარგი, მთლად „ის დრო“ აღარ განმეორდებოდა ანასათვის, თორემ... ახლა უკვე ციმბირული მზისადმი მოუწევდა საგალობელთა აღვლენა, თუკი იქამდე ჩააღწევდა.

და ვილა ჩიოდა, თუ მისი პოეტური კრებულის გამოცემა შეიდი წლით დაიგვიანებდა, კრებულისა, რომლის გამოცემაც ტაშის გრილიში გადანიშნებოდა 1946 წლის 25 მაისის იმ დაუწინებელი დღეს არამართო ანასათვის, არამდე ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ან იმას ვილა ჩიოდა, ის წიგნი მთლად ავტორის გუნებისად თუ ვერ შედგებოდა და ეპოქის კონიუნქტურა თავის დაღს დაატყვევდა. დამაფიქრელი ისაა, რომ მას მანამდე არც ელიტარული გამოცემა, საბჭოთა იმპერატორი წუთისოფელს რომ არ გასცლოდა.

დაიჯერებს დღესაც კი ახალგაზრდა მკითხველი — არამცთუ შემდგომ და შემდგომ — რომ იმ სიფრიფანა წიგნის გამოსვლა მზის სინათლეზე ამხელა მოვლენას უკავშირდებოდა და სულაც უშუალოდ გადაჯაჭვოდა?!

ანას გარეშე ჩაივილია ოფიციალური დინება მწერლობისა იმ წლებში, ოფიციალური, მაგრამ არა ჭეშმარიტ ლიტერატურული ცხოვრება, უმეტესწილად იატაკქვეშ გადანაცვლებული, ანა კალანდაძის ხელნაწერ კრებულებს რომ ადგენდნენ მისი პოეზიის თავჯანსიციემული და ხელიდან ხელშიც გადადიოდა ფრთხილად, მალულად, კანკალით...

საიატაკქვეშ რა სჭირდა ამ ლირიკულ საგალობელთა?

აბა, თქვენც მოგესმინათ პეტრე შარია მრისხანებისათვის, ოთარ ჩხეიძის ნოველაში „წვიმა შემოდგომური“ ასე ხელშესახებდა რომ წარმოსახულა გროტესკულ-სატირული პორტრეტი იმ კაცისა, ვისაც:

— დიდი მოვალეობა ანვა — ყურს უწევდა მუსიკოსებსა, თვალისა ნამნამს აცლიდა მხატვრებსა, მეცნიერებს თავში უკაპუნებდა, მწერლებს ქოროში ჩაავლებდა ხელსა და მეღანში უბუცებდა ცხვირსა, დიდი მოვალეობა ანვა.

ჯერ ისედაც, და ახლა მითუმეტეს, მის ზურგსუკან სამშობლო რომ ილანდებოდა ანდრეი ჟდანოვის აჩრდილი, მის ზურგსუკან კი...

კახცახებდა იატაკქვეშეთიც, მაგრამ შეპუებით მაინც არ ეპუებოდნენ და თავს არ იზოგავდნენ ეროვნული ძარღვისა და სულიერების უწყვეტობის შესანარჩუნებლად.

ამ პროცესის უშუალო მონაწილე შეიქნებოდა ის ხელნაწერი კრებულები.

ამ პროცესის უშუალო მონაწილე შეიქნებოდა ერთი მორიდებული ყმანვილი ქალი, ყოფითობისაგან გაირდება, სულაც გაქცევა და საკუთარ თავში განმარტოება ყველაფერს რომ ერჩივნა.

მაგრამ ბედისწერა თავისას განსჯიდა და აღარც იოსებ ჭუმბურიძის ერთი ესეის სათაური უნდა გვიკვირდეს: „ანა — დისიდენტი“, ბიოგრაფიულ თხზულებაში თითქმის მთლიანად რომ გაიშორებდა, ოღონდ ეგაა, მთლად მარჯვედ ვერ ამოიყენებდა გვერდით გურამ ასათიანს, საესებით სამართლიანად რომ გამოეკამათებოდა ყველას, ვინც ანას უკიჟინებდა, შენი შემოქმედება მოკლებულია აქტუალობასა და ნამდვილ სოციალურ სიმძაფრესო, და შეცდებოდა გაეთვალსაჩინოებინა, რომ ანას პოეზიაც და მთელი მისი ცხოვრებაც გახლდათ ღრმა საზოგადოებრივი, სოციალურ-ზნეობრივი აზრის მაუწყებელი მაგალითი... თუმც საილუსტრაციოდ მოხმობილი ვითარება სრულიად დაცილდეობდა ამ საესებით უტყუარ შეფასებას:

— იმ წლებში, როდესაც ბევრმა

ძლომისა და ფუფუნების კერპი თავის ერთადერთ ღვთაებად აღიარა, როცა მემწერლობის ყველაზე მდბალი წირსახეობა — პირადი კეთილდღეობის, კეთილსარგებლობის იდეა — ბევრს სულში და ხორცში გაუჯდა, როცა მტაცებლობისა და მუქთახორობის „კულტმა“ განსაკუთრებით უტიფარი სახე მიიღო, ანა კალანდაძე თავისი ლექსით განასახიერებდა სულისმიერი სიმალისა და უანგარობის იდეალს.

მთავარი ისაა, რომ ანას ლექსის სულისმირი სიმალე და უანგარობის იდეალი სულაც არ უპირისპირდება და არც შეიძლება უპირისპირდებოდეს ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელსაც 70-იანი წლების რეპრესიების იდეოლოგიური გამართლებისას საქმოსნები უწოდეს და ისევე სასტიკად გაუსწორდნენ, როგორც 30-იანი წლებში კულაკებად შერაცხილ ადამიანებს.

ამიტომაც გურამ ასათიანის ეს ფრაზა პოლიტიკური კონიუნქტურის ნიმუშია, სახელმწიფო დანაშაულის ანუ ხელისუფლების გამართლების ძიებისას... ანას სახელსაც რომ მოეჭიდებოდა და უნებლიეთ დააკნინებდა მისთვისაც ძვირფას ამ სახელს, რადგანაც ეს შეხედულება მართალი რომ იყოს, ანა კალანდაძე არამცთუ დისიდენტად აღარ წარმოგვიდგება, არამედ მედროვე პოეტთა რიგში მოგვიწევს მისი ჩარიცხვა, თანადგომას რომ უცხადებდა მრისხანე ხელისუფალს ამ სასტიკი პოლიტიკური კამპანიისასაც.

ეს პასაჟი ისეთივე კონიუნქტურაა გურამ ასათიანის ესეიში (რომელიც დაწყებით მშვენივრად იწყება ვაჟა-ფშაველას „ანა-ბული“-ს „გახსენებდა, როგორც თავისებური წინასწარმეტყველებისა, როგორც გაუღენთილა პეტრე შარიას მოხსენება თუ სერგი ჩლობიას სტატია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გმობენ ანას პოეზიას, ეს კი აღამაღლებს. ამიტომაც იოსებ ჭუმბურიძე აუცილებლად უნდა შეერიოს ამ ციტატას ანას ბიოგრაფიული ქრონიკის ხელმეორე გამოცემისას, თორემ ძნელი გასაზიარებელი გახდება ანას დისიდენტობა — უდავო, თუკი პირუთვნელი მზერით მივადევნებთ თვალს საბჭოური ეპოქის საქართველოს ტრაგიკულ რეალობას და ყალბ დებულებათა პროკუსტის სარეცელზე არ მოვახვედრებთ.

შეიძლიანა ტყვეობა პირველი წიგნისა გამწვავებით თუ გაუმწვავებდა პოეტს კარჩაკეტილობისაკენ მიდრეკილებას, აკი გადამწყვეტი მაინც არ აღმოჩნდებოდა მისი ცხოვრების წესის განსაზღვრაში, პიროვნული ბუნება რომ უფრო უბიძგებდა აქეთ, ემილი დიკინსონისა არ იყოს, ვისაც ოდნავი შევიწროებაც არ განუცდია ხელისუფლებისა თუ ყოფითობისაგან, მაგრამ შინიდან ვერ გამოიყვანდნენ და ოთხხედალშუა ნებაყოფლობით გამოეკეტილი... ესაუბრებოდა მთელს სამყაროს — კაცობრიობასაც და მზე-მთვარე-ვარსკვლავებსაც, რაც ანასათვის სულაც არ განსხვავდებოდა დედამამისა და და-ძმებისაგან და, უხსოვარი დრო-ჟამიდან მომავალი, ქართველთა პირველ-საცხოვრისებს — ხეთად, მიდიად, ურარ-ტუდ სახელდებულს — ასე რომ ელაციცებოდა ლირიკული სუნთქვით და მზერით, ამიტომაც განმსჭვალავდა თავის პოეტურ სინამდვილეს იმგვარი განცდებით, ბიბლიური იოსებ სიზმარსა თუ ძველი კოლხი პოეტის მსოფლმეგრძნებასაც რომ მოგვაგონებს, მზე-მთვარე-ვარსკვლავებს ოჯახის ნევრებად რომ აღიქვამდა.

და ამიტომაც განბანა მზის სხივებში ეს პოეტური ქვეყანა, მზის ამგვარ მეგრძნებას — მისი ამოზნახვის მისტერიის ხელშესახებ შეგრძნებას — რომ უნდა მიეყვანა იესო ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობლის სახებათა ისეთნაირ გააზრებამდე, სულაც ჰომოგრაფებს რომ დასდარებოდა მგზნებარებით და... პოეტური სახარების შექმნის აუცილებლობაც შემეცნა საკუთარ თავში.

თუმც... ანას სახარება ნეტა რა უნდა იყოს?

ვიდრე აქამდე მიაღწევდა იოსებ ჭუმბურიძე, ჯერ ამ პოეტური სამყაროს კარიბჭესთან უნდა ეტრიალა და როდის-როდის და ძალზე ფრთხილად ეცადა შიგნით შეხივება, რაკილა გამოუდებით ჩაესმოდა დედოფლის ხმა: რატომ შეეხე ჩემს კრესტაბმელს, რატომ შეეხეო... და აგონდებოდა ის დრო, როდესაც სტუდენტობისას პირველად გაეცნობოდა ამ სტრი-

ქონებს და „კრესტაბმელს“... ლექსიკონებში დაუწყებდა ძებნას, ვიდრე სულხან-საბასთან მიაგნებდა: კარის ფარდაგს ნიშნავსო.

და ამ „ფარდაგთან“ დამდგარს ანას ის სტრიქონებიც რომ ჩაესმოდა: ნუთუ გაივიწყლები ბენვის ხიდზე, მეუფევე ჩემო, უცოდველობით ძალმოსილი შენს სახლში შევალო? — პოეტი თუ უფლის სახლს გულისხმობდა, ბიოგრაფოსი პოეტის სახლის წინ მდგომად შეიგრძნობდა თავს და... თხრობის დასასრულს რომ მიაღწევდა, კვლავ ეს ხილვა უნდა ამოვეტოდა თვალწინ — ბენვის ხიდზე გადასული დედოფლისა, უცოდველობით ძალმოსილს უფლის სახლში რომ უნდა შეეხივებინა... და იმ სტრიქონებსაც ისევე უნდა გაეეცა: რატომ შეეხე ჩემს კრესტაბმელს, რატომ შეეხეო, — რათა ანა კალანდაძის მონყალე, განუმეორებელი ღიმილიც კანთიელად დაეღანდა.

ამ კომპოზიციურ ჩარჩოში — კრესტაბმელიდან კრესტაბმელამდე — უნდა მოქცეულიყო ის ცხოვრება, რომელსაც ბედისწერასავით უნდა გამოჰყოლოდა ორი ხმა: ანგელოსთა გალობა და სატანის ხარხარი. და ეს იმ ნაშიდანვე, ქვეყანაზე გაჩნდებოდა ოდეს და მზეს შეხედავდა გვირგვინისას.

და სწორედ ხმათა ამ ორ დინებაში, ანგელოსთა გალობასა და სატანის ხარხარში, უნდა გამონათობილიყო მისი რელიგიური მსოფლმეგრძნება, პოეტური ჰიმნებით მეთაუ საუკუნის ჰომოგრაფთა მგზნებარებას რომ უნდა მიწვდომოდა და შეტოლბოდა... და ბიბლიურ თემებზე შექმნილი მისი ლირიკული ქმნილებანი იოსებ ჭუმბურიძისა რომ განსაკუთრებული შთაბეჭდილებით აღაგებდა, კიდევ გაუჩნდებოდა და გაანვალბდა სურვილი — გადაენერა ამ ციკლის ლექსები და ხელნაწერის სახითვე გამოეცა სახელწოდებით: ანას სახარება.

და ვიდრე ამ განზრახვას აღასრულებდა, საქმნიკოდ ამ ბიოგრაფიულ ქრონიკაში ჩართავდა ერთ რკალს, მაცხოვრის გაცემას, შეპყრობასა და ჯვარცმას თითქმის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით რომ ასახავდენ.

და კიდევ — შობას, მოგვთა თავჯანსიციემას, ქადაგებისას მარიამ ღვთისმშობლის გამოჩენას.

ესეც — ანას სახარება.

თურმე — ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გალექსილი მთავარი ეპიზოდები.

ერთ ნიმუშს („შენს ქადაგებას ხალხი ისმენდა...“) მათეს სახარებიდან რომ აქვს ნამძღვარებული ეპიგრაფი, ნეტა ამ მახარებლის მიერ შედგენილ ბიოგრაფიულ ქარვას მიჰყვება პოეტური სახარებაც თუ მარკოს, ლუკა და იოანე მახარებელთა მონათხრობსაც ეყრდნობა, არამცთუ ითვალისწინებდეს?!

ეს კიდევ ცალკე საკვლევ-საძიებელია, სხვა არაერთი რელიგიისა თუ გარემოების წარმოჩენასთან ერთად ანას ლირიკულ წარმოსახვათა ბიბლიურ ნაკადში, ფრიალი სამკალი რომ გველოდებდა, მაგრამ ჯერ ისიც გასარკვევია, თვითონ პოეტმა უწყ-

ოდა თუ არა, იესო ქრისტეს ლირიკულ ბიოგრაფიას რომ ქმნიდა?..

ის, რომ ეს ეპიზოდები სულაც არ არის იმთავითვე შექმნილი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, თავისთავად არაფერს ნიშნავს — ამგვარ განზრახვას ასევე შეიძლება შეესახას ხორცი... მაგრამ საბოლოოდ რომ შეიძინა სხვადასხვა დროს შეთხზული ეს მეოცე საუკუნის სასულიერო ჰიმნები ერთიან სახეს, მამინ რალა ედგა წინ მათ დალაგებას იმ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, აგერ ბიოგრაფოსმა როგორც ჩამწკრივა თავის წიგნში, ანას პოეტურ კრებულებში კი ეს თანმიმდევრობა, მოგეხსენებათ, არსადაა დაცული.

რას შეიძლება შეეშალა ხელი?

საბჭოურ ეპოქაში კიდევ გასაგებია — ერთ რკალად გამოცალკევება თვალმისაციმი შეიქნებოდა ცენზურისათვის, გალექსილი სახარებალა გვაკლიაო; და ეს მაშინაც, ერთიანი სახელწოდება რომც არ გამოძებნილიყო მისთვის. ასე „არეულ-დარეულად“ მოწოდებული კი აღუნებდა იდეოლოგიურ გუშავთა სიფხიზლეს.

მაგრამ... საბჭოთა იმპერიისა და იდეოლოგიის მსხვერვათა რატომ არ მოატყენა ანას სახარების დაფანტულ ეპიზოდებს სიუჟეტური მთლიანობა?

აღბათ იმტომ, რომ... პოეტს გაცნობიერებული არც ჰქონდა, სახარების ყველა მთავარი ეპიზოდი თუ გაეღექსა. და თვით მაშინაც ვეღარ იპოვნოდა მათ შორის შემაერთებელ ძაფებს, როდესაც ყველა ეს ლირიკული ქმნილება უკვე ხელთ ჰქონდა და ადვილად შეეძლო იესოს ცხოვრების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის აღდგენა.

იოსებ ჭუმბურიძეს უნდა მიეგნო ანა კალანდაძის ამ გაუცნობიერებელი სწრაფვისათვის და გამოეცალკევებინა და დაესათაურებინა კიდევ ანას სახარება.

ჯერ მარტო ეს აღმოჩენა ღირს სრულფასოვან გამოკვლევად, იმ მახვილგონიერების წყალობად, რაც ასე მომადლებია „დედოფალ ანას ღიმილის“ შემქმნელს და ამ ფურცლებზეც ისე უხვად მიმოიფანტავს, ლამის ვეღარც ვაფხაებთ მათ არამარტო გარეგნულ, არამედ სწორედაც შინაგან ეფექტს, და თუნდ ამგვარი მიგნებანი, ერთი ეტიუდის სათაურად განიანილი — „ენა და ანა“ — ვეღარ მიგვიჩინვია სიტყვის დახვეწილი თამაშის ნიმუშად.

ისე, ნეტა, რატომ შეეხო მის კრესტაბმელს, რატომ შეეხო?

რატომ და:

თუნდ ანას სახარების აღმოჩენისათვის...

და იმ ღიმილის სრულყოფილად გამოცისკრებისათვის, პოეტურ სტრიქონებს შორის რომ იმაღლებოდა და... მერე სულაც საიდუმლო ანბანით დაიგმანებოდა ერთხელ და სამუდამოდ... ვერა, სამუდამოდ ვერა, რაკილა ბიოგრაფოსი იმ მოვალეობას უნდა აეყოლიებინა, რომ პოეზიის დედოფლის ღიმილის გარეშე არ უნდა დაშთენილიყო ჩვენი ლიტერატურა... უჩვეულოსი, განუმეორებლის...



ჰერბერტ ჰეკმანი (1930-1999) გერმანელი ლირიკოსი, ესეისტი და პროზაიკოსია. დაიბადა და გარდაიცვალა მაინის ფრანკფურტში. ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტში ფილოსოფიას, გერმანიისტიკასა და ისტორიას სწავლობდა. იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გერმანიის ენისა და პოეტური ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი (1984-1996); მეცნიერებისა და ლიტერატურის აკადემიის წევრი; კითხვობა და ლექციები და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა გერმანიის უნივერსიტეტებში; 1965 წელს მიწვეული იყო აშშ-ში, ილინოისში, ევანსტონის უნივერსიტეტში. წერდა სტუდენტობისას დაიწყო, 50-იან წლებში. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, საბავშვო ნიგუნებსა და რეცენზიებს. 1963 წელს ბრემენის ლიტერატურული პრემიით დააჯილდოვეს რომანისთვის „ბენიამინი და მისი მამები“ („Benjamin und seine Väter“). 1994 წელს გამოცხადდა ბოლო, ეპიკური რომანი „ჩემი ბაბუის სევდა-ნაღველი“ („Die Trauer meines Großvaters“). ის კიდევ ერთი რომანის ავტორია: „დიდი ნოკაუტი შვიდი რაუნდის შემდეგ“ („Der große Knockout in sieben Runden“). ჰერბერტ ჰეკმანი იყო აგრეთვე გამომცემელი, ლიტერატურული კონკურსების ფიურის წევრი და ლიტერატურული პროექტების თანაავტორი.

„გამფერადებელი“ პირველად 1964 წელს დაიბეჭდა მიუნხენში (გამომცემლობა: Deutscher Taschenbuchverlag). 1978 წელს „თანამედროვე მოხრობელთა“ სერიით კიდევ ერთხელ გამოიცა (გამომცემლობა: Ferdinand Schöningh, Paderborn, VIII). ამ პატარა ტექსტში ავტორი ირონიულად და გულწრფელად აღწერს თაობათა ურთიერთობასა და მათ შორის არსებულ მტკივნეულ დისტანციას. ერთ მშვენიერ დღესაც ინგრევა გმირობაზე მეოცნებე ბიჭუნას მომავლის გეგმები და ის საღებავში ამოვლებული ფუნჯით სამყაროს წინააღმდეგ გალაშქრებს გადანყვევებს, გამფერადებლად გადაიქცევა, რადგან აღარ სურს ომგამოვლილი მამების (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომი) — გმირებისა და გმირობაზე ოცნებას შეწირული კაცების — ბედი გაიზიაროს.

ბოლომდე ახრიალებდა, როცა ვენესუელაში, იამაიკაზე, ჩინეთში, რომსა და იერუსალიმში გასაგზავნად წერილებზე მარკებს ანებებდა. სტანჯავდა წერილების თავგადასავლებით მდიდარ ავტორთა უპირატესობა. მუდამ სველი თითები უწყისებზე ეწებებოდა და ვეღარ იშორებდა. წინ მარკების უზარმაზარი და ფერადი დასტა ედო — სიამოვნებით ნამოხტებოდა და სარკმლის თითბრის გისოსებში გამოჩნული სახეებს ჭრელ მარკებს ცხვირ-პირზე აანებებდა, მერე კი ეშმაკთან გააგზავნიდა. ესმოდა ფეხების ფლატუნი, მოუთმენელი ჩახველება, ღვარძლიანი საუბრის ფრაგმენტები და საათის ისრის ნიკნიკი.

ხელებს ქალაქის საშრობზე ინმენდდა და სამსახურის დასაწყებად მზად ყოფნის ნიშნად ტურჩებს ზუბეკდა.

ბავშვობაში გმირი უნდოდა გამხდარიყო; კაცი, რომელიც ცეცხლმოკიდებულ სახლში შეიჭრებოდა და ხანძრიდან ქალს გამოიყვანდა, ან ჯიშიან ძალს გადაარჩენდა. მტკიცედ გადაეწყვიტა და ვარჯიშობდა, რომ სასკოლო წიგნის ილუსტრაციების გმირს დამსგავსებოდა: მკერდს წინ გამოსწევდა, ღრმად ჩაისუნთქავდა და ფართო, მძიმე ნაბიჯებით დადიოდა. წვერის ამოსვლას კიდევ დიდხანს ელოდებოდა.

საშუალო მოსწავლე იყო. გარდა ამისა, არ იცოდა, რომ მაშინ, მის ასაკში, ყველას — ზოგს ოცნებებში და ზოგსაც ფანტასტიკური ცხოვრების მოლოდინში სურდა გმირობა, ან მინიმუმ — ქალაქის მერობა. მოკლედ, ის იყო პოტენციური გმირი უამრავ პოტენციურ გმირთა შორის — ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ მაშინ, ოციოდე წლის წინათ, როცა შიშისგან გაქვავებული, ფეხებგაფარჩხული იდგა მამის — მისი სიყმაწვილის პირქუში გმირის — წინაშე.

მამამისი ერთ პატარა, ბნელ მალაზიაში მთელი კვირა ზეთის საღებავებს ყიდდა, თუკი იქ საერთოდ შეიხდებოდა გზააბნეული კლიენტი; კვირაობით საგულდაგულოდ გამოიპრანჭებოდა, თითქოს ძეგლის გახსნაზე მიდის და დლიდანვე წაავლებდა ხელს არყის ბოთლს, რომელსაც, როგორც წესი, მინის ვიტრინაში ნიჟარების, გამხმარი სალამანდრებისა და ბოთლებში გამოქმნილი ფრეგატების გარემოცვაში ინახავდა. მამას ცხვირიდან შავი ბალანი ეზრდებოდა. ქუდს განსაკუთრებულად თვალმისაცემი პროტესტის ფორმით არ ატარებდა და რადგან ბოთლთან მტკიცედ იყო შეამხანაგებული, მისი კუსტი სიმშვიდეც მთავრდებოდა: მონაწილე საფარშიდან ნამოხტებოდა და გადააჯვლე, დამპყრობლის ნაბიჯებით, წინ და უკან დადიოდა ოთახში, სადაც ვიტრინის გარდა მხოლოდ ერთი მაგიდა და ხუთი სკამი იდგა და კედლის ხალიჩა ეკიდა, რომელზეც უსასრულოდ ღვარჯნილი: „დილა საღამოზე ბრძენია“, იკითხებოდა. ნაბიჯების აკომპანიმენტზე ვიტრინაში გამოფენილი ნიჟარები ცეკვას იწყებდნენ, ფრეგატები გახუნებულ იალქნებს არხევდნენ. მონაწილე საფარში კი კაცის წონის გახსენებაზე ოხრავდა. ოთახი ტორტმანებდა.

— სმენა! არ გესმის? ისინი მარშით მოდიან, ისინი ისევ მოდიან. ომია!

მამა ამას თავის ვაჟს ეუბნებოდა, ის კი კედელთან აკრული იდგა და აყურდებდა. თუმცა მხოლოდ საკუთარი მშობლის ნაბიჯები ესმოდა. იატაკის ფიცრები ჭრილებდნენ. ბოთლი ტურჩებიდან ხელში გადადიოდა, ხელიდან — მაგიდაზე და ისევ უკან, ტურჩებთან — ასეთი იყო ბიოლოგიური შემოქმედის დაუღალავი მოძრაობა, უზარმაზარი ეშმაკის ბორ-

ჰერბერტ ჰეკმანი გამფერადებელი

ბალივით, თავშეუკავებელი და ჟინიანი ნყურვილი. მოულოდნელად მამა გაჩერდებოდა, შემდეგ აბესალომით თმების ფრილით გაიჭრებოდა ოთახიდან მაღალისკენ, სადაც სკიპიდარისა და ტუტეების სუნი იდგა, გადმოიდგებდა თაროდან ზეთის საღებავით სავსე რომელიმე ქილას, მოძებნიდა ფუნჯს, ნათურის მკრთალ შუქზე გამომცდელად შეათვალერებდა, ისევ ოთახში დაბრუნდებოდა და უწეფის დაუდევარი მოსმით იწყებდა კედლების, მაგიდისა და სკამების შეღებვას. ის ამ საქმეში მთელი სხეულით იყო ჩართული. არ შეისვენებდა, ვიდრე ოთახში საღებავი არ დაიწყებდა წვეთას. შემდეგ მოდუნდებოდა, დაქანცული, საღებავის წვეთებით წალასლაღებულ მონაწილე საფარდისკენ და ნელა ჩაესვენებოდა. სულ მალე მის მკერდს ხვრინვა ააძაგებდა და ფუნჯი ხელიდან უვარდებოდა.

შედეგად ოთახი ხან ნითლად დასულაყებდა, ხან ზაფრანისფრად ყვითელი ხდებოდა, მეღანივით შავი, ზურმუხტივით მწვანე, ფირუზივით ლურჯი, მინასავით ყავისფერი ან თავივით ნაცრისფერი. ზოგჯერ კი ან საღებავი არ ყოფნიდა, ან ძალ-ლონე. ასეთ შემთხვევებში ოთახი ცისარტყელას ფერებდ დაღებოდა. მაგრამ ეს არ იყო ყველაფერი. ერთ დღეს, უფრო კონკრეტულად, კვირადღეს, საღებავში ამოვლებული ფუნჯით ხელში მამა ვაჟიშვილს ეცა და სახის გადაღებვა დაუპირა, საღებავი შეაშეფა. აღრიალებული ბიჭი სახლიდან გაიქცა.

— მამაჩემი გაგიჟდა.

გამვლულები იცინოდნენ და ჩერდებოდნენ.

— გამოფხიზლებულა ბიჭი, — ამბობდნენ.

მამა კი ზღურბლთან იდგა და ბარბაცებდა, ფუნჯით ხელში ცას მიმტერებელი იმუქრებოდა, ტყვიისფერს ნითლად გადავლებოდა. ბიჭს ამასობაში შუბლსა და ლოყებზე საღებავი აშრებოდა, სახის კუნთებს ვეღარ ამოძრავებდა, მაგრამ სჯეროდა, რომ მამამისი ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე და აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ყველაფერს ნითლში ჩაახრჩობდა, სისხლისფერი საღებავით იყრიდა ჯავრს. დამფრთხალი უკანვე, შინ შევარდა და თავის ოთახში ჩაიკეტა. იქ იმდენ ხანს დარჩა, სანამ სახიდან საღებავი არ მოიფხიკა. ვერ მოიპორა იმის შეგრძნება, რომ შენიღბული უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც ის ფიქრობდა, ტყავიც ნაჭერი იყო და მის ქვეშაც რაღაც საშინელი იმალებოდა. მომდევნო დილას ცა ძველებურად ტყვიისფერი დახვდა — არანაირი კვალი მხსნელად მოვლენილი ფუნჯისა.

დღის შესახებ მხოლოდ ხელისგული-სოდენა ლამბაქზე გამოსახული სურათიდან იცოდა, რომელზეც ფერწასული ქალი დამსკადარ სვეტს ეყრდნობოდა და გაღიმების არანაირ სურვილს არ

ამჟღავნებდა. როცა სამი წლის ყოფილა, როგორც მამამ ძალიან ძუნდად უამბო, დედა მეორე ბავშვზე მშობიარობას გადაწყვილია. მოგვიანებით ერთი მკვირი, ფართოთმებიანი ქალი მოდიოდა ყოველდღე; თავის დიდ, ყვავილებიან ქუდს მონაწილე სავარძელზე დებდა და სახლს სარდაფიდან სხვენამდე ასუფთავებდა. ქალს საპნის სუნი ასდიოდა და ლატარეას თამაშობდა. მის ცხოვრებას კუროს ნიშანი განაგებდა. მამა მასზე ისე დაქორწინდა, რომ საკუთარ ვაჟთან არ უღიარებია, უქალოდ ცხოვრება შეუძლებელიაო. მალაზია ოჯახური დღესასწაულის გამო ორი კვირით დაიკეტა. გამხმარი სალამანდრები, პრიალა ნიჟარები და შტორმისგან შელახული ფრეგატები ვიტრინიდან არყის ბოთლთან ერთად გაუჩინდნენ. ოთახმა თანდათან მომწვანო-ფირუზისფერი მიიღო, რომლის ფონზეც მამის ფიგურა დატყვევებული ცხოველის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ვაჟი, რომელსაც შეღებვის ეს ორგები სამყაროს დასასრულის განცდა აგრძნობინებდა, დიდი ხნის შემდეგ მიხვდა, თუ რატომ იქცეოდა მამა ასე.

სკოლისკენ მიმავალი გზა გრძელ, ადამიანის სიმაღლეს აღმატებულ გალავანს მიუყვებოდა. გალავნის ქონგურებზე შუშის ნამსხვრევები იყო გამორჩეული, მუაგულში კი მისი სიგრძე დაახლოებით 50 ნაბიჯი იქნებოდა — ჩუქურთმისი და მუდამ დაკეტილი ხის კარი დაეტანებინათ. ბავშვებს სჯეროდათ, რომ ამ სახლში კუდიანი დედაბერი ცხოვრობდა, ან ვიღაც, ვინც სამყაროს რაღაცას უმალავდა. გაბედულები გალავნის იქით ქვეს ისროდნენ და გამაღიზიანებულ, ირონიულ ფრაზებს ყვიროდნენ. მაგრამ, რადგან მათ არავინ პასუხობდა, იმითა კმაყოფილებოდნენ, რომ გალავანს ცარცით კაცუნებს ახატავდნენ, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, მეორე დღესვე საგულდაგულოდ წაშლილი ხედებოდათ. გაველურებულ ნაბლის ხეებს შორის, რომელთაც დამძიმებული ტოტეტი გალავანზე გადმოეუკიდათ და შემოდგომით გაყვითლებული ფოთლების მკლავებს ქუჩაში იბერტყავდნენ, მორკალულ ფრონტონებიანი, მალაფანჯრებიანი სახლის მუქი კედელი მოჩანდა. შადრევნის ჩქაფუნის ფოთლების შრიალში იყოფოდა. ზოგჯერ, ქარიშხლიან დღეებში, როცა ქარი ადამიანებს ქუჩაში მიერეკებოდა, ჩუხჩუხს ჩანჩქერის ბობოქარი ხმაური ანაცვლებდა, ხმა ძლიერდებოდა და ვიღაც ბრძანებებს იძლეოდა, ღრიალებდა: ოპოპოო!

ერთხელ, როცა ბიჭუნამ ეს მჭახე ხმა გაიგო, თითქოს ვიღაც ქარს აძლევდა ბრძანებებს, მისი სხეული ისეთმა ძრწოლამ აიტანა, რომ სკოლისკენ მიმავალმა გზიდან გადაუხვია — ცნობისმოყვარეობამ დაძლია შიში.

ისევ ქუჩაზე დაბრუნდა, ირგვლივ მიმოიხედა, სკოლის ზურგანთა გალავნის იქით მოისროლა და მარჯვენა ფეხსაცმ-



ლის წვერი გალავნის ხერელში შეყო, იქიდან ქვა იყო გამოვარდნილი; წონასწორობის შესანარჩუნებლად თითებით ხერელს ეპოტინებოდა, ზემოთ მიინევდა, სანამ თავით გალავანს ასცდებოდა და სული მოითქვა. სახლი მიტოვებულს ჰგავდა. ფართოდ გაღებულ ფანჯრებს ქარი აჯახუნებდა. ბილიკები ფოთლებით იყო დაფარული. ბიჭი გალავანზე გადაძვრა და შუშის ნამსხვრევზე ქურთუკის სახელო გაგლიჯა. კანზე ნითელი ზოლი უზზინავდა. გადახტა და ფოთლებში ჩაიმალა, იქ სოკოს სუნი იდგა. მისი ზურგჩანთა გუბურაში ეგდო და წრეზე ტრიალებდა. ფოთლების შრიალი შიშს ვერია. სუნთქვასაც ვერ ბედავდა, თვალებს ძაბავდა, მაგრამ გოლიათ ხეებსა და ფოთლებს შორის მხოლოდ სახლის კედელს ხედავდა. ქარი სახლს ფოთლებს აყრიდა. ოდნავ შეღებული კარი მისი ცნობისმოყვარე მხრების მიწონოდა წრიალი ნებდებოდა. დღის შუქი ნელა შეიპარა შესასვლელიდან და შეყვითლებული სურათები გაანათა. მოლოდინით ალსავსე ქალები გვერდით ედგნენ უნიფორმებში გამომკვიპილ მამაკაცებს. დერეფნის ბოლოსაც კარი დახვდა, ისიც იოლად დაემორჩილა, გაიღო. ზურგში ქარი ურტყამდა და ბიჭი ფრთხილად შევიდა — მალაქჩრიაან ოთახში აღმოჩნდა.

ფანჯარასთან, პირსაბანი ნიჟარის გვერდით, ინვალიდის ეტლში კაცი იჯდა, მუხლებს შალის პლედი უფარავდა. აშკარა იყო, რომ დაუპატიჟებელი სტუმრის შემოსვლა ვერ გაიგო, რადგან არც განძრეულა და თვლი არ მოუშორებია ბალში მოზზრიალე ფოთლებისთვის. მხოლოდ იმ ნაბიჯებზე გამოფხიზლდა ფიქრებიდან, როცა ბიჭი ოთახიდან გაპარვას ცდილობდა. შემოტრიალდა და შალის პლედი შეისწორა.

— აქ რას ეძებ? — დაიღრიალა, უეცრად სახე ნამოუწითლდა და მეტყველების უნარი წაერთვა, ცდილობდა, გამართულად მჯდარიყო.

— არაფერს, — უპასუხა ბიჭმა, — კარი ღია იყო.

— დიდება იმას, ვისაც სჯერა, რომ ღია კარი დაუპატიჟების ნიშანია, — კაცმა ეს სიტყვები უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა. ბიჭმა ახლალა შენიშნა, რომ მას პირის მარჯვენა კუთხიდან ყურის ბიბილომდე ნაიარვეი მიჰყვებოდა და სახეზე ტრიუმფალური სიცილის კვალს უტოვებდა. რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და ქალს დაეჯახა, ის ლანგრით ხელში ოთახში შემოსვლას აპირებდა.

სტუმარი გვეყავს, — თქვა ეტლში მჯდომმა კაცმა და ბიჭუნას მიუახლოვდა, რომელიც კედელს ეკვროდა შემინებული. გაქცევის ყველანაირი მცდელობა უშედეგო იყო. ზედმეტად მზრუნველ ხელს კედლებზე საზღვაო ბრძოლების ამსახველი სურათები გამოეფინა, რის გამოც ოთახში საზღვაო ბრძოლების ველური ალიაქოთის შთაბეჭდილება იქნებოდა.

ინვალიდის ეტლში მჯდომი კაცი ძლიერი ხელებით ატრიალებდა რეზინაგადაკრულ ბორბლებს და ტანჯვით გადაადგილებოდა. სტუმარი სუფრასთან მიინჯია, მელლეს თავი დაუჭრა და ფინჯანი ასწია. ბიჭს თევზით ნამცხვარი მიართვეს. მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმე გაეკეთებინა, ბიჭი ისე დააცხრა ნამცხვარს, რომ დაინჩინითა და შაქრით ლოყები მოისვარა.

— ბაღში როგორ მოხვდი?

ბიჭს ლუკმა არ გადაეყლაპა, მაგრამ მაინც ალაპარაკდა.

— გალავანზე გამომოქვერი, — ენა წაერთვა და ღამის ლუკმა გადასცდა.

თვალეები ცრემლით ავესო და უფრო სასონარკვეთილი, ვიდრე დამშეული აგრძელებდა ჭამას, ღეჭვასა და ყლაპვას, თითქოს ეს უნდა ყოფილიყო ამ სახლიდან თავის დაღწევის ბოლო იმედი. ამავე დროს ერთი წუთითაც არ აცილებდა თვალს კაცს, რომელიც, უკეთ რომ ეჭამა, მოხრილი იჯდა და იდაყვებით მაგიდას ებჯინებოდა; დიახ, ისე უცერემონიოდ მიშტერებოდა მასპინძელს, რომ ამ უკანასკნელმა გაჯავრებულმა დაიხია უკან და მუხლებიდან შალის პლედი ჩამოუხარდა. ბიჭის ყურადღება ორმა მღურწინმა წამოცმულმა ტაკვმა* მიიპყრო, შეცბუნებულმა თავდაცვის მიზნით ხელები ასწია და ვედრებით შეხედა ქალს.

— უნდა იცოდე, რომ ის გმირია, — უთხრა ქალმა და ხანგრძლივი ახსნა-განმარტებისთვის გულხელდაკრეფილი მოეშადა, — ომში დაკარგა ფეხები.

კედლის სურათებზე ბრძოლის სცენები თითქოს აცხვავდნენ. ფინჯები ქვემეხის ყუმბარებად გადაიქცნენ, კოვზები — სისხლიან დაშნებად. ბიჭმა თვალები დახუჭა, მხოლოდ ჭრილობებსა და დასახიჩრებულ ადამიანებს ხედავდა. ვილაჯამ სკამი გააცურა, ნაბიჯები შორდებოდნენ. როცა თვალები გაახილა, მის წინ ქალი იდგა, რომელსაც ხელში საზეიმოდ გახსნილი შავი ყუთი ეჭირა. შემდეგ წითელი აბრეშუმის ბალიშიდან კვერცხის ფორმის ორდენი აიღო და გაფარჩხული თითებით ზემოთ ისე ასწია, რომ ორდენმა ქანკარასავით დაიწყო აქეთ-იქით ქანაობა. ქაცი კვნესით ცდილობდა, შალის პლედს დასწვდომოდა. ამ ყვესტის უმწეობით ძალამიცემული ბიჭი ღრმა პატივისცემის ნიშნად დაიხარა და პლედი ფეხებზე გადააფარა. შემდეგ საში ნაბიჯით უკან დაიხია — ქალის ხელში ორდენი ისევ ქანაობდა.

— ჩემი მეუღლე ახლა უფრო იტანჯება, — თქვა ქალმა, — მისთვის ომი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

ქალმა ორდენი მკერდზე მიიკრა, რამაც უეცრად ძალიან მამაკაცური გახადა, ინვალიდის ეტლს მიუახლოვდა და ფანჯარასთან მიაგორა. ქაცი ჩუმად კვნესოდა და ხელით ანიშნებდა, შეჩერდიო. როცა წამოგდომა მოისურვა, ქალმა სკამზე უკან გადასწია, ქურთუკი შეუკრა და გულზე ორდენი მიაბნია. ქაცი წყნარად იჯდა და ქალის ალერსსა და პატივისცემას დაძაბული იტანდა.

ბიჭი საზღვაო ბრძოლების სცენებს ათვალისებრად, თუმცა ისევ და ისევ კაცისკენ გაურბოდა თვალი, რომელმაც ონიკანი მოუშვა და თითქმის მობოლიძეებით თქვა:

— ვიცი, ეს ზღვის მაგივრობას ვერ გასწევს, მაგრამ სიმშვიდის ატანა არ შემიძლია.

ლოყებზე წყლის წვეთები უბრწყინავდნენ. ბიჭმა შენიშნა, როგორ დახუჭა გმირმა თვალები და თავი გვერდზე მიატრიალა, ამის შემდეგ ქალმა ის ოთახიდან გაიყვანა.

სურათებზე ისევ გამოჩნდნენ გაჯავრებული ოფიცრები, რომლებიც უღვაშებით იმუქრებოდნენ. ქალები მოთმინებით იტანდნენ ქმრების ბრწყინვალეობას. ბიჭმა ღია ცის ქვეშ მოითქვა სული, ზურგჩანთა გუბურიდან ამოიღო, ცალი ხელით მოხვეტილი ფოთლებით განმინდა და ხის კარის ურდული გადაასწია — კარი ჭრილით გაიღო. ერთი ნაბიჯიც და ბიჭი ქუჩაში იყო, იქაურობას ელვის სისწრაფით შორდებოდა.

როცა მამამ ჰკითხა, დღეს მთელი დღე რას აკეთებდი, არც კი დაფიქრებულა, ისე უპასუხა, გარკვეული სიამაყითაც კი: — ომობანა ვითამაშეთ და მოვიგეთ.

ამ თავგადასავლის შემდეგ ერთი აზრი აკვირდა: უნდოდა, საღებავში ამოვლებული ფუნჯით სამყაროს წინააღმდეგ გაეღამებინა. გამეფრადებლად გადაიქცა და ყველაფერს ვარდისფრად ხედავდა. ფოსტაში მუშაობა აშკარა შეცდომა იყო, თუმცა ამ ცხოვრებისგან უკეთესს არც ელოდა. ლექსების შეთხზვის ნიჭი რომ ჰქონოდა, ალბათ ეროვნულ ჰიმნს მინც დაწერდა. ასე რომ, იჯდა ცოლის მოქსოვილ ბალიშზე, თითებს ხურდა ფულში ატრიალებდა ხელითმინანვლო მანძილზე და ყოველდღიურად 8-დან 12-მდე და 14-დან 17 საათამდე ფოსტის მარკებს ყიდდა მეშვიდე სალაროში.

თარგმან ნანა ჭილაძე

*ტაკვი — მოკვეთილი კიდურის დარჩენილი ნაწილი.

იმ მუხას ასხოვს საუბარი სეღჯუეკებისა, მამა-შვილისა — აბალასი და სულეიმანისი.

მამა-აბალა — ტომის ბელადი, ჩვეულებრივ ნომადზე მეტი იყო — იცოდა არაბულად ნერა-კითხვა, ისლამის დოგმები, ყურანის სურები. პირადი გამოცდილებით ენეოდა ცხოვრების ჭაპანს; მიზანსწრაფული იყო იმდენად, რომ წინა წელს საქართველოდან ორჯერ უკუქცეული, ამჯერად უკვე უერთგულესი მეომრებით, სახლელულით, მთელი ტომით იყო წამოსული ზამთარში, დასწრებაზე, რათა თოვლის დროზამდე მომაგრებულიყო და დავით IV-ის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა გაემართა.

შვილი სულეიმანი სამარყანდში განათლებულიყო; მამაზე 18 წლით უმცროსს მეტად ესმოდა სულეირება, ნაკლებად — ყოფიერების სიმძიმელი.

დღე იდგა განსაკუთრებული — ახლოვდებოდა ის ჯადოსნური საათი, როცა წინასწარ დათქმული პირობის თანახმად, შვილს ნებისმიერი შეკითხვის დასმის უფლება ეძლეოდა, მშობელი კი ვალდებული იქნებოდა, ეპასუხა.

ამ შეხვედრისთვის სულეიმანი საგანგებოდ ემზადებოდა, აბალა — არა, რადგან საამისო დრო და მოცალეობა არ ჰქონდა. ან საიდან უნდა ჰქონოდა — მთელი ტომი: მეომარი და მწყემსი, კაცი და ქალი, დიდი თუ პატარა, მორჩილად, უთქმელად, მაგრამ დაჟინებით ითხოვდა მისგან სწორ გეზს, გადაწყვეტ ნაბიჯს — გამარჯვებას, ალაფს, სარჩოს, საძოვრებს...

იმ თოვლიან-ყინვიან დილას მამა-შვილმა მთელი ბანაკი დაიარა; ნახა ყველა: კარგადმყოფიც და ავადმყოფიც...

სეღჯუეკებს კარვებს შორის კოცონები ენოთ — დიდებიც და პატარებიც ცეცხლს ეფიცებოდნენ. მამა-შვილის გამოჩენას მონიშნული საღმთი ხედვებდნენ. მათ არ იცოდნენ, სად დაბანაკდნენ, მაგრამ სჯეროდათ, რომ ეს იცოდა მეთაურმა. მათ არ იცოდნენ, რას ნიშნავს საქართველო, მაგრამ სწამდათ ტომის ბელადის, რადგან აბალა გამჭრიახი და შეუპოვარი, მკაცრი და სამართლიანი მეთაური იყო. მისი ვაჟისა რა ვითხრათ და, დიდად არ მოსწონდათ, უცხოვდ მიჩნდნოდა ახალმოსული; უცხოვდაც გამოიყურებოდა, უფერულადაც — მამის ფონზე უკანსვლას ჰგავდა.

ეს აბალამაც იცოდა და განგებ იახლა ბევრისთვის უცნობი სულეიმანი, რათა ტომის უფროსს და უმცროსს პატივი ეცათ მისთვის და ეს პატივისცემა ჩვეულებად გადაქცეოდათ; ყველას უნდა ენახა „სტუმარი“, იმას კი — თავისი ხალხი.

მამაშვილმა ასობით კარავი დაიარა: ზოგი სამხედრო-მეომრული, ზოგი — საოჯახო, ზოგი — სავაჭრო, ზოგიც — სახელმწიფო... ჩამოუარა ყველა საგუშაგოს და გუშაგს, დათბუნულ კვიციებს და რძეკამშრალ საქონელს; ყველა და ყველაფერს შეამონმა — ყველას და ყველაფერს გაზაფხული და სითბო ენატრებოდა...

სიმშვიდეს მონატრებულმა აბალამ კი თავის ვაჟს, 18 წლის სულეიმანს თოვლში გასეირნება შესთავაზა.

ამხედრდნენ, ბანაკს გაშორდნენ, მტკვრის მარჯვენა ნაპირს აღმა აუყვინენ, გაივაკეს, გაიჯირითეს — თავი ტრიალ ტრამალზე ეგონათ. ყიფინა დასძახეს, მანამდე აჭენეს ცხენები, ვიდრე არ დასცხათ... ნაბიჯზე გადავიდნენ, მერე ის მარტომდგარი მუხა დაინახეს და, თითქოს რალაც ენიშნათო, შეჩერდნენ, ჩამოხდნენ, პეშევებით თოვლი აკრიფეს და აწითლებულ სახეებზე პირისბანასავით მიმოიხვეს, მწყურვალეებით პირში გამოიხვეს, შეჭამეს-ჩაიდნეს-ჩაყლაპეს — ეგრილათ — ეგემრიელათ, ესიამოვნათ, სული მოითქვეს... მიმოიხედეს... თვალს კარგად უჭრიდათ — მზერა მიმოატარეს...

მაშინაც ყველაფერი თავის ადგილზე იყო: დათოვლილი თრიალეთი, თეთრი ლიხი, თოვლიანი ჭერათხევი, ქართლის ქათათა მინდვრები და ამ ერთგვარი სისპეტაკისგან თითქოს დაჩაგრული, ნაცრისფერი მტკვარი; თითქოს მოლაღობა მტკვარი — კოცონებიდან ადენილი კვამლის სუდარაში გახვეული სეღჯუეკების ბანაკის სიცოცხლის ელექსირი, სამტროდ მოსული უცხოტომელი კაცების ცხენებისა და ძროხების დამრწყლებელი, სამტროდ მოსული უცხოტომელი კაცების ცოლების ჯამ-ჭურჭლის მოცივხავი მტკვარი...

ამასობაში დადგა ის ჯადოსნური წამი, მამისა და შვილის გულახდილად საუბარს რომ ითხოვდა. იმ თოვლიან ველზე მხოლოდ ერთი, ტანადი, თითქოს ზამთრის ძილში წასული მუხა იდგა — აბალას და სულეიმანს სხვა მსმენელი არ ჰყავდათ.

— მამავ-ბატონო! რატომ ვიპყრობთ სხვის მიწებს? — იკითხა სულეიმანმა და თავი დამნაშავესავით დახარა. რაც გაბედა, ამას სხვა დროს ვერ გაბედავდა — ეს მხოლოდ ახლა შეიძლებოდა — გულახდილი მამა-შვილობისას...

ჯადოსნური წამების ათვლა დაიწყო: ერთი, ორი, სამი, ოთხი..

ყველანიარ შეკითხვას ელოდა აბალა, ასეთს კი — არა. ვაჟს მაშინვე არ უპასუხა. იქნებ, ინანა კიდევ, რად მივეცი შვილს განათლება; ნუთუ იმისთვის, რომ ასეთ დღეს შემტევი შეკითხვა დაესვასო...

— რადგან არ იცი, აგისხნი, შვილო! — თქვა აბალამ, თვალის მოავლო თოვლიან ველს, მერე მზერა იქვე მდგარ მუხაზე შეაჩერა, მათრახით მიათთა და იკითხა, — ჯერ ეს მითხარი, სულეიმან, ეს ხე სადაურია?

— აქაური! — უყოყმანოდ უპასუხა სულეიმანმა.

— არა! შემცდარხარ, რადგან ასე გგონია, — თქვა აბალამ, — ეგეც საიდანაც არის მოსული, ქარით მოტანილი; ალაჰის ძალით მოვლენილი. ღმერთმა ინება და რადგან ასეა, ამანაც შეძლო აღ-

ჯანო ჯიქიძე აბგავი ათასწლოვანი მუხისა აბალა და სულეიმანი



მოცენება. ამ მიწაში ფესვები გაიდგა, დაემკვიდრა და ახლა აქაური ჰქვია. ჩვენც იმავეს ვაკეთებთ და ამასი გასაკვირი არაფერია. ჩვენც ამ ხესავით უნდა დავმარდეთ ამ მიწაზე, ფესვი გავიდეთ და დავფუძნდეთ. იქნებ სხვაც შეუთესია, მაგრამ ჩვენდაბედლად რაც გვერგო, ამასაც ბრძოლით უნდა მოპოვეთ... ეს შენთვის სამარყანდში რომ ესწავლებინათ, შეკითხვის დასმაც არ დაგჭირდებოდა.

— ერთი შეკითხვაც, მამავ-ბატონო! — მიკითხე, შვილო. — ამ ქვეყანას რატომ ვერ ვიპყრობთ? აბალამ სულეიმანს მყისიერი პასუხი არც ამ შეკითხვაზე გასცა, ცხენზე ამხედრდა და დაიძრა; მაგრამ შეკითხვას სად გაექცეოდა — აკი განსაკუთრებული დღის ჯადოსნური წამები იდგა და შვილის კითხვაზე მამისგან პასუხის გაცემა სავალდებულო იყო.

სულეიმანიც ამხედრდა და მიჰყვა. გაბედა, წამოეწია, მაგრამ არ გაუსწორდა, მოერიდა, ცხენის თავ-კისრით ჩამორჩენა ამჯობინა, შესაფერის მომენტს დაელოდა; როცა აბალამ ცხენის შეაყენა, 18 წლის შვილი 36 წლის მამას ვეცდით ამოუდგა და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა უსმინა ტომის ბელადის ნათქვამს.

— აქაურების მეფე — დაუდ-ხანი — შლეგია. ჩვენი ჯავრით დღისით ვერ მოუსვენია, ღამით არ წინავს, — თქვა აბალამ, — ვერ ხვდები, რომ ამაოდ გვეომება. ამას ორ კვირაში მიხვდები — საკუთარი თვალით იხილავს, რომ ეს ბარი ჩვენი გვიჭირავს.

— კი მიკვირდა, მამავ-ბატონო, რატომ გამოვილაშქრეთ ამ ზამთარში, თოვლსა და ავდარში.

— ახლა ხომ ხვდები?!

— ვხვდები. თუ ჩვენ აქ გამოვიზამთრებთ, თოვლის დადნობამდე მოვძლიერდებით, საომარ სამზადისს დროულად მოვასწრებთ და მტერსაც მოვერევით.

— რაც შეეხება შენს შეკითხვას, — თქვა აბალამ და შვილს თვალი შეავლო, — ისეთი შვილის ყოლას, როგორც დაუდ-ხანია, ნებისმიერი მამა ინატრებდა; თუმცა თვითონ მას კი არ გაუმართლა — ყურანი იცის, მაგრამ ჯვაროსანია. ალაჰისაგან ძალა არ მიეცა და რადგან ასეა, საბოლოოდ ჩვენი მსხვერპლი შეიქნება უეჭველად...

კითხვა-პასუხი დამთავრდა, მაგრამ თავისით — არა. რალაც უხილავმა ძალამ შეწყვიტა — ალბათ, დანახულით შთაბეჭდილების ძალამ.

სიჩუმე იდგა. უნებლიეთ მოლაღობე მტკვარიც კი იმედიანად გატრუნულიყო. შორს, თოვლით დაფარულ ლიხის ქედზე მანამდე არარსებული მდინარე გადმოსულიყო — ჩვეულებრივად შედარებით მძიმედ, ნელა, ავად მოიკლაკნებოდა დაღმა და მთების ძირში გუბდებოდა.

სულეიმანს მსგავსი რამ არასდროს ენახა.

აბალას უნახავს: ზვავის ჩამოზავება, მენყრის ჩამოწოლა, მაგრამ ასეთი რამ, ახალშობილი მდინარის ქედზე გადმობეთქვა-გადმოდინება კი — არასოდეს.

მამა და შვილი თვალის დაუხამამდე-

ბლად, მზერაგამტრებულები, გაოგნებულები, უტყვად უყურებდნენ უცხო ქვეყნის ზამთრის სასწაულს...

მერე აბალას ცხენმა დაიფრუტუნა, მამა-შვილი შთაბეჭდილებიდან გამოარკვია და რეალობას დააბრუნა — ლიხის ქედზე დავით IV აღმაშენებლის ჯარი მოედინებოდა და ბოლო არ უჩანდა...

— ისევ დამასწრო, ისევ მაჯობა! — შეჰყვია აბალამ უიმედოდ და ბანაკისკენ გაიხედა — გვიანი იყო. დიდი-დიდი ერთი საათის სიცოცხლე ენერა მის გეგმებს, მის სახლელულს, მასზე მონდობილ დიდ-პატარას... სათქმელი მაინც ლიხის ქედზე გადმოსული ქართველი მეომრების 'მდინარის' შემყურემ თქვა: სულეიმან, ხედავ?! დაუდ-ხანს თავისი ქვეყნის თოვლიც კი არ ემეტება მტრისთვის! თუ ცოცხალი გადავრჩი, ჩემი ნათქვამი დაიამახსოვრე — აი, ასეთი მეთაური უნდა ჰყავდეს ხალხს, ასეთი შვილი უნდა ჰყავდეს მამას!..

სულეიმანმა დამნაშავედ ჩათვალა თავი, დამნაშავესავით დახარა თავი, თუმცა, არანაირი დანაშაული ჯერ არ ჩაედინა. გული დანყდა, რომ მამასთან გულახდილი საუბარი ბოლომდე არ დასცალდა. დასცლოდა, ეტყოდა, რომ სამარყანდში მათემატიკა შეიყვარა და სამხედრო საქმის ათვისებას ასტროლოგიის სწავლა ამჯობინა.

— სწრაფად! — გაიფონა მამის ბრძანება და მორჩილად მიჰყვა.

მამა და შვილი მიბრუნდნენ და ბანაკისკენ გაქუსლეს, თან დაუზოგავად სცემდნენ ცხენებს მათრახებს; თუმცა თოვლში სწრაფად სრბოლა ძნელი არის, ეს მათ შეძლეს, რადგან თავზარი მიერეკებოდათ...

ამ ყველაფერს შეესწრო მუხა-ბერმუხა და ახლაც იქა დგას...

მწერალი

გიგი ხორნაული

გიგი ხორნაული გამოცემული აქვს სამონადირეო მოთხრობების ორი წიგნი: „მონადირეული მართალი“ და „ნეტამც მოგეკალ“. მისი პირველი მონადირეული მოთხრობა „შვლის ცრემლი“ დაიბეჭდა 1963 წელს გამომცემლობა „ნაკადულის“ საბავშვო ყურნალ „ნობათში“.

ამასთან დაკავშირებით, გადავწყვიტე გავსაუბრებოდი მამაჩემს, გიგი ხორნაულს, როგორც მწერალს და მონადირეს, რადგან ვფიქრობ, საზოგადოებისთვისაც საინტერესო იქნება მის მიერ ცოცხლად წარმოდგენილი მონადირეული თავგადასავლები და მისი აზრი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რაც წარმოაჩენს მწერლისა და მონადირის შინაგან სამყაროს და ცხოვრების მრწამსს...

— „ჯიხვების განავალი კლდე, რომ ნახო გაგიკვირდება, იმათ მიმყოფს ვაჟკაცსა, რა კარგი წაეკიდება“...

ვინც კარგად გიცნობს, ამ სიტყვების ნაკითხვისას, მაშინვე შენ წარმოიდგენი თავს. მაინც რა გაძლევდა ძალას, ასეთი ხიფათიანი გზის დასაძლევად? ნუთუ შიში არასოდეს გაგივლია გულში?

— ვისაც არ უნადირია, იმისთვის ძნელი გასაგებია, რა არის ნადირობა, რა იზიდავს ადამიანს ამ ხიფათიან კლდეებში. როგორი გატაცებაა. ეს განსაკუთრებით ძლიერად არის გამოხატული მთიელ ხალხში. მე თვითონ, რაც თავი მახსოვს, აღმოვჩინდი მონადირეთა გარემოცვაში. ყველა მონადირე იყო: მამაჩემი, ბიძები, მეზობლები, ყველა... მუდმივად მესმოდა მათი საუბრები ნადირობაზე, მოჭქონდათ ნანადირევი. როგორც კი იმდენი შევეძლი, რომ ტყეში მეწველი, მარეკად წამიყვანეს ბიძაშვილებთან ერთად. თოფის ზიდვა და თოფის სროლა ჩვენ ჯერ არ შეგვეძლო. იმ დროიდან მოყოლებული, ნადირობა იქცა ჩემთვის ისეთ მოთხოვნილებად, რომლის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო... აი, ეს ჟინი ისე გენევა სანადიროდ, რომ ხშირად ვერც კი ატყობ, როგორ სახიფათო კლდეებში დადიხარ. განსაკუთრებით მაშინ, როცა ნადირს ეპარები. ასეთ დროს შიშიც დაიძლევა, მას ჟინი სჭარბობს, ამის შედეგად მონადირეები ხშირად „ხაფანგში“ აღმოჩნდებოდნენ და იღუპებოდნენ. ეს არის სიკვდილის პირისპირ დგომა, „სიკვდილთან შეთანხმება“. ადამიანი ოდითგან ნადირობს. მაშინ ეს იყო ოჯახის რჩენის ერთ-ერთი საშუალება, ბრძოლა არსებობისათვის. ეს ტრადიცია შემორჩა დღევანდელ ადამიანშიც.

— ფშავ-ხევსურეთში ერთ-ერთი განთქმული მონადირე ხარ. სამონადირეო თავგადასავლებიდან რომელიმე უჩვეულო ეპიზოდს ხომ არ გაცხიხნი?

— ყოველი ნადირობა თავისებურად უჩვეულო და განუმეორებელია. ყოველთვის რაღაც განსხვავებული ხდება, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენ და სხვებისთვის დაუგერებელი ჩანს. ამიტომ არის, რომ მონადირეებს ხშირად მატყუარებად და ფანტაზიორებად მიიჩნევენ. ხშირად მქონია ასეთი შემთხვევა და როცა მომიყოლია, სიცილი დაუნყიათ, ტრახახად ჩაუთვლიათ. არადა ჩემს სიცოცხლეში, ნადირობის ამბავები ბენისოდენა ტყუილიც კი არ გამირევია. ტყუილი, აბა, რად მჭირდება?! აი, მაგალითად, ერთი ასეთი შემთხვევა იყო: თრუსოს ხეობაში ვიყავით ჯიხვებზე სანადიროდ. მასპინძელმა მონადირეები გაგვანაწილა, ვის გეზები უნდა შეეკრა და ვის ნადირი გამოეფრთხო. მე სულ მალლა გამგზავნა, ჩემს ქვემოთ სხვები იყვნენ ჩაყენებული და სულ ბოლოში თვითონ მასპინძელი იდგა, რომელიც ყველას ხედავდა, ვინ სად ვიდევით. მარეკებმა ვერ იყოჩაღეს და ხარჯიხვების დიდი ჯოგი ჩვენსკენ კი არა, სხვა მხარეს გააფრთხეს. ერთი ხარჯიხვი მოსწყდა და წარჩენებს და გამოქცეული ჩემთან მოვიდა. ვესროლე და სასიკვდილოდ დაჭრილი იქვე ახლოს ჩანვა. თოფი დავდე, ამოვიდე ფოტოაპარატი და სურათების გადაღება დაუწყე. ჯიხვი ადგა და ჩემკენ წამოვიდა. მოდიოდა ძალიან დინჯი ნაბიჯით. მე დაახლოებით მეტრისაგან სიმაღლეზე კლდეზე შევხტი, რომ უცებ ჩემთვის არ დაერტყა და არ გადავეჩხე. ჯიხვი მოვიდა, ჩემს ფეხებს შუა რქა ჩამოლო, რქით დაეკიდა, თითქოს ჩემგან შეეღას ითხოვდა. ჩამოვხტი, მინდოდა, გადაემელო. ჯიხვი აღარ ინძრეოდა, სული დაეღლია. ამ ამბავმა ისე დამთრგუნა, რომ იმ ნუთში ვიგრძენი, თითქოს ჯიხვმა დამანამუსა — გინდა ჩემი სიკვდილი, აი, შენს ხელშიაო. ეს ამბავი მომწინ გარემე რომ მომიყოლა, არავინ დამიხსენებდა, რადგან დაჭრილი ჯიხვი ადამიანისკენ არ წავა.

— „ჯარჯი ჩაჭედავს ჯიხვებსა, რა მშვენიერნი წევანაო, რქა-რქაზე გადაუხვევავ, ანგელოზებსა ჰვეანანო.“

შენც თუ დამტკბარხარ ასეთი ლამაზი სანახაობით?

— არაერთხელ. ზოგჯერ მთელი დღე გამიტარებია ასე და ამაზე დიდი სიამოვნება არაფერია. ბუნებაში რომ უყურებ ნადირს, როცა ის ვერ გხედავს, უდიდესი სიამოვნებაა. მაგალითად, მთელი დღე მიცქერია დათვისა და იმისი ბეღების თამაშობისთვის. გაზაფხულზე ერთხელ თითქმის მთელი დღე ვუყურე, ზეგზე როგორ სრიალებდნენ ბეღები. ადიოდნენ ზემოთ



და ჩამოცურდებოდნენ. დედა დათვი დაუდგა ბოლოში და სათითაოდ იჭერდა. ბეღებმა ასე დიდხანს ისრიალეს, არ სწყინდებოდათ, ისე და ისე დადიოდნენ. გულშიაც არ გამოვიდა დედა დათვის მოკვლა და ამ იდილიის დარღვევა... ასეც ყოფილა, მითვალთვალია ჯიხვებისთვის, პატარა კლდის ქიმზე როგორ გადმოდგებოდნენ, მეორე კი მივიდოდა და ურტყიდა, რომ გადმოეგდო. მაშინ იმათ ვერ მიუახლოვდები, სანამ არ მოსალამოვდება და საძოვრისკენ არ დაიძვრებიან. ამას არანაირი სანახაობა არ შეედრება...

— სიბრალული თუ გაცხიხნი მიხანში ამოღებულ მსხვერპლის მიმართ?

— ბევრჯერ... არ არსებობს ნამდვილი მონადირე, ვისაც სიბრალულის გრძნობა არ უჩნდება. ჩემი მეგობარი ცნობილი მონადირეები, საუბრეთესო მთიელები, ვისთან ერთადაც თითქმის ბავშვობიდან მოყოლებული სიბერემდე ვნადირობდი, ყოველთვის გამოხატავდნენ სიბრალულს. დაჭრილ დათვისაც კი ხშირად თვალს არიდებდნენ და შეუძახებდნენ: არიქა, დაპკარით ვილაცქმად, დაასრულეთ, მაგის საცოდობას ნუ მაყურებინებთო. მე, პირადად, ასეთი დიდი სიბრალულის გრძნობა გამიჩნდა 13-14 წლის ასაკში, როცა ჩემგან სასიკვდილოდ დაჭრილი შვლის თვალები ღვარად წამოსული ცრემლი ვიხილე. მას შემდეგ სულ ვცდილობდი, თუკი ამისი საბაბი მომეცემოდა, შვლისთვის აღარ მესროლა. ერთ-ერთი საბაბი ამისა ყოველთვის იყო მთიელი მონადირეებისაგან აღიარებული წესი: დათვზე როცა ვნადირობდი, თუ გვეიმედებოდა, გეზზე მოსულ შველს არ ვესროდი. ამის გამო ხშირად მიმიღია საყვედური. ბეღებიანი დათვიც ძალიან მეცოდებოდა და არ ვესროდი...

— რამდენად პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს, ჩემი აზრით, ნადირობისადმი ლტოლვა ბუნების დიდი სიყვარულით არის განპირობებული. რაც შეეხება მსხვერპლს, ესეც ბუნების განუყოფელი ნაწილია. ოდითგანვე ყოველი ცოცხალი არსების ინსტინქტია ნადავლის მოპოვების ჟინი, ბრძოლა არსებობისათვის... თანაც ყოველივე ეს დიდ ხიფათთან არის დაკავშირებული. მოულოდნელად შეიძლება ნადირთან პირისპირ აღმოჩნდე და მაშინ ვერცერთი იარაღი ვეღარ გიმეველის. შენთვის რა არის ნადირობით გატაცების მთავარი მიზეზი?

— მთავარი მართლაც ბუნების დიდი სიყვარულია... ბევრჯერ ნადირობიდან ხელცარიელი დავბრუნებულვართ, ბევ-

რი გვივლია მაგრამ ნადირი თვალითაც არ გვინახავს, თუმცა მეც და ჩემი მეგობრებიც ამის გამო არ დავბოლმობვართ. პირიქით, ძალიან კმაყოფილი ვრჩებოდით იმით, რომ ბუნებაში ვიხეტიალეთ. თუ არა ნადირობის ჟინი, ამდენი დღე ასე დაულაღვად ტყე-ღრეში ვერ ივლი. ბუნების განცდა კი ისეთი მძაფრი არასოდეს არის, როგორც ნადირობის დროს. ხორცისთვის არცერთი ნამდვილი მონადირე ტყეში არ მიდის. ყოფილა შემთხვევა, სამი-ოთხი დღის სიარულის შემდეგ ნანადირევი სტუმრებისათვის გავგიტანებია მთლიანად. ნადირობის დროს ბუნებაში ამჩნევ ისეთ რამეს, რასაც სხვაგან ვერ დაინახავ. ჯერ ერთი, ადამიანის შეცნობა ნადირობისას რომ ხდება, ისე — არსად. მეორეც, თვითონ ბუნება სასწაულებს გიჩვენებს წლის სხვადასხვა დროს. თუნდაც ის რად ღორს, ზეგვი რომ ვერ ასწრებს დადნობას, გაზაფხულზე ზეგვის ნაჭურში მცენარეები იწყებს ამოსვლას, ჩაღუნა, კენკეშა, ციკინისყურა და სხვა. სულ რაღაც ერთი მეტრის მოშორებით, იქვე ახლადაყვავებული მცენარეებია, ხოლო კიდევ ერთი მე-

„ყოველთვის ოპტიმისტი ვიყავი“

ტრის იქით, უკვე შევივითლებული და დაბერებული ფოთოლ-ბალახია.

— ერთხელ გუდამაყარში ნადირობის დროს შურთხის დევნა გაციტაცა და ვერც კი შენიშნე, ისე აღმოჩნდა კლდის ქიმზე, ერთ მეტად სახიფათო და მიუვალ ადგილას. რვა საათის განმავლობაში გაუნძრევლად იდეცი უფსკრულის თავზე, სრულად განწინაულები.

— გამიტაცა იმან, რომ შურთხებს მივდევდი, აზარტმა თავი დამაკარგვინა. ცალი თვალი რომ შურთხებისკენ მეჭირა, კარგად არ ვუკვირდებოდი, სად მივდიოდი, როგორ ვაღვამდი ფეხს. ჩამომეშალა კლდეზე შეიყვანილი ბალახის ძირი, ძლივს შევიმაგრე თავი. ჩავებლაუჭე კლდე და ვეღარც წინ გავედი და ვეღარც უკან. აღმოვჩნდი უფსკრულის თავზე. ყოველ ნუთს ველოდი კლდეზე გადავარდნას, რომელიც სიმაღლით 100 მეტრამდე იქნებოდა. სამწუხარო განცდისაგან ჭირის ოფლს მასხამდა. სხვაზე არაფერზე ვფიქრობდი. ვლანძლავდი საკუთარ თავს. გადარჩენის იმედი აღარა მქონდა. მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ ხმა როგორღაც მიგავიწინე ცეკლ ნასოფლარში შემორჩენილი ხნიერი კაცს, რომელიც სოფელში ჩავიდა და იქიდან ამოსულმა ხალხმა თოკებით ამომიყვანა. ამდენი ხალხის შეწუხების გამო თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი.

— რა მოგცა ნადირობამ, როგორც პიროვნება?

— მე ჩემს თავზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რა მისცა ნადირობამ მწერლებს, მხატვრებს და ხანრობა შემოქმედ ადამიანებს. გავიხსენით მეღვინის „თეთრი ვეშაპი“, ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“, ლეგა ბუს მთელი შემოქმედება... ჩვენი მწერლები — რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, კონსტანტინე გამსახურდია... ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი სწორედ სანადირობით და განსაკუთრებით საჯიხვებში გატარებული, ენით აუნერგელი განცდებით არის სავსე. სხვაგვარად ვერც კი წარმოიმდგენია, რა იქნებოდა ჩემი სიცოცხლე.

— ალბათ ყველამ არ იცის, რომ მეფუტკრეობას მისდევ და დიდი გატაცებით უვლი. დროთა განმავლობაში, მათზე დაკვირვებით, უთუოდ კარგად შეისწავლე მათი ცხოვრების წესი. მეფუტკრეობასაც ნადირობასთან რომ აკავშირებ, რა გაძლევს ამის საფუძვლებს?

— ისევე, როგორც ტყიურ ცხოველებს, ადამიანი ნადირობით მოიპოვებდა ფუტკარსაც და თაფლსაც. ამიტომ მეფუტკრეობა ისეთივე მძაფრი გატაცებაა,

როგორც ნადირობა. თუ ერთხელ დაინტერესდი, თუ ჩაიხედე ამ ღვთიური მწერების ცხოვრებაში, ისე მიგიზიდავენ, ისე ჩაგითრევენ, რომ უიმათოდ ცხოვრება აღარ შეგიძლია. მათი სასწაულებრივი ცხოვრება ხომ უძველესი დროიდან აოცებდა ადამიანებს და აოცებს დღემდე. ბევრი რამ ჯერ კიდევ ამოუცნობია. ძველ ეგვიპტეში ფუტკრის ოჯახი მიიჩნდათ ადამიანებისთვის ღვთისგან სანიმუშოდ მოვლენილად... ფუტკრის ოჯახში მოცემულია ადამიანთა სახელმწიფოებრივი ყოფილი იდეალური წყობა. გარდა ამისა, ისინი გვაძლევენ საოცარ საკვებს, მასთან ერთად დინდგელსაც (პროპოლისს), სანთელს, ყვავილის მტვერს და სხვა ბევრ ისეთ საკვებ და სამკურნალო საშუალებებს, რომლის მსგავსიც ადამიანს დღემდე ვერაფერი შეუქმნია.

— რით აინსება, რომ მათში სინამინდე მეტია — იმით, რომ ახლოს არის ზეცასთან?.. უფლის სამკვიდროსთან?..

— ეს სიმბოლურად ითქმის ასე, მაგრამ ჭეშმარიტებასთანაც ახლოსაა. სინამინდეს ქმნის განსაკუთრებით ის, რომ მათში ვერ იცხოვრებ და ვერ იარსებებ, თუ არ ხარ მტკიცე ნებისყოფის, გამძლე და ზნეობრივი პიროვნება. ხშირად თვითონ ბუნება განსაზღვრავს ადამიანთა და წმინდა ნადირთა (ჯიხვი, ირემი, არწივი, შველი) ცხოვრების წესს. ჯერ ერთი, იმით, რომ ცოცხალ არსებათაგან ყველაზე მაღლა ჯიხვი ბინადრობს. ჯიხვის უთქვამს: „ჩემზე მაღლა ღმერთის მეტი არავინ და არაფერი არ უნდა იყოს“. გასაოცარია მისი ცხოვრების წესი; მთელი წლის განმავლობაში ხარჯიხვები ცალკე ადიან სულ მაღლა კლდეებზე, შუნ-ციკნები კი დაბლა, ქუჩბალახიანებთან ახლოს რჩებიან. ისინი მხოლოდ ნოემბერში ჩამოვლენ შუნებთან და მხოლოდ ლამით შეწყვილდებიან. შეადარეთ ხევსურთა ცხოვრება — მამაკაცები ჭერხობში იძინებდნენ, დიაც-ყმანვილი დაბლა სამყოფოში იყვნენ.

— ხევისბერი, როგორც ღვთის რჩეული, როგორ იცავს მთის სინამინდეს?

— რამდენადაც ცნობილია, ხევისბერი ერევა ბუნების დაცვაში, რათა ბუნების ძალა არ განუზღვრდეს ადამიანებს. ის ღვთის პირით მოლაპარაკეა. მისი მონოდეითი უზომოდ განადგურება არც ნადირისა შეიძლება და არც ტყისა. ამიტომ იყო მონადირე, აზარის ათავების შემდეგ (100 ნადირის მოკვლა), ან ისედაც, პერიოდულად, თოფს მინაში მარხავდა, რათა ცოდვებისაგან განწმენდილიყო. დიდი ჯიხვის რქებს ხატს სწირავდა და ხევისბრის შენდობით სანთლითა და სასმლით ღმერთს პატივსაც სთხოვდა. ხევისბრის შერჩევში ღვთიური ძალაა გადამწყვეტი. რომელიმე რჩეულ პიროვნებას თავისი მაღალი ზნეობით და წესიერებით გამორჩეულს, ღვთისგან ენიშნება, რომ მან უნდა იკისროს თემ-სოფლის თავჯაჭობა ანუ ხევისბრობა. სიხმარში გამოეცხადება თეთრწვერა ღვთაებრივი პიროვნება, ვინც პირდაპირ ავალებს „ხელ-მხარი“ ინათლოს, რაც ნიშნავს ხევისბრად კურთხევის რიტუალის ჩატარებას, საკლავის დაკვლას. შეიძლება „მიზეზი გამოვიყვანო“, რასაც მეთხიხვი იტყვს... აი, ასეთი ნამდვილი ხევისბერი, ღვთიური ძალით ერევა ადამიანის, ბუნების და მათ შორის ნადირობის საქმეში.

— ცხოვრების გზაზე თუ შეგხვედრია პიროვნებანი, რომელთაც დაუღიწყარი კვალი დატოვეს შენს მეხსიერებაში?

— ჩემი საუკეთესო, ნაცადი მეგობრები, მამაკაცები ბავშვობის დროიდან მოყოლებული, თუ შემდეგ შეძენილი, მონადირე ძმაკაცები იყვნენ. ყველაზე დიდი კვალი ჩემს ცხოვრებაში დატოვეს ჩემმა ცნობილმა მონადირე ბიძებმა — ქორია და მარაიძე ხორნაულეებმა, ჩემმა დეიდაშვილმა გოგი ოჩიაურმა, შემდეგში ფშავში ცნობილმა სკოლის დირექტორმა გოგი თურმანაულმა, მთების დიდამ მოტრფიალემ ნოდარ ანდლულაძემ და დიდმა ეროვნულმა მოღვაწემ ზვიად გამსახურდიამ.

— თუ გიგრძნია თავი „ღონ კიხობად“? სინამთლის ძიება არის თუ არა „ქარის ნისქელებთან“ ბრძოლა?

— მთელი ჩემი ცხოვრება სულ „ღონ კიხობი“ ვიყავი. ვერ ვითმენდი უსამართლობას. ვყვიროდი, ხმამაღლა ვიძახდი იმას, რაც არ მომწონდა, რაც ხალხისთვის, ქვეყნისთვის საზიანოდ მიმაჩნდა. ამდროს, ჩემს ირგვლივ მყოფნი „ბრძნულად“ დუმდნენ, ერგებოდნენ ცხოვრებას ყოველ ფეხის ნაბიჯზე და ამით წარმატებულსაც ალწევდნენ. მე, ხშირად, ჩემ აზრებს ჟურნალში „ნადირობა“ და სხვა გახეთქებშიც

ვბეჭდავდი, რის გამოც დიდი უსიამოვნებად შემხვედრია. ბევრის დაცინვის ობიექტი გავემხდარვარ, გიჟიც უწოდებოდა. სწორედ მხეცებით გამძვინვარებულნი დამხსიან თავს. მაშინ ისინი უფრო საშიშინი ყოფილან, ვიდრე დათვი და მგელი. მაგრამ, საბედნიეროდ, იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც სწორედ ამ პირდაპირობის და მართალი სიტყვის გამო მცემდნენ პატივს. ჩემი პირდაპირობით და უკეთურობის მხილებით ბევრი სიკეთე მომიტანია თუნდაც ჩემი მშობლიური კუთხის ფშავ-ხევსურეთისთვის. სწორედ ჩემი მშობლიური კუთხის ერთგულების გამო, ამ ურყევი მონადირეული სულის გამო მცემდნენ პატივს ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე ნამდვილი თბილისელები. ასე მალიარეს თავის უმცროს ძმად და ბევრ რამეში შემინყვეს ხელი ცნობილმა ადამიანებმა. მათ შორის შეიძლება ყველაზე გამორჩეულად მოვისხენიო მსოფლიო მნიშვნელობის მომღერალი და პიროვნება ნოდარ ანდღულავაძე.

— სიტყვა „სამშობლოში“ ყოველი ადამიანი გარკვეულ აზრს დებს. ზოგისთვის ეს არის თავისი ქალაქი, ზოგისთვის თავისი უბანი, ოჯახი, ზოგისთვის მამული; ემიგრაციაში გადახვეწილისთვის „ცხვირსახოცში სათუთად გამოკრული მინა“. შენთვის რა არის სამშობლო?

— სამშობლო რა არის, ძნელია ამისი ახსნა. შეიძლება, დავიწყოთ ქართული ხალხური ანდაზიდან: „ჩიტი სადაც დაიბადება, იმისი ბაღდადი იქ არის“. მე რომ მკითხო, რა თქმა უნდა, საქართველოა ჩემი სამშობლო, მაგრამ უფრო კონკრეტულად, თუ დავფიქრდებით, საიდან იწყება სამშობლოს სიყვარული, ეს არის ის სოფელი, ის ქალაქი, სადაც შენ დაიბადე და სადაც ბავშვობის წლები გაატარე. ეს არის ერთგვარად ისეთივე სათავე, როგორც დიდი მდინარის სათავე, ნაკადული, რომელიც თანდათან დიდდება და იქცევა „არაგვად“. მთაში, დღესაც, მთიელები სამშობლოს ეძახიან თავის სოფელს. გათხოვილი ქალი როცა თავის მშობლებთან მიდის მოსანახულებლად, ამბობენ, სამშობლოში წავიდაო. ამ სიტყვის მნიშვნელობაც, ჩანს, სწორედ აქედან იღებს სათავეს.

რა თქმა უნდა, მიყვარს თბილისი და მთელი საქართველო თავისი კუთხეებით, რომლებიც ფეხით მაქვს შემოვლილი, მიყვარს და სამშობლოდ მიმაჩნია, როცა სხვა ქვეყნებს ვადარებ. მაგრამ დღემდე ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადგილი ჩემი სოფელი კანალხეცია. სადაც თითოეული ლოდი და თითოეული მთა და გორა, ჩემს ბავშვობას მახსენებს. ასევე ტერმინი მამული, რომელიც სათავეს იღებს სწორედ მამისაგან შვილისათვის დატოვებულ სახანავ-სათესი მიწისაგან. ჩემი სოფელი განსაკუთრებულად იმიტომ მიყვარს, რომ ჩემი ყველაზე დიდი გატაცება, მონადირეული მოგონებებია მასთან დაკავშირებული... — რამდენად მნიშვნელოვანია სიტყვის, იდეისა და ადამიანის მიმართ ერთგულება? ამ მხრივ შეგიძლია, მაგალითი მისცე ბევრს...

— პირადად მე სიტყვისა და იდეის ერთგულებით ვირჩევდი და ვმეგობრობდი ადამიანებთან. ეს განსაკუთრებით მომეძალა 90-იანი წლების შემდეგ, როცა ქვეყანა აღმოჩნდა გაუგონარ სიდუხჭირესა და ქაოსში. ერთხელ ჩანერგილი იდეისადმი, რომელიც ჩემი ცხოვრების წესი იყო, არასოდეს მილადატია. ვერ ვურიგდებოდი მერყევ, ცვალებად ადამიანს. ის ფართო სამეგობრო წრე „შავრების ტყავივით“ დამიპატარავდა. საუბედროდ, ეს ერთგვარი ტრაგედიაა დღესაც. ცხოველთა, ბუნების შეილთა თავისუფლებისაკენ სწრაფვა, თითქოს შენ ყოველთვის მიგანიშნებს თავისუფლებისა და სილაღისაკენ. შენ თვითონაც გახარებს, როცა შესცქერი მონაგარდ არწივსა თუ მგელს, რომლებიც არ იწვრთნებიან.

— „თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა და გრძნობისა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, სხვის ხელში სათამაშო ნივთი. თავისუფლება და ბედნიერება ერთი და იგივეა. დატუსაღებული ადამიანი უბედურად გრძნობს თავს... რაღა უნდა ვსთქვათ, როცა დატუსაღებულია მთელი საზოგადოება, ერი, სახელმწიფო?... აი, რამდენად ტკბილია თავისუფლება“ — (ვაჟა-ფშაველა). შენთვის რა არის თავისუფლება?

— ჩემთვის თავისუფლება, უპიროველესად, ნიშნავს ქვეყნის დამოუკიდებლობას. ბავშვობიდან მოყოლებული ეს სიტყვა, ნაკითხულიდან თუ საუბრებიდან, უკავშირდებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობას. მაგრამ თუ პიროვნებობაზე მიდგება, მე ყოველთვის ვიყავი თავისუფალი, კომუნისტების დროსაც. არ შევსულვარ არც კომკავშირში, არც კომუნისტურ პარტიაში. სამსახურიც თავიდანვე ისეთი შევარჩიე, რომ კაბინეტში არ ვმჯდარიყავი. სამ თვეს ტოპონიმის აღსაწერად მქონდა მივლინებები მთაში, მერე ვაგრძელებდი მუშაობას საჯარო ბიბლიოთეკაში, არქივებში. როცა მინდოდა, სანადიროდ მივდიოდი, როცა მინდოდა, საქეიფოდ. დრო მთლიანად ჩემს განკარგულებაში იყო. უფროსი არასოდეს მყოლია და საქმეც ბევრი გამიკეთებია.

— რამდენად იმედინად უყურებ მომავალს? — ყოველთვის ოპტიმისტი ვიყავი. უთავბოლო განგაში გულთან ახლოს არასოდეს მიმიტანია. ჩვენს მთებში ვერც ნადირს გაულეტს ვინმე და ვერც მონადირულ ადათ-წესებს ამოძირკვავს. ეს მთის სილამაზეა... ქართველი კაცის ცხოვრების ნაწილია... ერთადერთი, ამ ბოლო ხანს თუ რამეზე მწყდება გული, ის არის, რომ ეს ყველაფერი იქნება, მე კი აღარ ვიქნები... იმედი მაქვს, მომავალი თაობა გააგრძელებს ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს...

ესაუბრა ნათია ხორნაშული

ვახუშტი კოტეტიშვილის გამოუქვეყნებელი ლექსები

მე და ვახუშტი, ძმათა შვილები და თანატოლები, სულ პატარაობიდან ერთად ვიზრდებოდით და მთელი ცხოვრება ერთად გამოვიარეთ. კარგად მახსოვს მისი პირველი ნაბიჯი პოეზიაში. 7 წლისანი ვიყავით, როცა მისმა გამზრდელმა უფროსმა დამ ლეილამ მეტისმეტად აცელქებულები მაგიდასთან დაგვსხა და გვითხრა — აბა, ლექსები დაწერეთო. ვახუშტიმ ისეთი კარგი ლექსი დაწერა, თითქმის არავინ დაუჯერა, რომ მისი დაწერილი იყო. მოუწონა და შეაქო სკოლის მასწავლებელმაც. ამით ნახალისებულმა ვახუშტიმ გააგრძელა ლექსების წერა. მისი თითოეული ლექსი უცებ მოედებოდა ხოლმე მთელ სკოლას და ასევე ვრცელდებოდა მთელ ქალაქში. მე განსაკუთრებით შეძვირფასებოდა და შეამაყებოდა, უბის წიგნაკში ვიწერდი და ზეპირადაც ვიმახსოვრებდი.

ვახუშტი შემდგომში, როცა აღიარებული მთარგმნელი, მეცნიერი, ფოლკლორისტი და ლექტორი გახდა, არასერიოზულად მიიჩნევდა თავის პოეტობას და, მითუმეტეს, სკოლისდროინდელ ლექსებს. გათავაზობთ ჩემ უბის წიგნაკებში შემონახულ ლექსებს.

ნანა კოტეტიშვილი



ღარიალი

გზა არის თუ მათრახია მოქნეული, გზა არის თუ უეცარი გაელვება. მთა არის თუ მუზარადი მოხვეური, ქარია თუ კაცის გულის ალელვება.

თერგია თუ ავდრიანი ზეცა მაქუხს, ცა არის თუ ქალის ლურჯი თვალებია, მოვსულვარ და ერთის ნახვით ქართლელ ჭაბუკს დარიალის მხარე შემეყვარებია..

ლამაზია ცა მზიანი, დარიანი, მყინვარწვერზე მზის სხივების მოკიდება; მრისხანა ავდრიანი დარიალი, შეხედავ და ლექსის წერა მოგიწდება.

შეხედავ და ლექსის წერა მოგიწდება და უეცრად კაცი ლექსად დაიღვრები, თერგის ცქერა არასოდეს მოგწყინდება, და ამ გზაზე არასოდეს დაიღვრები.

მოვდიოდი და ქართული მთვარე ვერცხლის მლეთის ახლოს აღმართებში დაგვენია, ასე მაგადაც ციხეა თუ ბუდე მერცხლის, მთებია თუ გოლიათის მხარეები.

გზა არის თუ მათრახია მოქნეული, გზა არის თუ უეცარი გაელვება მთა არის თუ მუზარადი მოხვეური, ქარია თუ კაცის გულის ალელვება.

თერგია თუ ავდრიანი ზეცა მაქუხს, ღამეა თუ შავგვრემანის თვალებია, მოვსულვარ და ერთის ნახვით ქართლელ ჭაბუკს დარიალის მხარე შემეყვარებია. 1952 წ.

ზღვაზე

მზე იყო ყვითელი ჩაღმა, ზღვას გადაელედა მკერდი, ზღაპარს მიაბობდა პალმა, მე კი მის მშვენიერას ვწერდი.

მზე ზღვაში ჩაშლია ნანწავს, ზღვას ოდნე უცემდა გული, პალმა შეარხევედა ნაწმამს, პალმა ზღვის ნაპირას რგული.

და გაუთავებელ ამბავს პალმა მიაბობდა, ვწერდი, ზღვა ამრიალედა კაბას, ზღვას გადაელედა მკერდი. 1953 წ.

ხეხი ზღვისპირას

თვითულ ამ ხეს ქარი რომ არხეცს ამ დროს ოცნებებს ჰგვანან... მე ამ სამ-ოთხ ხეს ვარქმევ სამოთხეს, რადგან ზღვისპირას დგანან. 1953 წ.

ვინ გაგაჩინა შენ ჩემს ღვთაებად, ჩემი ალვრი ხელში ვინ მოგცა? იგრძენი ჩემი ტანჯვა-ვაება, ისმინე ჩემი ოხვრა და ლოცვა!

თუ გული გინდა რომ მე გაჩუქო, — სისხლი სისხლის წილ, ცრემლი ცრემლის წილ...

ნამო, გაჩუქებ!.. ნამოგაჩუქებ ჩემი ცხედრის წინ. 1953 წ.

რომ ილიმი ასე ნაზად, გულის მწველად, დამცინავად, ჩემთვის არა სასიკეთოდ, ეგ ნანწავი მაინც მომე, ჩემო ყველა, რომ ამ მკლაზე გლოვის ნიშნად გავიკეთო. ვერ ველირსე ტრფობის ცრემლებს შენ ნამწამზე, „ამგვარ ყოფას, მე სამარის მინა მიჯობს“, ნება მომეც, რომ მე თავი შენს ნანწავზე, შენს ნანწავზე ჩამოვიხრჩო. 1951 წ.

ბასაუზრება ბასიქთან

სევდის ბალი, სევდის ბალი, თვალცისფერა იის თრთოლა შენმა გულმა გაიყოლა სად? ალვისტანას შემოხედვამ, სიყვარულმა აგათრთოლა რად? ეჰ, მეც მიყვარს ალვისტანა, არას ვამბობ არვისთანა, ლექსი დამიღონდა, ეჰ... ალბათ შენც ამისთანა ალვისტანას სიყვარული გქონდა. შენი გული დაანელა ან ლექსმა და ან ანამა მე კი დამწვა მანანამა, იცი?.. ან მან მომკლას, ან დანამა; ცრემლმა გული რად დანამა მტკიცე, როგორც ფიცი.

მიტხარ რა ვქნა, მიტხარ, რა ვქნა, ლექსმა გული ვერ განკურნა, ვერა, გულზე მძიმე ნაღველები, გულში ციციანთელები კრთებიან და ხვალინდელ დღის სჯერათ.

სევდის ბალი, შიგ სურათი ამისთანა, ალვისტანა ო, — არ მიდის არვისთანა, და ის ლერწმის ქობისაკენ მიმყავს, მეც მყავს ჩემი ალვისტანა, ალვისტანა, მე ის მიყვარს...

... თუ შენ დაგწვა ან ლექსმა და ან ანამა, მეც ჩამფერფლა მანანამა, მანანამა. 1954 წ.

ცისფერქუდას

ცისფრად შემოსილხარ უფინყარასავით, ცისფერქუდა ხარ და ცისფერკაბიანი, შენ გიბზლავს თვალები ცისფერი ზღვასავით, გულიც გაქვს პატარა ცისფერდარდიანი.

მე ვიცი, ცისფერზე ხარ გადარეული, ცისფერი გაცვია პატარა ტანზე.. და მე კი მიწყრები, ცისფერი რვეული რატომ მაქვს ცისფერი ლექსებით სავსე. 1952 წ.

შენ გასურს გაიგო ჩემი ფიქრები და მისამართი ჩემი ოცნების, ჩემი პატრა გულის ფიქრები და გასურს დათვალო ჩემი კოცნები?

ო... ნუ მიცქერი განაოცები, რად გინდა ჩემი ლექსი უხეში, რად გასურს იცოდე ჩემი კოცნები გადაგდებული ბალის კუთხეში.

კალამი უცებ ჩამოღვრის სტრიქონს, ნუთუ არ გესმის ამ გულის ფეთქვა? ჩემი ოცნება ცისფერი იყო და მას ყოველთვის მანანა ერქვა. 1953 წ.



მ-არტისტიკის ქრონიკა

მწერალთა სახლში 24-დან 31 მარტის ჩათვლით ყოველ საღამოს ხალხმრავლობა იყო. „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა“ სწორედ აქ უმსახვილა საქართველოში ერთადერთ მრავალჯანსაღი ფესტივალს - „ვანARTი“, რომლის იდეის ავტორი ნიკოლოზ რაჭველია. ფესტივალმა, რომელიც მესამე წელი იმართება, გააერთიანა ხელოვნების ათი ჟანრი - საავტორო ან იმპროვიზირებული კლასიკური მუსიკა, ჯაზი, როკი და ალტერნატიული მუსიკა, ლიტერატურა, კინო და ანიმაცია, სარეკლამო ART, მხატვრობა, ფოტოგრაფია, მოდა და დიზაინი.

მწერალთა სახლის თანაორგანიზატორობით ფესტივალმა სულ სხვა მასშტაბი და მნიშვნელობა შეიძინა.



სულტანტისთვის. ეს დღე ლიტერატურას ეთმობა.

ანა ზაქარაძე, ლიზი ბუდალაშვილი, მარიამ ბურდულაძე, ნანიკო ოტიაშვილი, თათია ახვლედიანი, თემუკა ზოიძე და ხატია ჭანიშვილი ის ადამიანები აღმოჩნდნენ, რომელთა შემოქმედების ნაწილიც მწერალთა სახლში მისულმა საზოგადოებამ გაიცნო.

მხატვრობა და ფოტოგრაფია

მწერალთა სახლის მეორე სართული. ჯერ კიდევ გაურემონტებელი, დაზარალი კედლები, ჩამონგრეული ჭერი. სანამ აღდგენითი სამუშაოები დაიწყება და მეორე სართულიც დავით სარაჯიშვილის სახლის პირვანდელ იერს დაიბრუნებს, ფესტივალ „ვანARTის“ მონაწილე მხატვრებისა და ფოტოგრაფების ნამუშევრები პირველ დამთავლიერებულ სწორედ აქ მასპინძლობს. გარემო უჩვეულოდაა განათებული, ძველისძველი კედლები პირქუშად აღარ იყურება, რადგან ბექა ზალიყაშვილის, ბექა საყვარელიძის, ლიკა ყოინაშვილის, მარია მუქარაშვილის, ნინო ძიძიაშვილის, სოფო პატაშურისა და ჯულია სანიკიძის ნახატები „აცოცხლებენ“. გვერდით ოთახში კი ობიექტივში დანახული სამყარო მოჩანს - ნამში „ჩაქერილი“ კადრები ახალბედა ფოტოგრაფებს - ზუკა ჩაჩანიძეს, ინა ნერსესიანს, თათია ახვლედიანს, თამუნა ქისიშვილსა და მერაბ ჭუმბურიძეს ეკუთვნით.

კონსულტანტები — ფოტოგრაფი გურამ წიბახაშვილი და მხატვარი გია გუგუშვილი — არჩევანით კმაყოფილები ჩანან.

სარეკლამო ART და კინო/ანიმაცია

სანამ სარეკლამო Artით დაინტერესებული საზოგადოება კონსულტანტ ნიკა მაჩაიძის მასტერკლასს მოისმენდა, ფოიეში ლევან მესხიძის პოსტერები, ეკრანზე კი ნატალია ჩუბინიძის ვიდეორეჟისორი იხილა. სარეკლამო Artს კინორეჟინგა მოყვია. ფესტივალის კონსულტანტის, მიხეილ კობახიძის თხოვნით ნაჩვენებ იყო ყველა იმ ახალბედას ნამუშევარი, რომელმაც თავისი ფილმი თუ ანიმაცია საფესტივალოდ წარადგინა. გიორგი კობიაშვილის „Freedom“, ელენე ჭიჭინაძის, თათია ლობჯანიძისა და მეგე ფარტენაძის „ქუჩა“, ნია ფანიშვილის „სხვადასხვა სამყარო“, ნინო მჭედლიშვილისა და თამარ გელაშვილის „მუსიკით დანახული სამყარო“, ნინო სიჭინავას „მაღლა ცაში“, ქეთი მამრიკაშვილისა და ნინო ცაჩანიძის „Imagine“, გიორგი ზიზობაძისა და ნუცა ბენიძის ანიმაციური ნამუშევრები. ყველაფერ ამას მიხეილ კობახიძის კინემატოგრაფიული ექსპურსი და დამწყები რეჟისორებისთვის სასარგებლო რჩევები მოყვია. განსაკუთრებით ემოციური აღმოჩნდა მიხეილ კობახიძის ექვსი ფილმის ჩვენების შემდგომი დიალოგი რეჟისორსა და მისი ნიჭითა და კინოთი „მონაწილე“ მამულებს შორის. ეს იყო დიდი მავსტროს ერთგვარი აღსარება შემოქმედებით ცხოვრებაზე, რეპრესირებულ კარიერასა და ემიგრაციის წლებზე. მონუსხული დარბაზი იდგა და ტაშს უკრავდა 36 წლის რეჟისორს, რომლის ცრემლიანი თვალები ერთდროულად იტევდა დიდ ტკივილსა და სიხარულს.

როკი და ალტერნატიული მუსიკა

მწერალთა სახლის ბალი ახალგაზრდებით აივსო. აივანი კი სცენად გადაიქცა. ეს დღე როკისა და ალტერნატიული მუსიკის შემსრულებლებს დაეთმო. მართალია, დღის განმავლობაში ახლომასლო მაცხოვრებლები საუნდრეკმა შეაწუხა, მაგრამ საღამოს 8 საათზე ისინიც ფესტივალის მონაწილეებად იქცნენ. თვრამეტი ბენდიდან კონსულტანტის, ნიკა კორაოვის გადანყევითი და, ფართო საზოგადოების ნინამე მხოლოდ სამი წარსდგა: Traveling Rock Band, Plus Master და Ducktape. საპატრონო ეკიპისთვის (მოსახლეობამ ხმაურის გამო რომ გამოიძახა) მიცემული პირობა ორგანიზატორებმა პირნათლად შეასრულეს და საღამო 22.00 საათზე დაასრულეს.

ჯაზი

29 მარტი. მთელი თბილისის ყურადღება გადატანილია საქართველო-გერმანიის საფეხბურთო მატჩზე. საფეხბურთო განწყობა აქვს ფესტივალის კონსულტანტს, დათო ეგვიძალას. დარდობს, ჯაზის დღე 20.00 საათზე რომ იწყება, ზუსტად მაშინ, როცა მთელი საქართველო საკუთარ ნაკრებს ქომაგობს. ნუსხ, ფესტივალს არავინ დაესწრებაო და გულწრფელად უკვირს, როცა არა მარტო ახალგაზრდები, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახეებიც მწერალთა სახლში ახალბედა ჯაზმენების მოსასმენად რომ იყრიან თავს. საღამოს თავად ხსნის. ჯაზის ისტორიასა და ჯაზურ თავგადასავლებს პირველი „ვანARTის“ რჩეულთან, კემოსთან ერთად ყვება. დუეტი ერთ კომპოზიციას ასრულებს და როიალთან 13 წლის ფოთელ ლიკა ცაავას ინვესს. ლიკას სპეციალურად ფესტივალისთვის შეკრული ტრიო — PMG — ენაცვლება. პაპუნა შარიაძემ, მიხეილ ხოშიკიანამა და გიორგი კაპანაძემ პირველივე აკორდებით მონუსხეს მსმენელი და დარბაზი აიყოლიეს.

მოდა და დიზაინი

ძველებური მაგიდის თავზე ფერადი მინის კედლის საათები გამოჩნდა, მაგიდაზე უჩვეულო, ასევე ფერადი მინით შექმნილი სანათები. კუთხეში რკინის მანეკენები აღიმართნენ, რომელთაც გობელენთექა-ფარდავი ემოსათ. საფესტივალოდ დღე მოდასა და დიზაინს დაეთმო. ნამუშევრები მირანდა უძილაურს, ნინო მაჭარაშვილს, მარია სარქიშვილსა და თიკო ქსოველს ეკუთვნოდათ. მეორე სართულზე კი უჩვეულო ინსტალაცია წარმოადგინა მარია ამაშუკელმა. კონსულტანტი გუგა კოტეტიშვილი, რომელმაც მწერალთა სახლის პირველ სართულს პირვანდელი იერი დაუბრუნა, მაინცდამაინც კმაყოფილი არ ჩანდა. მეტს ელოდა. კიდევ უფრო მკაცრი და დაუნდობელი აღმოჩნდა კონსულტანტი ნინო ჩუბინიშვილი, რომელმაც დეტალურად განიხილა თათო მარტაძის ბოდიარტი, თათა მამალაძის აქსესუარები, თამარ მაჭარაშვილის, ნუცა ბლუაშვილისა და ხატია უფოს ნამუშევრები. არ დაუმალავს, რომ სიახლე ვერსად დაინახა, ვერც იმ კრეატიულობის ხარისხით მოიხიბლა, ახალბედემა რომ შესთავაზეს.



ფესტივალის საზიზომ დასრულება

31 მარტი. ყველა ჟანრის ნიჭიერმა ახალგაზრდამ ერთ სივრცეში — მწერალთა სახლში მოიყარა თავი. საღამო სანდრო ნეპიერიძის საავტორო კლასიკური მუსიკით დაიწყო. ფესტივალის გენერალური სპონსორის, „TBC ბანკის“ წარმომადგენელმა თამარ კირვალიძემ თავისი რჩეულები და ასახელა ლიტერატურაში (თემუკა ზოიძე), ფოტოგრაფიაში (ზუკა ჩაჩანიძე), მხატვრობაში (ჯულია სანიკიძე), საავტორო კლასიკურ მუსიკასა (სანდრო ნეპიერიძე) და ჯაზში (ტრიო). ფულად ჯილდოსთან ერთად ახალბედებს გვერდში დგომა აღუთქვა. ელექტრონული ნივთების სახლში „საბას“ დირექტორმა ირინა ჯავახაძემ ფესტივალის მონაწილე ყველა დამწყებ პროზაიკოსს გადასცა ელექტრონული ნივთების ნაკრები, შესთავაზა ტექსტების ელექტრონულ სივრცეში განთავსება და, რაც ყველაზე მთავარია, ელექტრონული კრებულის გამოცემა, რომელთა წარდგენასაც თითოეული მათგანი ლიტერატურულ კონკურს „საბა 2016“-ზე შეძლებს. სადაზღვევო კომპანია „არდის“ წარმომადგენელმა, ეკატერინე ხიდაშელმა თავისი რჩეული ფოტოგრაფიაში დაასახელა და თათია ახვლედიანს ფოტოგრაფიის სასწავლო კურსი დაუფინანსა. „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა“ კი რჩეულებს გამოავლინა: ლიტერატურაში (მარია ბურდულაძე), საავტორო კლასიკურ მუსიკაში (სანდრო ნეპიერიძე), ფოტოგრაფიაში (მეველუე ჭუმბურიძე), ჯაზში (PMG) როკსა და ალტერნატიულ მუსიკაში (Ducktape), დიზაინში (თიკო ქსოველი), მხატვრობასა (ბექა საყვარელიძე) და სარეკლამო Art-ში (ლევან მესხიძე) და მონაწილეებს სიგელბრუნით ერთად სამსოვრო ნივთებს გადასცა. გია გუგუშვილმა ნიგნი უსახსოვრა რჩეულს, ბექა საყვარელიძეს, ხოლო გიორგი ცაგარელმა ნიკოლოზ რაჭველის სურვილი გაახმოვანა — სანდრო ნეპიერიძის საავტორო კლასიკური მუსიკა ეგვენი მიქელაძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შესრულდეს. დათო შამანაურმა კი თინა სიხარულიძეს საყვირისთვის კომპოზიციების შექმნა სთხოვა, რომელთა ჩაწერასა და გავრცელებასაც კონსულტანტი თავად უზრუნველყოფს.

ფესტივალი „ვანARTი“ დასრულდა. მწერალთა სახლმა ერთი კვირის მანძილზე ხელოვნების ათი ჟანრით იცხოვრა. მ-არტისტიკის ქრონიკა უკვე სამწლიან ისტორიას იტევს.



ლიტერატურა

დავით სარაჯიშვილის სამკითხველო ოთახი — ბიბლიოთეკა. პატარა მაგიდასთან ერთი სკამი დგას, ოდნავ გვერდით — მეორე. უკან, ფანჯრის რაფაზე, ძველებური სანათი მოჩანს. ფანჯრიდან კი მწერალთა სახლის ბალის პეიზაჟი იშლება. დარბაზი სკამებითაა სავსე. მკითხველები ნელ-ნელა იკავებენ თავ-თავიანთ ადგილებს. ერთი სკამი დამწყები პროზაიკოსისთვისაა განკუთვნილი, მეორე — კონ-



„ლიტერატურული გაზეთის“ გამომწერის მსურველები დაუკავშირდით სს „მაცნე“-ს: 214 74 22; 214 39 06

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com